აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ხათუნა დარსაველიძე

ქართული ტრადიციული სამოსის კვლევა
და თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარება ეთნო ელემენტების გამოყენებით

მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიისა და მასალათმცოდნეობის
მიმართულებით (0409) ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ნინო დოლიძე
ტ.მ.კ., პროფესორი

ქუთაისი – 2018

შინაარსი

შესავალი..... 4

თავი 1. ქართული ტრადიციული სამოსი ლიტერატურული წყაროების მიხედვით..... 9

1.1. ტრადიციული სამოსი უცხოურ ლიტერატურაში.....10

1.2. ტრადიციული სამოსი ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში.....18

პირველი თავის დასკვნები.....25

თავი 2. ქართული ტრადიციული სამოსის კონსტრუქტორულ-.....26

2.1. კვლევის ობიექტი და ტრადიციული სამოსის სამუზეუმო ნიმუშების კვლევის სპეციფიკა 30

2.2. ქართული ტრადიციული სამოსის კლასიფიკაცია 34

2. 3. ქართული ტრადიციული სამოსის კონსტრუქტორული მახასიათებლების ანალიზი და ელექტრონული ბანკის ფორმირება 39

2. 3. 1. ქართული ტრადიციული სამოსის სილუეტი და მისი კოდირება 40

2. 3. 2. ქართული ტრადიციული სამოსისათვის გამოყენებული მასალები და მათი.....45

2.3.3. სამოსის კონსტრუქციული თავისებურებები და მისი კოდირება.....49

2. 3. 4. კაბის კომპოზიციური თავისებურებებანი და მათი კოდირება.....57

2. 4. ტრადიციული სამოსის ინფორმაციული კვლევა თანამედროვე.....68

მეორე თავის დასკვნები 75

თავი 3. ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოყენებული ქსოვილების სტრუქტურული მახასიათებლებისა და სამომხმარებლო თვისებების კვლევა 57

3.1. ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოყენებული მასალები.....59

3.2. ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოყენებული მასალების.....61

3.3. ნაწარმის ხარისხის მაჩვენებლები და სამომხმარებლო თვისებები.....104

მესამე თავის დასკვნები 113

თავი 4. თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარება ეთნოელემენტების გამოყენებით 116

4.1. თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარების თეორიული საფუძვლები 117

4. 2. ქართული ტრადიციული სამოსის ელემენტებით თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარების თეორიული საფუძვლები.....121

4.3. პირველწყაროს შემოქმედებითი ტრანსფორმაცია თანამედროვე.....130

4.4. ქართული ტრადიციული სამოსის, როგორც შთაგონების პირველწყაროს გამოყენების ანალიზი მოდელიორთა პრაქტიკაში 134

4.5. ქალის თანამედროვე ტანსაცმლის კოლექციის დაგეგმარება 138

მეოთხე თავის დასკვნები.....158

გამოყენებული ლიტერატურა 159

დ ა ნ ა რ თ ი 166

შესავალი

თემის აქტუალობა. ქართული ტრადიციული სამოსი ჩვენი ქვეყნის მატერიალური და მხატვრული მემკვიდრეობის ფასდაუდებელი ძეგლია, სულიერი კულტურის ერთგვარი სარკეა, რომელშიც ნათლადაა არეკლილი ქართველი ერის თვითმყოფადობა, მაღალი ესთეტიკური სახე და მხატვრული გემოვნება. ქართულმა ეროვნულმა სამოსმა დღეისათვის დამკვიდრებული, ტრადიციული იერსახე ხანგრძლივი ევოლუციური პროცესის შედეგად, XVIII ს-ის შუა ხანებში მიიღო და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში – მთაში, ბარსა და ზღვისპირეთში, ადგილობრივი პირობების შესაბამისი, თვითმყოფადი, ინდივიდუალური ფორმით დამკვიდრდა. გასაოცარი სილამაზით, ელეგანტურობითა და სინატიფით გამორჩეულ ქართულ ტრადიციული სამოსში ორგანულადაა შერწყმული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა სახეები, მრავალფეროვანი მასალების ჰარმონიულად შეხამება, უტილიტარული ფუნქციების და შემკულობის დახვეწილი, უზადო ტექნიკა.

ქართული ტრადიციული სამოსი ერთნაირ დაინტერესებას იწვევს სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებში – ისტორიკოსებში, ეთნოგრაფებში, ხელოვნებათმცოდნეებში, ტანსაცმლის სპეციალისტებსა და დიზაინერებში. ის, როგორც მატერიალური კულტურის ობიექტი, სიღრმისეულად არის გამოკვლეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით და ნაკლებად არის შესწავლილი, როგორც შემოქმედებითი ობიექტი, როგორც დიზაინერის შთაგონების, პროფესიული საქმიანობისა და თანამედროვე კოსტიუმის ასორტიმენტის ამდიდრებელი მხატვრული პირველწყარო; ასევე ნაკლებად არის შესწავლილი მისი კონსტრუქციული განსაკუთრებულობები და თითქმის სრულიად შეუსწავლელი კომპოზიციური თავისებურებანი.

ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც მოდის ინდუსტრიასა და სამოსის დიზაინში მნიშვნელოვანად გამოიკვეთა ტრადიციული სამოსის მდიდარი მემკვიდრეობისადმი ინტერესი და, როგორც მოდის თანამედროვე ტენდენციების ანალიზმა აჩვენა, დიზაინერთა შემოქმედებაში ერთგვარ პიკს მიაღწია კოლექციებმა ტრადიციული სამოსის ელემენტებით. ამ მიმართულებით ქართული ტრადიციული სამოსის ფორმებისა და სახეების მრავალფეროვნება, კონსტრუქციულ-კომპოზიციური გა-

დაწყვეტილებების უჩვეულობა, დეკორისა, და განსაკუთრებით ნაქარგობის, სინატიფე უდავოდ შთამბეჭდავი მასალა და შემოქმედებითი იდეების შთაგონების უშრეტი წყაროა თანამედროვე ტანსაცმლის სპეციალისტებისათვის.

ეთნოელემენტების გამოყენებით თანამედროვე ტანსაცმლის ისეთი კოლექციების შექმნა, რომელიც იქნება მოდური და ასევე შეინარჩუნებს ტრადიციული სამოსის თვითმყოფადობას, დიზაინერისაგან მოითხოვს ტრადიციული სამოსის, როგორც პირველწყაროს, ზედმიწევნით ცოდნას. ქართული ტრადიციული სამოსის ყოველმხრივ შესწავლა შეუძლებელია სამუზეუმო ორიგინალებთან უშუალო კავშირის გარეშე, რაც გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, მუზეუმის შესაბამის ფონდებთან შეზღუდული წვდომის გამო. გამოფენათა ექსპოზიციები და ილუსტრირებული ალბომ-კატალოგები კი არ იძლევა სრულ, ამოამწურავ წარმოდგენას ფონდებში დაცული კოლექციების შესახებ.

დროთა განმავლობაში ეროვნული კოსტიუმის სამუზეუმო ნიმუშები გახდება უფრო უნიკალური და ფასეული, მათთან წვდომა კი კიდევ მეტად შეიზღუდება, მაშინ, როდესაც სპეციალისტების ინტერესი მათ მიმართ არამარტო შენარჩუნდება, არამედ გაიზრდება კიდეც. აქედან გამომდინარე, საჭიროა ისეთი კავშირის მოძებნა, როცა ტრადიციული სამოსის ნიმუშებთან უშუალო კონტაქტის გარეშე შესაძლებელი იქნება მათ შესახებ ამომწურავი და სანდო ინფორმაციის მიღება.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ მიდგომას წარმოადგენს ერთიან ციფრულ ფორმატში მონაცემთა ბაზისა და საძიებო-საინფორმაციო პროგრამის შექმნა სამოსის ელემენტების სისტემატიზაციით.

ასეთი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება მით უფრო მნიშვნელოვანია დღეისათვის – მკაცრი კონკურენციის პირობებში, როდესაც დიზაინერის შემოქმედებითი საქმიანობის პროცესში წინა პლანზეა წამოწეული ახალი ექსკლუზიური თუ საავტორო კოლექციის, ზოგადად სამოსის, დაგეგმარებასა და დამზადებაზე დროის დანახარჯის შემცირების იდეა (ჩანაფიქრიდან მოყოლებული მის საბოლოო განხორციელებამდე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული ტრადიციული სამოსის ინოვაციური მეთოდით (ციფრული სახით) შენახვა, კონტაქტის გარეშე ვირტუალური წვდომა და

საჭიროებისამებრ გამოყენება სამეცნიერო კვლევის აქტუალური მიმართულებაა.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს ქართული ტრადიციული სამოსის სამუზეუმო კოლექციების კვლევის საფუძველზე მისი ელემენტების სისტემატიზაცია, მონაცემთა ბაზისა და საძიებო პროგრამის შექმნა და თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარება ეთნოელემენტების გამოყენებით.

კვლევის ამოცანები: სადისერტაციო ნაშრომის მიზნის მისაღწევად დასახულ და გადაჭრილ იქნა შემდეგი ამოცანები:

- ქართული ტრადიციული სამოსის შესახებ უცხოური და ქართული სპეციალური ლიტერატურის შესწავლა;
- ქალის XIX-XX საუკუნის ქართული ტრადიციული სამოსის სამუზეუმო ნიმუშე-ბის მხატვრულ-კონსტრუქტორული განსაკუთრებულობების შესწავლა და მონა-ცემთა ელექტრონული ბანკის ფორმირება;
- სამოსის მხატვრულ-კონსტრუქტორული განსაკუთრებულობე-ბის საფუძველზე სამუზეუმო ნიმუშების საინფორმაციო-საძიებო პროგრამის დამუშავება;
- ტრადიციული სამოსის ინფორმაციული კვლევა და კვლევის შედეგების საფუძ-ველზე თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარება ეთნოელემენტების გამოყენებით;
- ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოყენებული ქსოვილების სტრუქტურული მა-ხასიათებლებისა და სამომხმარებლო თვისებების კვლევა;
- ქალის თანამედროვე სამოსის კოლექციის დაგეგმარება ტრადიციული სამოსის ელემენტების გამოყენებით.

კვლევის სამეცნიერო სიახლე: სადისერტაციო ნაშრომში დასახული ამოცანების გადაჭრის შედეგად პირველად იქნა მიღებული:

- ქართული ტრადიციული სამოსის XIX- XX საუკუნის სამუზეუმო ნიმუშების კონ-სტრუქტორული და კომპოზიციური მახასიათებლების მონაცემთა ელექტრონული ბანკი და საძიებო პროგრამა.
- ქართულ ტრადიციულ სამოსსა და თანამედროვე კოლექციის დაგეგმარებისას გა-მოყენებული ქსოვილების სტრუქტურული მახასიათებლებისა და სამომხმარებ-ლო თვისებების კვლევა და მათი შედარებითი ანალიზი.

- დამუშავდა ქართული ტრადიციული სამოსის ქსოვილების მოფარდვის განსაზღვრის ხელსაწყოს მაკეტი და შემუშავებულ იქნა მოფარდვის განსაზღვრის მეთოდი.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა:

- სადისერტაციო ნაშრომით მიღებული შედეგი შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს ქართული ტრადიციული სამოსის სამუზეუმო ნიმუშების ინოვაციური მეთოდით (ციფრული სახით) შენახვა და აღწერის ერთიანი სისტემის დანერგვა.
- ქართული ტრადიციული სამოსის მონაცემთა ელექტრონული ბანკი და საძიებო პროგრამა სამუზეუმო ნიმუშებზე ვირტუალური წვდომის, მათი კონსტრუქციული და მხატვრულ-კომპოზიციური თავისებურებების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებას მისცემს, როგორც დიზაინერებს (მათი თანამედროვე ტანსაცმლის კოლექციებში გამოყენების მიზნით), ისე ქართული ტრადიციული სამოსით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.
- სადისერტაციო ნაშრომით გათვალისწინებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება დიზაინერს, მკაცრი კონკურენციის პირობებში, ახალი ექსკლუზიური თუ საავტორო ეთნოკოლექციის დაგეგმარებაზე დროის დანახარჯის შემცირების საშუალებას მისცემს.
- სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება ქართული ტრადიციული სამოსის პოპულარიზაციისა და მომავალი თაობებისათვის მისი გადაცემისათვის.

სამუშაოს აპრობაცია

სადისერტაციო გამოკვლევების ცალკეული შედეგები პერიოდულად იხილებოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დიზაინისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის სხდომებზე. კვლევების შედეგები მოხსენებული იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე:

1. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „Актуальные проблемы современного дизайна“ - კიევი, 2018 წელი;
2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება: კვლევა და

მართვა“, ბათუმი, 2018 წელი;

3. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მუზეუმები და კულტურის სტრატეგია“ ქუთაისი 2016 წ.
4. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „მეცნიერება და ინოვაციური ტექნოლოგიები“. ქუთაისი, აწსუ, 2014 წელი.

პუბლიკაციები:

სადისერტაციო ნაშრომის თემაზე გამოქვეყნებულია 12 სამეცნიერო სტატია საქართველოს და საზღვარგარეთის რეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა: დისერტაცია შედგება შესავალის, 4 თავის, დასკვნების, ციტირებული 92 ლიტერატურის ჩამონათვალისა და 4 დანართისაგან და 5 პლანშეტისაგან. მისი მოცულობაა 175 ნაბეჭდი გვერდი, მოიცავს 52 ილუსტრაციას და 45 ცხრილს.

თავი 1. ქართული ტრადიციული სამოსი ლიტერატურული წყაროების მიხედვით

ტრადიციული სამოსი ერის ისტორიული განვითარებისა და მხატვრული შემოქმედების თავისებური მატიანეა. ის მატერიალური და მხატვრული მემკვიდრეობისა და სულიერი კულტურის ფასდაუდებელ ძეგლს წარმოადგენს, ერთგვარ სარკეს, რომელშიც ნათლადაა არეკლილი ქვეყნის ეროვნული განსაკუთრებულობები, მისი კულტურული ტრადიციები, ერის მაღალი ესთეტიკური ღირსება და მხატვრული გემოვნება. ტრადიციული სამოსში ორგანულადაა შერწყმული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა სახეები, მრავალფეროვანი მასალების ჰარმონიულად შეხამება, უტილიტარული და ეკონომიკური ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება, შემკულობის დახვეწილი, უზადო ტექნიკა.

ტრადიციული სამოსი, ამავდროულად, წარმოადგენს ადამიანის სოციალურ და ინდივიდუალურ მახასიათებელს, მის ერთგვარ პასპორტს – ეთნიკურობის, სქესის, ასაკის, ხასიათის, გემოვნების გამოხატულებით. ქართულ ეროვნული სამოსი დროსა და სივრცეში უცვლელი ობიექტი როდია. დღეისათვის არსებული – საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე, ის საუკუნეთა განმავლობაში ვითარდებოდა, განიცდიდა ცვლილებებს, როგორც საკუთარი ბუნებრივი განვითარების, ისე მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის შედეგად. თანამედროვე იერსახე მან XVIII ს-ის შუა ხანებში მიიღო და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში – მთაში, ბარსა და ზღვისპირეთში, ადგილობრივი პირობების შესაბამისი, თვითმყოფადი, ინდივიდუალური ფორმით დამკვიდრდა. მართალია, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ტრადიციული სამოსი სრულიად შეცვალა თანამედროვე და მოხერხებული სტილის ევროპულმა კოსტიუმმა, მაგრამ ის ქართველ ხალხს შემორჩა, როგორც სიმბოლო ფიზიკური და სულიერი ჰარმონიის, ესთეტიკური მშვენიერების, სიწმინდის და ეროვნული ღირსებისა.

ტრადიციული ქართული სამოსი ერთნაირ დაინტერესებას იწვევს სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებში – ეთნოგრაფებში, ხელოვნებათმცოდნეებში, მხატვრებში, ტანსაცმლის ტექნოლოგებსა და დიზაინერებში. ყველა მათგანი საკუთარი ინტერესის

და ხედვის კუთხიდან განსაზღვრავს საკვლევი ობიექტის შესწავლის სიღრმეს და სახავს გზებს დასახული მიზნის განხორციელებისათვის.

1.1. ტრადიციული სამოსი უცხოურ ლიტერატურაში

ქართულმა ტრადიციულმა სამოსმა, როგორც მატერიალური კულტურის შემადგენელმა ნაწილმა, მკვლევართა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ყურადღება მხოლოდ ეთნოგრაფიული მეცნიერებისა და სამუზეუმო საქმის განვითარების შემდეგ, X1X ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში მიიპყრო. მანამდე ის ხშირად იყო უცხოელი მოგზაურების, დიპლომატების, მკვლევარი-ეთნოგრაფებისა თუ ნატურალისტების აღტაცების ობიექტი.

მე-18 საუკუნის ბოლოდან და განსაკუთრებით მე-19 საუკუნის დამდეგს, როდესაც ევროპის ეთნოგრაფიული საზოგადოებების მხრიდან საკმაოდ გაცხოველდა ინტერესი სხვადასხვა ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების მიმართ, საქართველოს სპეციალური მისიით მრავალი ეთნოგრაფი, ისტორიკოსი და გეოგრაფი ესტუმრა. მათ მიერ სამეცნიერო საზოგადოებისათვის წარდგენილ ანგარიშებში აღწერილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წეს-ჩვეულებანი, ჩაცმულობა და შესრულებულია ესკიზები ხალხის ტიპაჟისა და სამოსის ჩვენებით. ასეთი ფერადი ილუსტრაციების საფუძველზე ევროპასა და რუსეთში მუშავდებოდა ალბომები, ატლასები და სხვა სამეცნიერო გამოცემები. ეს წყაროები ნივთიერი მასალების არარსებობის პირობებში ძალზე ნათელ წარმოდგენას იძლევა იმ პერიოდის სამოსის შესახებ. მე-19 საუკუნის შუახანებიდან ევროპისა და რუსეთის სამეცნიერო-ეთნოგრაფიული საზოგადოების მიერ ინტენსიურად ხორციელდებოდა აზიისა და კავკასიის ქვეყნების შესწავლა, მოსახლეობის წეს-ჩვეულებების, ტიპებისა და სამოსის კვლევა – სპეციალურად სამეცნიერო გამოცემებისა და ატლასებისათვის. სამეცნიერო ნაშრომებს თან დართული ჰქონდა გრავიურები, ესკიზები და ჩანახატები,

მოგვიანებით გრავირებული ფოტოილუსტრაციები. აღნიშნული მასალები დღეისათვის უდავოდ დიდი მნიშვნელობის მქონეა [1].

X1X ს-ის დასაწყისის ქართული ტრადიციული სამოსის ილუსტრაციები ფერადი ლითოგრაფიების სახით წარმოდგენილია ალბომში „Народы России“, რომლებიც შექმნილია რუსი მოგზაურისა და მხატვრის ე. მ. კორნეევის ნახატების მიხედვით 1802-1803 წლებში [2]. ილუსტრაციებზე კარგადაა ასახული ქართველთა ტიპაჟი და სამოსი (ნახ. 1.1).

ნახ. 1.1. ქართველთა ტიპები და სამოსი: კორნეევის და ეირიესის მიხედვით

ფერადი გრავიურებითაა ილუსტრირებული 1838 წ. ფრანგულენოვანი გამოცემა L'Univers. Histoire et description de tous les peuples. Crimée, Circassie et Géorgie [3]. ალბომში წარმოდგენილ სურათებზე კარგად ჩანს ტრადიციული სამოსის ელემენტები. ნახატები შესრულებულია ფრანგი მხატვრების ფელიქს დანვინის და ავგუსტ-ფრანსუა ლემერტის მიერ X1X ს-ის 30-იან წლებში.

1840 წ. ციურიხში გამოცემულ პროფესორ ჰ. შინცის ნაშრომში „Naturgeschichte und Abbildungen der Menschen und Säugethiere“ [4] წარმოდგენილია გრავიურები „საქართველოს მცხოვრებნი ეროვნულ სამოსში“ (ნახ. 1.2).

ნახ. 1.2. ქართველთა ტიპები და სამოსი (შინცის მიხედვით 1840 წ.)

ქართული სამოსის შესახებ ინფორმაციულია, ასევე 1845 წ. გამოცემა „Les mystères de la Russie“ [5] გრავირებული ჟოფრუა შარლ მიშელის მიერ.

1831-34 წლებში საქართველოს სიძველეებს ეცნობოდა შვეიცარიელი მოგზაური, სიძველეთა მკვლევარი და გეოლოგი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე. ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხალხთა ისტორიის საკითხებს, ქართველთა ყოფა-ცხოვრებას, წეს-ჩვეულებეს, ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს და სხვა სფეროებს. მოგზაურობის დროს დიუბუამ შეასრულა დიდი რაოდენობის ჩანახატები, პეიზაჟები, ნახაზები, ხუროთმოძღვრული ძეგლების ესკიზები და მოხატულობათა ასლები, რომლებიც თავმოყრილია ალბომში. მისი ნაშრომი და ნახატები მნიშვნელოვანია, რადგან მათში შემდგომში განადგურებული ან სახეშეცვლილი ძეგლების აღწერილობებსა და ჩანახატების გარდა გვხვდება პეიზაჟები ადამიანების გამოსახულებით, თავისი თანადროული სამოსით, რაც ძალზედ საინტერესო მასალაა საკვლევი თემატიკისათვის [6].

X1X ს-ის 30-იან წლებში პროგრესულად მოაზროვნე რუსი ოფიცერი, მწერალი და დიპლომატი ბარონი თეოდორ ტორნაუ (ტორნოვი), მოდურ ფრანგულ კაბებთან შედარებით უპირატესობას ქართულ კაბას ანიჭებდა: „გრძელი ლიფი, წამახვილებული კალ-

თებით კორსეტის გარეშეც მოხერხებულად იყო შემოჭდობილი ქალის წელზე, ამასთან ის არ ზღუდავდა წელის ბუნებრივ მოქნილობას; გრძელი და განიერი ქვედა კაბა თვალწარმტაცად ფარავდა ჩამოქნილ ფორმებს; განიერი სარტყელი, წინ, იატაკამდე დაშვებული ბოლოებით წვრილ წელზე იყო შემოხვეული. ზურგი და მხრები დაფარული იყო, მაგრამ ღრმად ამოჭრილი ლიფი სრულიად გააშიშვლებდა მკერდს, დაფარული რომ არ იყოს სხვა ფერის აბრეშუმის ქსოვილით, სახელწოდებით „გულისპირი“ – „გულის საფარი“. ავტორი დაწვრილებით აღწერს ქალის ქათიბს, თავსაბურავებს და მათ მომოხიბლავ გარეგნობას [7].

საქართველოს მოსახლეობის ეთნოგრაფიული ყოფა და მათი სამოსი ზოგადად დახასიათებულია კავკასიის ერთ-ერთ პირველ ფუნდამენტურ კვლევაში „Обозрению российских владений на Кавказе (1836 г.)“ [8]. ქართველები ტრადიციულ სამოსში წარმოდგენილია ბრიტანელი მოგზაურის ედმუნ სპენსერისა და ფრანგი მოგზაურის ავგუსტ ვალენის მოგზაურობათა აღწერაში (ნახ. 1.3. ა) [9].

ქართველებითა და ქართული ტრადიციულ სამოსით აღფრთოვანება ვერ დამალა ფრანგმა მწერალმა ალ. დიუმამ (მამა), რომელმაც საქართველოში 1858 წ. იმოგზაურა. მოგზაურობის შთაბეჭდილება მწერალმა დეტალურად აღწერა თხზულებაში „კავკასია“-.დიუმა ხშირად გამოხატავს აღტაცებას ქართველებითა და ქართული სამოსით: „ქართველი – ეს არის თავით ფეხებამდე აბრეშუმისა თუ ხავერდის ტანისამოსში გახვეული მეჩვიდმეტე საუკუნის ცივილიზაცია, ეს არის ვენეცია, სიცილია, საბერძნეთი“ ქალის სამოსის აღწერისას ავტორი ეპითეტებს არ იშურებს: „მშვენიერი ლეილა საუცხოოდ იყო გამოწყობილი: თავზე ეხურა პატარა, ოქრომკერდით ნაკერი ჩაჩი თეძოებამდე ჩაშვებული გაზის ლეჩაქით. ტანს ემოსა შავი ატლასის გრძელი კაბა, ისიც ოქრომკერდით ნაკერი. გაჭრილი სახელოებიდან თითქმის მთელი მკლავები მოუჩანდა. კაბაზე ეცვა მკრთალი ვარდისფერი აბრეშუმის მოკლე ტუნიკა, რომელიც შესანიშნავად ევლებოდა სხეულს და მუხლებზე ეცემოდა... ბოლოს ეს ჩაცმულობა ... მთავრდებოდა ოქრომკერდით ნაქარგი შინდისფერი ხავერდის ჭვინტიანი ქოშებით, რომლებიც დრო და დრო მოუჩანდა შავი ატლასის ნაოჭებში“, ან კიდევ: „„...მეფის ნაცვლის დარბაზები სავსე იყო საუცხოო შეკერილობისა და ფერის კოხტა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ქართველებით.

ბრწყინვალე კაბებში შემოსილ ქალებს ზურგზე გრაციოზულად ეფინათ თავზე მოხვეული ხავერდის სალტეებიდან ჩამოშვებული ოქრომკერდით ნაქარგი ლეჩაქები. მამაკაცთა სარტყლებში კრიალი გაჰქონდა იარაღს. მანდილოსანთა შუბლებზე ბრწყინავდნენ ალმასები. ყველაფერ ამას მეთექვსმეტე საუკუნეში გადავყავდით“ [10].

ქართული სამოსით მოხიბლულმა დიუმამ თბილისში ტანსაცმლის სრული კომპლექტი შეიძინა და პარიზის სალონებში თავს იწონებდა. საქართველოში მოგზაურობასას ალ. დიუმას თან ახლდა ფრანგი მხატვარი ჟან-პიერ მუანე. მას შესრულებული და ცალკე ალბომად გამოცემული აქვს ნამუშევრები – პეიზაჟები და ჩანახატები, რომლებშიც იმდროინდელ ქართველთა ჩაცმულობასაც გადმოგვცემს (ნახ. 1.3. ბ) [11].

ნახ. 1.3. ქართველთა ტიპები და სამოსი: ა – ავგუსტ ვალენის მიხედვით; ბ – ჟან-პიერ მუანეს მიხედვით

XIX ს-ის 60-იან წლებში გუსტავ-თეოდორ პაულის მიერ გამოცემულ იქნა რუსეთის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი ენციკლოპედიური ნაშრომი „ЭТНОГРАФИЧЕСКОЕ ОПИСАНИЕ НАРОДОВ РОССИИ“ [12], რომელშიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი სხვა ხალ-

ხების გვერდით დახასიათებულია ქართველი ხალხი და წარმოდგენილია მათი პორტრეტები ეროვნულ სამოსში (ნახ.1. 4). წიგნი XIX საუკუნშივე რამდენჯერმა გამოიცა.

ნახ. 1.4. ქართველთა ტიპები და სამოსი (პაულის მიხედვით 1862 წ.)

ეთნოგრაფიული მასალების, მათ შორის ტრადიციული სამოსის შეკრებასა და აღწერაში დიდი წვლილი მიუძღვის წარნოშობით გერმანელ ბუნებისმეტყველს, გეოგრაფსა და ეთნოგრაფს **გუსტავ რადეს.** ის 1863 წლიდან ცხოვრობდა თბილისში, სადაც მისი დიდი ძალისხმევითა და უშუალო მონაწილეობით 1867 წელს ხელმეორედ შეიქმნა კავკასიის მუზეუმი. აღსანიშნავია, რომ რადეს შესრულებული აქვს ქართველთა სახასიათო პორტრეტები სამოსის დაწვრილებითი ჩვენებით [13].

მთის რაჭველთა სამოსით აღტაცება ჩანს გერმანელი მეცნიერის, დოქტორი **ვ. ბ. პფაფის** მოგონებაში, რომელმაც 1874 წ. იმოგზაურა საქართველოში: „ზეგანზე მთების ქვემოთ ნაწილში მდებარეობს დიდი სოფელი წედისი, იქ გარდა შენობებისა მე გამაოცა

ქალების თვალწარმტაც ნაირფეროვანმა ტანსაცმელმა, რომელიც ბევრ რამეში მაგონებს ანატოლიას“ [14].

საკვლევი თემატიკის მიხედვით საინტერესოა ინგლისელი მწერლისა და ალპინისტის **ფლორენს გროუვის** (გროვე) 1874 წლის კავკასიის ექცპედიციის აღწერა წიგნში – ,,The Frosty Caucasus“ (სუსხიანი კავკასია), რომელიც თავადვე დაასურათა [15]. თხზულებაში ავტორს დახასითებული აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის იმდროინდელი ყოფა-ცხოვრება. მწერალს დახატული ჰყავს ღებელი (ზემო რაჭა) მოვაჭრეების ჯგუფი და სვანი მამაკაცის პორტრეტი. ავტორი სურათებში ზუსტად გადმოგვცემს სამოსისა და თავსაბურავის დეტალებს. რაჭაში მოგზაურობისას ის მოგვითხრობს: „გავიარეთ რა ტყე, ჩვენ შევხვდით სამ ქალს, რომლებიც დამფრთხალნი გაიქცნენ. მათ ეცვათ მოკლე კაბა და შარვალი, ხოლო ქვედა ნაწილი დაფარული ჰქონდათ საბურველით, რომლის ტარებაშიც ისინი დიდ ხელოვნებას ამჟღავნებდნენ“.

1888 წელს რაჭველი ქალის სამოსელზე ყურადღებას ამახვილებს მოგზაური **კ. ჰანი**: „...ჩვენ მოგვეცა შემთხვევა გვეხილა იქაური ლამაზი ქალის მოხდენილი სადღესასწაულო ტანსაცმელი. ოქროს სირმით გრძელი შავი ხიფთნის ქვემოდან ეფექტურად მოსჩანს წითელი შარვალი, წელზე შემოჭერილი ლამაზი ქამრით. ხიფთნის მკერდი მორთულია წითლად, ქამარზე მომაგრებულია თეთრი წითელი კვადრატებიანი გრძელი და ფართო წინსაფარი. თავსამკაული რაღაც დოლბანდის მსგავსია, საიდანაც უკან ეშვება წითელფოჩებიანი თეთრი თავსაბურავი“ [14].

მე-19 საუკუნის ქართული სამოსის ფორმებისა და ფერის თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოელი მხატვრების გრ. გაგარინის (ნახ. 1.5), მ. ტილკეს (ნახ. 1.6), ტ. ჰორშელტის, მ. ზიჩის, ჰ. ჰრინევსკის და სხვათა ფერად სურათებს, გრაფიკულ ჩანახატებსა თუ გრავიურებს [16, 17, 18, 19, 20, 21, 22].

ნახ. 1.5. ქართველთა ტიპები და სამოსი გრ. გაგარინის მიხედვით

ნახ. 1.6. ქართველთა ტიპები და სამოსი მ. ტილკეს მიხედვით

1.2. ტრადიციული სამოსი ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში

ქართულ ისტორიოგრაფიაში ეროვნული სამოსის კვლევას დიდი ხნის ისტორია არ აქვს. ქართველ მკვლევართა საფუძვლიანი ყურადღება მან მხოლოდ XX ს-ის დასაწყისში მიიპყრო, თუმცა მანამდეც არსებობდა სამოსის შესწავლისადმი მიძღვნილი ცალკეული შრომები. ერთ-ერთი პირველი მკვლევარი ვახუშტი ბატონიშვილი იყო. მან დაახასიათა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ჩაცმულობა [23], მაგრამ უნდა აღინიშნოს. რომ ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ტრადიციული ქართული კოსტიუმის საბოლოო ფორმა და მის მიერ აღწერილი სამოსი ისტორიულ ფორმებს უფრო განეკუთვნება, მაგრამ მიუხრდავად ამის, ვახუშტი სამოსის კვლევის პიონერია და შეიძლება ითქვას, რომ მან საფუძველი ჩაუყარა აღნიშნულ დარგს.

პირველ მკვლევართა შორის არიან იოანე ბატონიშვილი [24], იესე ბარათაშვილი [25] და დავით ფანასკერტელ-ციციშვილი [26]. დავით ფანასკერტელ-ციციშვილის „შემოკლებული მოთხრობა ქცევათა და ჩვეულებათათვის ქართველთა“ ფაქტიურად პირველი ნაშრომია ტრადიციული სამოსის კვლევის სფეროში. ავტორს დაწვრილებით აქვს განხილული XIX ს-ისათვის დამახასიათებელი ეროვნული ჩაცმულობის ელემენტები: ყურთმაჯიანი კაბა-ქულაჯა, ჩოხა, ახალუხი, პერანგი, შარვალი, ჩაქურა, წუღა, ქალამანი, წინდა, პაიჭი, ყაბალახი, ჩიხტი-კოპი, ლეჩაქი და სხვ. განსაკუთრებით დაწვრილებით ქალთა სადღესასწაულო ტანსაცმელი აქვს განხილული: „პერანგი ზოგითა წითელი და ზოგთა ყვითელნი გრძელნი ფერხთამდე, ...ახალუხი ლარისა, ყურთმაჯაგაჭრილი რ˜მლისაგან ჰსჩანდა პერანგი, იღლიითგანვე იდაყვამდე: კაბა ძვირფასის ლარისა გრძელი ფერხადმდე, წინკალთა გახსნილი, რომლიდგან იხილვებოდა პერანგიცა, გარს ქობავლებული შესაბამის ფარჩისა, თეძოსა ზედან ამაღლებულის ნაქვთებითა, სახელნი ვიწრონი და ყოშიანი,...სარტყელი დიბისა ანუ სპარსული შალისა ფერხთამდე წვერებ ჩაშვებული, ... ზემოდან ტოლომა, ანუ ტყავი ესე იგი ძვირფასი ლარისა ბეწვიანი...“

ქართული ისტორიულ სამოსს განიხილავენ მკვლევარი ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი და ვინმე სოფლელი სტატიებში [27, 28].

ქართული ისტორიული სამოსის კვლევის სფეროში უმნიშვნელოვანესია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი. მეცნიერმა ისტორიული, ლიტერატურული, იკონოგრაფიული და ეთნოგრაფიული წყაროების გამოყენებით საფუძველი ჩაუყარა ნაციონალური სამოსის კვლევას. უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას შეიცავს მეცნიერის ნაშრომი „მასალები მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“, განსაკუთრებით ტერმინების მხრივ. ნაშრომში ქართული ტანსაცმელი განხილულია VI საუკუნიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე, მასთან ერთად ქსოვილები, სამკაულები, თავსაბურავები, ფეხსაცმელი და XI-XIII საუკუნეების მეფეთა სამოსი [29].

ხევსურული ტრადიციული სამოსის შემკულობის განხილვა-შესწავლას ძღვნება ვ. ბარდაველიძისა და გ. ჩიტაიას ნაშრომი „ქართული ხალხური ორნამენტი“, სადაც დაწვრილებითაა განხილული ტალავარის დამზადებისა და ორნამენტირების ხერხები და მეთოდები [30].

ქართული ტრადიციული სამოსის კვლევის საქმეში მნიშვნელოვანია გიორგი ჩიტაიას ნაშრომები ,,ხევსურული კოსტუმი“ და წინასიტყვაობა ივ. ციციშვილის წიგნისა „მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის“ [31, 32]. თავად ივ. ციციშვილის ნაშრომი ძალზე მნიშვნელოვანია ქართული ისტორიული სამოსის კვლევის საქმეში [33].

ქართული ისტორიული კოსტიუმის კვლევას შეიცავს ნინო ჩოფიკაშვილის ნაშრომები [34].

ტრადიციული სამოსის კვლევის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით მკვლევარ-ეთნოგრაფებს: გიორგი ბოჭორიძეს, სერგი მაკალათიას, ლუბა ბოჭორიშვილს, გერცელ ჩაჩაშვილს, ნინო გვათუას, ციალა ბეზარაშვილს, ლეილა მოლოდინს, იზოლდა სამსონიას,

ეთნოგრაფ **სერგი მაკალათიას** მონოგრაფიებში – „მთის რაჭა“, „თუშეთი“, „ხევი“, „ფშავი“, „ხევსურეთი“, „მთიულეთი“, „მესხეთ-ჯავახეთი“, ყოფა-ცხოვრებასა და სხვა ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად აღწერილი აქვს თითოეული კუთხის ჩაცმულობა [35, 36, 37, 38, 39, 40, 41].

მხატვარ-ეთნოგრაფ **ნინო ბრაილაშვილის** მაღალი პროფესიული დონის ნაშრომი „ასეთი მახსოვს საქართველო“ ძალზე საყურადღებოა ეთნოგრაფიული ჩანახატებითა და ესკიზებით, რომლებიც დეტალურად გადმოგვცემს სამოსის ფორმას, მის შემკულობას, თარგებს, ასევე ტარებისა და თავბურვის წესებს [42].

ქალის ჩაცმულობა გამოიკვლია ეთნოგრაფმა **ლუბა ბოჭორიშვილმა,** რომელმაც ცალკე სტატიად გამოსცა „კახური ჩაცმა-დახურვა (ქალის ჩაცმულობა)“. იგი ეფუძნე-

ბა ავტორის მიერ, შიგნით კახეთის სოფლებში შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალას [43].

ველზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული სამოსის მიხედვით **გერცელ ჩაჩაშვილმა** გამოაქვეყნა სტატია: „ქართლელი გლეხი მამაკაცის კოსტუმი XIX საუკუნისა“, რომელშიც სრულადაა წარმოდგენილი XIX-XX სს. გლეხი მამაკაცის ჩაცმულობის ელემენტები, ქსოვილები, თარგები და შემკულობა [44].

XIX-XX სს-ის ქალის ტრადიციული სამოსის კვლევაზე მუშაობდა **ნინო გვათუა.** სხვადასხვა სახის წყაროების, ეთნოგრაფიული ნივთების და ველზე შეკრებილი მასალების კვლევის შედეგები გამოქვეყნებული აქვს ნაშრომებში [45, 46, 47]. ავტორს განხილული აქვს ქალის თავბურვა, ზედა და ქვედა ტანისამოსი, საცვალი, თმის დაყენების წესი და ფეხსაცმლის ტიპები. ავტორი განიხილავს ასევე სამოსის აქსესუარებსა და ტერმინთა განმარტებებს.

XIX-XX საუკუნეების ქართული ტრადიციული სამოსის კვლევაში მნიშვნელოვანია **ციალა ბეზარაშვილის** ნაშრომი: „ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, რომელიც აერთიანებს, თუში, ფშავი და ხევსური ქალის ტანსაცმელთა ჯგუფებს, განიხილავს სამოსის ცალკეულ ელემენტებსა და მათ ტერმინოლოგიას [48]. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ავტორის ნაშრომები – „ქართული ხალხური ტანსაცმელი“ (გ. ჯალაბაძის თანაავტორობით), „ტყავის სამოსელი“, „მასალები გლეხი ქალის სამოსელის შესწავლისათვის ქსნის ხეობაში [XIX-XX სს-ის მიჯნა]“, „ქალის ქვეშეთი სამოსელი საქართველოს მთიანეთში“ და, აგრეთვე, სხვა პუბლიკაციები ქართული ეროვნული ჩაცმულობის შესახებ [49, 50, 51, 52].

საკვლევი თემატიკისათვის მნიშვნელოვანია **ლეილა მოლოდინის** „ქართული კოსტიუმის კატალოგი“ და ასევე ცალკე სტატიად გამოქვეყნებული ქართველი მამაკაცის ქუდები და თავსაბურავები. ნაშრომი ეფუძნება საქართველოს ეროვნული მუზეუმის, კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდში დაცულ ეთნოგრაფიულ მასალას [53, 54].

ეთნოკოსტიუმების შეწავლისათვის მნიშვნელოვანია **ლეილა მარგოშვილის** ნაშრომები: „ცენტრალური კავკასიონის მთიელი ქალის ტანსაცმელი“ და „ჩაცმულობა, რომელიც მოდას არ დაგიდევთ“ [55, 56]. ავტორს განხილული აქვს ცენტრალური

კავკასიის მთიელთა ჩაცმულობა, მათი დამზადებისა და მოხმარების ტრადიციები, ნაშრომებს ახლავს საილუსტრაციო მასალა.

ისტორიული ტანსაცმლის კონსტრუქციული თავისებურებანი ალექსანდრე ბატონიშვილის ჩოხის მაგალითზე, ასევე, იკონოგრაფიული მასალების მიხედვით [57] განხილულული აქვს კ. ლანჩავას.

ქართული კოსტიუმის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის მკვლევარი ი. უგრეხელიძე, ის მიმოიხილავს ქართულ საისტორიო და ლიტერატურულ წყაროებს; ისტორიულ სამოსს იკვლევს მონუმენტური და მინიატურული მხატვრობის მიხედვით; გვაწვდის შუა საუკუნეების კოსტიუმის კლასიფიკაციასა და დეკორატიულ სახელოიანი ნაწარმის ევოლუციის სქემას [58].

ქართული ტრადიციული ძალზე საყურადღებოა სამეცნიერო-მონოგრაფიული კატალოგი „ქართული ტრადიციული სამოსი XVIII-XX საუკუნეები“ **მკვლევართა ჯგუფის** ავტორობით. ნაშრომი უხვადაა ილუსტრირებული საქართველოს მუზეუმების ფონდებში დაცული სხვადასხვა კუთხის საერო სამოსის იშვიათი ნიმუშების ილუსტრაციებითა და XIX საუკუნის ფოტოსურათებით; მოცემულია ქართული კოსტიუმის განვითარების მოკლე ექსკურსი; სამოსის სახეობის დახასიათება, მასალები, ტარების წესი და სხვ. ნაშრომი უდავოდ დიდი მნიშვნელობის მქონეა ქართული ტრადიციისა და და კულტურის პოპულარიზაციის საქმეში [59].

ძველი ქართული ჩაცმულობის კონსტრუქციები და მათი გამოყენების შესაძლებლობები თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიებში აქვს განხილული დ. ქორჩილავას სადისერტაციო ნაშრომში [60].

მკვლევარ ი. ჩარკვიანს სადისერტაციო ნაშრომში განხილული აქვს ქართული ეროვნული ტანსაცმლის ერგონომიკული მაჩვენებლების კვლევა და ტექნოლოგიის დამუშავება ქალის რაჭული სამოსის მაგალითზე [61].

ქართული ტრადიციული სამოსის და ისტორიული კოსტიუმის კვლევის თვალსაზრისით საყურადღებოა ლ. ლურსმანაშვილის, გ. კვანტიძის, ნ. დოლიძის, ი. ჩარკვიანის და ი. უგრეხელიძის ნაშრომები [62].

საყურადღებოა, აგრეთვე, მკვლევარების ლ. ოსეფაშვილის, მ. აზიკურის, ნ. ბრეგაძის, ნ. ნადარაიას და სხვათა პერიოდულ სამეცნიერო გამოცემებში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები ქართული ტრადიციული სამოსის შესახებ [63].

ქართული ტრადიციული სამოსის შემკულობის გაცნობის თვალსაზრისით საყურადღებოა ავტოთა ჯგუფის მონოგრაფია **„ძველი ქართული ნაქარგობა“** [64].

საკვლევი თემატიკისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონეა ამ ბოლო დროს გამოცემული მონოგრაფია **„ქართული ეროვნული სამოსის ილუსტრირებული ცნობარი“** მეცნიერთა ჯგუფის ავტორობით. ნაშრომში უძველესი წერილობითი წყაროების, იკონოგრაფიული მასალების, საქართველოს მუზეუმებში დაცული ქართული ეროვნული სამოსის კოლექციებისა და სამეცნიერო შრომების ანალიზის საფუძველზე განხილულია, ქართული ეროვნული სამოსის ჩამოყალიბების პროცესი უძველესი დროიდან მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით, მოცემულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამოსის სახეობები, ფორმები და მათი შედარებითი ანალიზი, აღწერილია სამოსის დამზადებისათვის გამოყენებული მასალები, მათი დამზადების უძველესი ხალხური ტრადიციები და შემკულობა. ცნობარში წარმოდგენილია ეროვნული სამოსის კონსტრუქციები, ტექნოლოგიური დამუშავების სქემები, ტერმინთა ილუსტრირებული, განმარტებითი ლექსიკონი [65].

ქართული ტრადიციული სამოსის კვლევისათვის ძალზე ინფორმაციული ქართველი მხატვრების შემოქმედება, განსაკუთრებით პორტრეტული ჟანრის ნაწარმოებები. ამ მხრივ საყურადღებოა ფიროსმანის, გიგო გაბაშვილის, რომანოზ გველესიანის, გიგო ზაზიაშვილის, ირაკლი თოიძის და სხვათა ტილოები (ნახ. 1.7).

ტრადიციული სამოსის შესასწავლად ასევე საყურადღებოა ფოტოგრაფების დ. ერმაკოვის, ალ. როინაშვილისა და ვ. კაჩუხოვის მიერ აღბეჭდილი ქართველთა სურათები ეროვნულ კოსტიუმებში.



ნახ. 1.7. ქართული ტრადიციული სამოსი ქართველი მხატვრების შემოქმედებაში

ქართული ტრადიციული სამოსის ფორმებისა და სახეების მოძიება პროფესიონალი ფოტოგრაფების ნამუშევრებში, ძალზე შორს წაგვიყვანდა, რადგან ჩვენი ქვეყნის მუზეუმებში, ეროვნულ არქივში, პარლამენტის ბიბლიოთეკასა თუ კერძო კოლექციებში დაცულია დიდძალი რაოდენობის XIX ს-ის უნიკალური ფოტომასალა, რომლებზეც აღბეჭდილია პიროვნებები ტრადიციული სამოსით. ამ მასალათა ქრონი-

ლოგია იწყება ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც ფოტოხელოვნების მხოლოდ წინამორბედი – დაგეროტიპია (საქართველოში 1845 წ-დან) არსებობდა, რომელიც სიძვირის გამო ფუფუნების საგანს წარმოადგენდა და მხოლოდ ერთეულებისათვის იყო ხელმისაწვდომი. აქედან გამომდინარე ეს ცალკე კვლევის საგანია და წინამდებარე ნაშრომში არ განიხილება.

პირველი თავის დასკვნები

1. უცხოური წყაროების შესწავლის შედეგად გამოვლინდა მასალები, რომლებიც ძალზე საინტერესო და საყურადღებო ინფორმაციის შემცველია ქართული ტრადიციული სამოსის ვიზუალური მხარის შესახებ და რომლებიც პირველად იქნა შეტანილი სამეცნიერო მიმოქცევაში;
2. ქართული სპეციალური ლიტერატურის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ტრადიციული სამოსი ძირითადად შესწავლილია ისტორიულ–ეთნოგრაფიული კუთხით და არ არის გამოკვლეული მისი კომპოზიციურ-დეკორატიული განსაკუთრებულობები – თანამედროვე ტანსაცმელში გამოყენების მიზნით;
3. ლიტერატურული მიმოხილვის შედეგად კიდევ ერთხელ გამოიკვეთა სადისერტაციო თემის აქტუალობა.

თავი 2. ქართული ტრადიციული სამოსის კონსტრუქტორულ-კომპოზიციური მახასიათებლების კვლევა და მონაცემთა ელექტრონული ბანკის ფორმირება

თანამედროვე ეტაპზე მოდის ინდუსტრიასა და სამოსის დიზაინში სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მოდის მიმდინარეობის ერთ-ერთი სახე – ეთნოსტილი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი შემადგენლის – ეროვნული კოსტიუმის გამოყენებით თანამედროვე ტანსაცმლის ასორტიმენტის გამდიდრებას გულისხმობს [84]. ასორტიმენტის გამრავალფეროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ეროვნული ფესვებთან კავშირის და ტრადიციების შენარჩუნების თვალსაზრისითაც. თანამედროვე დიზაინში ეთნოსტილის განვითარებისათვის საინტერესო მასალას წარმოადგენს ნატიფი სილამაზით, ელეგანტურობით და განსაკუთრებული შემკულობით გამორჩეული ქართული ტრადიციული სამოსი, რომლის დანახვაზეც აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ უცხოელი მოგზაურები თუ მკვლევარი-ეთნოგრაფები. ის მართლაც უშრეტი წყაროა მხატვარ-მოდელიორის მოღვაწეობისათვის. ქართული ტრადიციული სამოსი, როგორც დიზაინერის შემოქმედებითი საქმიანობის პირველწყარო, თანამედროვეებისათვის ხელმისაწვდომობასა და განსაკუთრებულ კავშირს საჭიროებს. მაგრამ, რადგანაც დღეისათვის მხოლოდ სამუზეუმო ნიმუშებადღაა შემორჩენილი, მასთან ფიზიკური კონტაქტი ძალზე შეზღუდულია, შეიძლება ითქვას – ფაქტიურად შეუძლებელია. კიდევ უფრო მეტიც, დროთა განმავლობაში ეროვნული კოსტიუმის სამუზეუმო ნიმუშები გახდება უფრო მეტად მნიშვნელოვანი და ფასეული, მათთან წვდომა კი კიდევ მეტად შეიზღუდება, მაშინ, როდესაც სპეციალისტების ინტერესი მათ მიმართ არამარტო შენარჩუნდება, არამედ გაიზრდება კიდეც. აქედან გამომდინარე, საჭიროა ისეთი კავშირის მოძებნა, როცა ტრადიციული კოსტუმის ისტორიულ ნიმუშთან უშუალო კონტაქტის გარეშე შესაძლებელი იქნება მის შესახებ ამომწურავი და სანდო ინფორმაციის მიღება. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით შესაძლებელია სამუზეუმო ნიმუშების ვირტუალური დათვალიერება, რაც არასაკმარისია სრული ინფორმაციის მისაღებად. ამისათვის აუცილებელია მონაცემთა ბანკი, ე.წ. „მეხსიერების მუზეუმი“, „დაკონსერვებული“ უნიკალური კატალოგი-კოსტუმოთეკით. ტრადიცი-

ული სამოსის ასეთ კოსტუმოთეკაში „დაკონსერვების“ შემდეგ შესაძლებელი იქნება მისი მოძიება, ვიზუალურად ნახვა მონიტორზე და სრული ინფორმაციის მიღება. ასეთი ამოცანის გადაჭრა საჭიროებს შესაბამისი ცოდნის ბაზისა და მონაცემთა ბაზის ფორმირებას, რომელიც სისტემატიზებულს გახდის ინფორმაციას ტრადიციული სამოსის შესახებ. ამით აიხსნება ტრადიციული სამოსის სამუზეუმო ნიმუშების სტრუქტურისა და შინაარსის ციფრული სახით შენახვის, მონაცემთა ბანკში გადატანის პრინციპების და მეთოდის დამუშავების აუცილებლობა. გამომდინარე იქედან, რომ ტრადიციული სამოსი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლია, ინოვაციური მეთოდით (ციფრული სახით) მისი შენახვა, კონტაქტის გარეშე ვირტუალური წვდომა და საჭიროებისამებრ გამოყენება სამეცნიერო კვლევის აქტუალური მიმართულებაა. ასეთი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება მით უფრო მნიშვნელოვანია დღეისათვის – ყოფა-ცხოვრების გასაოცარად აჩქარებული რიტმისა და მკაცრი კონკურენციის პირობებში, როდესაც დიზაინერის შემოქმედებითი საქმიანობის პროცესში წინა პლანზეა წამოწეული ახალი ექსკლუზიური თუ საავტორო კოლექციის, ზოგადად სამოსის, დაგეგმარებასა და დამზადებაზე დროის დანახარჯის შემცირების იდეა (ჩანაფიქრიდან მოყოლებული მის საბოლოო განხორციელებამდე). მაშინ როდესაც აუცილებელი და მნიშვნელოვანია სწრაფად და ზუსტად შესრულდეს ახალი მოდელის დამუშავებისა და დამზადების სრული ციკლი, პრობლემურია ის საკითხი, რომ არ არსებობს შესაბამისი სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფა, რომლის მიხედვით განხორციელდება თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარება ტრადიციული სამოსის ელემენტების გამოყენებით. ამ დროს განმსაზღვრელია მხოლოდ მოდელიორ-კონსტრუქტორის სუბიექტური პროფესიული გამოცდილება და არ არსებობს მეცნიერულად ჩამოყალიბებული მეთოდური მითითება. რეალურად კი მნიშვნელოვანია რაციონალიზებულ იქნას სპეციალისტის საქმიანობა მოდელის დაგეგმარების თითოეულ ეტაპზე. აუცილებელია ტრადიციული სამოსის კონსტრუქციის ბაზისის, მისი განმასხვავებელი ნიშნების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების, მეთოდური და ინფორმაციული უზრუნველყოფის სხვა ელემენტების არსებობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ აუცილებელია ტრადიციული სამოსის ანალიზის თეორიული და მეთოდოლოგიური წანამძღვრების არსებობა [86] .

თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარების პროცესში ქართული ტრადიციული ეთნოელემენტების, როგორც უნიკალური წყაროს გამოყენების შესაძლებლობის გამარტივებისათვის აუცილებელია ახალი, განსხვავებული ტექნოლოგიური გადაწყეტა მათი სისტემატიზაციის, ანალიზისა და ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრის მიმართულებით. აღნიშნული ამოცანის გადაჭრა უნდა განხორციელდეს ეტაპების მიხედვით:

- ქართული ტრადიციული სამოსის სისტემატიზაცია (ძირითადი მახასიათებლების კვლევისათვის);
- ძირითადი მახასიათებლების კლასიფიკაცია;

ქართული ტრადიციული სამოსის ძირითადი მახასიათებლების კვლევისა და ანალიზისათვის აუცილებელია განხორციელდეს მათი სისტემატიზაცია. აღნიშნული ამოცანის გადაჭრისათვის უნდა მოხდეს სამუზეუმო ფასეულობათა (სამოსისა და მისი ელემენტების) აღრიცხვის სფეროში არსებული პრობლემის გამოკვეთა, შემდგომი გადაჭრით.

ამჟამად სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის წარმოება ხორციელდება ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია პროექტის - „მუზეუმებისთვის ერთიანი სააღრიცხვო ელექტრონული სისტემის შექმნის უზრუნველყოფა“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება 2017 წლის ბოლოდან. მის მიზანს წარმოადგენს საქართველოს სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და მართვის მოქნილი, ერთიანი ცენტრალიზებული სისტემის უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მარტივად, ნებისმიერ დროს, რეალურ რეჟიმში ქვეყანაში არსებული სამუზეუმო ექსპონატების შესახებ ინფორმაციის მიღება და ანგარიშგების წარმოება. სისტემაში ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე მუზეუმია ჩართული. 2018 წლიდან დაგეგმილია საქართველოს სხვადასხვა მუზეუმების აღნიშნულ პროცესში ეტაპობრივად ჩართვა [66].

ამ მეთოდის ხარვეზს წარმოადგენს ერთიანი ტერმინოლოგიური ენისა და სამუზეუმო ნივთის გაზომვის ზუსტი სისტემის არარსებობა. სიტყვიერ-აღწერითი ფორმის სისტემა, რომელიც გამოყენებულია ამა თუ იმ ნივთის დასამზადებელი მასალის, დამზადების ტექნიკის და გაზომვის მეთოდების დახასიათებისათვის, არ იძლე-

ვა საშუალებას ფორმირებულ იქნას მუზეუმის ფასეულობათა მონაცემების სისტემატიზირებული ბაზა. სამუზეუმო ნიმუშების რიგი თემატური ჯგუფებისა – ისეთები, როგორიცაა ქსოვილები, სამკაულები და მისთანანი – აღწერისა და გაზომვის მეთოდიკა პრაქტიკულად არ არსებობს. გარდა ამისა აღნიშნული საინფორმაციო სისტემა არ შეიცავს არავითარ მონაცემებს ეროვნული სამოსის ნიმუშების კონსტრუქციებისა და დამუშავების ტექნიკის შესახებ, რაც საჭირო და აუცილებელ ინფორმაციას წარმოადგენს დიზაინერის შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

ეს გარემოება წარმოადგენს სამუზეუმო ნივთების აღწერის, გაზომვის, კონსტრუქტორულ-კომპოზიციური და ტექნოლოგიური გადაწყვეტის სისტემის დაგეგმარების წინაპირობას, შემდგომში ამ ნიმუშების მონაცემთა ინფორმაციული ბაზის შექმნის მიზნით – დიზაინერის შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის გამოყენების მიზნით.

ქართული ტრადიციული სამოსის მორფოლოგიური აღწერა უნდა განხორციელდეს ნიმუშის თანმიმდევრული კონკრეტიზაციის პრინციპით – ძირითადი საგნობრივი, კომპოზიციურ-კონსტრუქციული და ზომითი მახასიათებლების შერჩევით.

საგნობრივი მახასიათებელი მოიცავს აუცილებელ ზოგად ცნობებს – ნიმუშის შექმნის დროს, გამოყენების არეალს და ფუნქციურ დანიშნულებას.

ქართული ტრადიციული სამოსის ძირითადი მახასიათებლების კვლევის მიზნით განხორციელდა სამუზეუმო ნიმუშების შესწავლა. სულ შესწავლილ იქნა XIX- XX საუკუნეების (20-იანი წლებამდე) ასამდე სამუზეუმო ნიმუში (ცხრ. 2.1). კვლევა ჩატარდა ქუთაისის ისტორიული მუზეუმის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ონის ეთნოგრაფიული მუზეუმის, მესტიის მუზეუმის, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, კორშის ეთნოგრაფიული მუზეუმის, და სხვ. ფონდებში.

ცხრილი 2.1

გამოკვლეული სამუზეუმო ნიმუშების რაოდენობა

N	სამოსის სახეობა რეგიონების მხედვით	რაოდენობა (ცალი)	% საერთო რაოდენობიდან

1	კაბა ქართული (ქართლი, კახეთი, იმერეთი)	9	9,3
2	კაბ-ჯუბა (თუშეთი)	4	4,1
3	კაბა (ფშავი)	5	5,1
4	სადიაცო (ხევსურეთი)	28	29,1
5	კაბა (მთიულეთი)	5	5,1
6	კაბა (ხევი)	5	5,1
7	კაბა სამჯორჯლიანი (ლეჩხუმი)	3	3,1
8	საგულე (რაჭა)	11	11,3
9	ჟიბეტან-ჩუბეტან (სვანეთი)	4	4,1
10	კაბა (სამეგრელო)	5	5,1
11	კაბა (აფხაზეთი)	3	3,1
12	კაბა (გურია)	2	2,1
13	ფორკა კაბა (აჭარა)	9	9,3
14	კაბა (მესხეთ-ჯავახეთი)	4	4,1
	ს უ ლ	**97**	**100**

როგორც ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, ქართული ტრადიციული სამოსის გამოკვლეული სამუზეუმო ნიმუშები – კერძოდ ქალის კაბის სახეობები, მოიცავს 97 ერთეულს, რომლებიც განეკუთვნება 14 რეგიონს. შესწავლილი ნიმუშებიდან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (29,1 %) ხევსურულ სადიაცოს, ხოლო დაბალი - აფხაზურ კაბას (3,1 %) ეკუთვნის.

2.1. კვლევის ობიექტი და ტრადიციული სამოსის სამუზეუმო ნიმუშების კვლევის სპეციფიკა

სამუზეუმო ნიმუშების კვლევის სპეციფიკის გათვალისწინებით კვლევის ობიექტი (ტრადიციული სამოსი) დაფიქსირებულ იქნა ჩანახატების, ფოტოსურათებისა და ტექნიკური ნახაზების სახით. სამოსი, როგორც ანსამბლები დაფიქსირებულ იქნა მანეკენზე ორი სილუეტური გამოსახულებით – წინხედით და დამატებითი ხედით (გვერდიდან, ან უკნიდან); გამოკვლეული კომპლექსის თითოეული ელემენტი (კაბა, ზედა სამოსი, სახელო და ა.შ.) წარმოდგენილია ესკიზურად, სიბრტყეზე გაშლილი წინა და უკანა ხედით.

ტრადიციული სამოსის გამოკვლეული ერთობლიობიდან ჩვენი ქვეყნის თითოეული რეგიონისათვის, რომლებიც გამორჩეულია საკუთარი, მეტნაკლებად განსხვავებული ეთნოელემენტებით (სულ 14 რეგიონი, რეგიონებად დაყოფისას გათვალისწინებულ იქნა საზღვრები უძველესი დროიდან ჩამოყალიბებული ეთნიკური და ყოფითი განსხვავებების მიხედვით), გამოყოფილ იქნა ყველაზე მეტად დამახასიათებელი ტიპიური ნიმუში (ნახ. 2.1).

ქართლ-კახელი და იმერელი ქალის სამოსი ძირითადად იდენტურია, თუმცა საკმაო მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. გავრცელებული იყო კაბის შემდეგი სახეობები: სარტყელ-გულისპირიანი კაბა სახლართავებით ან გუჯასტებით, წელიანი, კერესიანი და ტვინიკიანი კაბა. თავსაბურავებიდან ქართლელი ქალი იყენებდა ჩიხტიკოპს, თავსახ ვევს, ბლონდის დაბასმულ ლეჩაქს.

იმერელი ქალის კაბის სამოსის შემადგენლობაში შედის: კაბა, სარტყელითა და გულისპირით, ზედა სამოსი ქათიბი და თასაბურავი. იმერელი ქალის კაბა იდენტურია ზოგადი სახის სარტყელ-გულისპირიანი ქართული კაბისა. თავსაბურავად იყენებდნენ თავსაკრავს – „თავსრაკს“ შიგ მოთავსებული კოპით, ან ჩიხტი-კოპს, ბლონდის (წმინდა აბრეშუმის) ლეჩაქსა და აბრეშუმის ბაღდადს.

თუში ქალის ტრადიციული სამოსის ელემენტებია: უბიანი კაბა „ჩოხა“, პერანგი, ფარაგა, მუხლსაფარა, ქათიბი და ტყავკაბა.

მეგრელი ქალის ტრადიციული სამოსი იყო: ქართული კაბა, პერანგი, ხაბარდა, სირმიანი ქათიბი, ტოლომა, მოსასხამი. სამოსის განსაკუთრებული ელემენტი იყო მოკლე ზედატანი, რომელიც მზადდებოდა ხავერდის ქსოვილისაგან და გაფორმებული იყო ძალზე დახვეწილად შესრულებული ოქრომკედის ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტის ნაქარგობით, ბეწვით. თავსაბურავი შედგებოდა შემდეგი ელემენტებისაგან: კაკულარი (ჩიხტა), გაგურჯელა, ლეჩაქი, გაგუჯა.

ნახ. 2.1. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ტრადიციული სამოსი: ა – ქართლ-კახეთი, იმერეთი; ბ – თუშეთი; გ – ფშავი; დ – ხევსურეთი; ე – მთიულეთი; ვ – ხევი; ზ – ლეჩხუმი; თ – რაჭა; ი – სვანეთი; კ – სამეგრელო; ლ – აფხაზეთი; მ – გურია; ნ – აჭარა; ო – მესხეთ-ჯავახეთი

გურული ქალის ტრადიციული სამოსის ძირითადი ელემენტი იყო ქართული კაბა ყურთმაჯებითა და სარტყელ-გულისპირით, რომლებიც მზადდებოდა აბრეშუმის ქსოვილისაგან და შემკობილი იყო მდიდრული ნაქარგობით. გურული ქალის ტრადიციული სამოსის განსაკუთრებულობას წარმოადგენდა მოკლე ზედატანი-ელეგი, მუქი შინდისფერი, თეთრი და ყავისფერი ხავერდის ქსოვილისაგან. გურული ქალის ტრადიციული სამოსის თავსაბურავია თავსახვევი „ცახოცი“ და ლეჩაქი.

აჭარელი ქალის ტრადიციული სამოსის ძირითადი ელემენტები იყო „ზუბუნ-ფარაგა“ და გარედან შემოსული ფორკა-კაბა. აჭარელი ქალის სამოსის ზოგიერთმა ელემენტმა განიცადა უცხოური ზეგავლენა, მაგრამ ქართული იერი მაინც შეინარჩუნა, ამის მაგალითია აჭარელი ქალის ზედა სამოსის საინტერესო სახეობა - სიხმა. ქალის აჭარული ტრადიციული სამოსის თავსაბურავმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, მასში დამკვიდრდა ისეთი ელემენტები, როგორიცაა - ფესი, დუვაღი და ვალა. თავსაბურავის დამახასიათებელი ქართული ელემენტი - ლეჩაქი არსებობას განაგრძობდა უცხო ელემენტების გვერდით.

აფხაზი ქალის ტრადიციული სამოსის შემადგენელი ელემენტები იყო: კაბა, პერანგი - ბეშმეტი, მოკლე ზედა ჩასაცმელი მაუდის ან ბარხატის ქსოვილისაგან, უსახელო მოსასხამი (ჟილეტი) და გრძელი შარვლი. აფხაზი ქალის თავსაბურავს წარმოადგენდა ლეჩაქი და თავსაფარი.

ფშაველი ქალის ტრადიციული სამოსის ძირითადი ელემენტი იყო ნაოჭიანი, საკმაოდ განიერი და არშია მიკერებული წითელი ან ლურჯი ფერის კაბა. კაბაზე იფარებდნენ შავი სატინის წინსაფარს „ფასტამალს“, რომლის ბოლო ფერადი ძაფების ჯვრისა და ვარსკვლავის გამოსახულებებით იყო შემკული. თავსაბურავი შედგებოდა „თავჩითას“, „ჩიქილას“ და ქიშმირის მოსახვევისაგან.

მთიული ქალის ტრადიციული სამოსის შემადგენლობაში შედიოდა: ზედა ტანი, ქვედა ტანი, ქა- თიბი, „ფასტამალა“, იგივე წინსაფარი.მთიულური ტრადიციული სამოსის თავსაბურავს წარმოადგენს ხილაბანდი და თავშალი.

სვანი ქალის კაბა ორი ნაწილისაგან შედგებოდა–„ჟიბე ტან“ (ზედა) და „ჩუბე ტან“ (ქვედა). წელის ხაზზე ნაოჭით. ზედატანი („ჟიბე ტანი“) იყო გამოყვანილი სილუეტის, წინ ჩაჭრილი და ვერცხლისაგან დამზადებული „ხელკავებით“ შეკრული. მას

„კუნტრუშკაის“ ეძახდნენ და აუცილებლად უნდა ჰქონოდა ფართო საყელო და გრძელი სახელოები.ქალის თავსაბურავს წარმოადგენდა ლეჩაქი, მანდილი და გაურჯელა.

ხევსური ქალის სამოსის შემადგენელი ელემენტებია: შინნაქსოვი ტოლის გრძელი კაბა – სადიაცო, ზემოდან შემოსაცმელი ტოლისვე ქოქლო, ან მოკლესახელოებიანი ფაფანაგი (საგარეოდ).ხევსური ქალის თავსაბურავია სათაურა და მანდილი.

მოხევე ქალის ტრადიციული სამოსი შედგებოდა: ახალუხი, ,,კანდოლი“ (მოკლე ახალუხი), ,,ჟილეტკა“,. საგულე, პერანგი, ,,ჩოფრასტანი“ (ქამარი), თავსაბურავი: მანდილი, მერდინი.

ზემო რაჭველი ქალის ტრადიციული სამოსის ელემენტებია: გრძელი პერანგი, ყურთმაჯიანი კაბა-კაფთარა,სარტყელი და წინსაფარი.ზემო რაჭაში გავრცელებული იყო ასევე, კაბის ქვეშ ჩასაცმელი ქვედა კაბა „სამალაჯა“, რომელიც მზადდებოდა ბამბის ან აბრეშუმის ქსოვილისაგან. ზემო რაჭველი ქალის თავსაბურავს წარმოადგენდა თეთრი მიტკლისაგან შეკერილი „ჩიქილა“, რომელსაც ქვემოთ შემოვლებული ჰქონდა „ფოჩი“ და „ჩიმჩიყი“. ჩიქილაზე იხვევდნენ თავშალს.

მესხი და ჯავახი ქალის სამოსს შეადგენდა წითელგულიანი პერანგი, გულამოჭრილი გრძელი ზუბუნი, ანდუსტიანი კაბა, წითელი შალის ფეშტამალი. ქალის სამოსის ერთ-ერთი ელემენტი იყო შარვალი „ტოტბაბთა“.ქალები თავზე იბურავდნენ გრძელ თეთრ ჩადრს, ხოლო ლეჩაქს იხურავდნენ და შუბლს აბრეშუმის ხელმანდილით იკრავდნენ. ზემოდან იდებდნენ ჩიქილას და იფარებდნენ წითელ ბაღდადს.

2.2. ქართული ტრადიციული სამოსის კლასიფიკაცია

ქართული ტრადიციული სამოსი მხოლოდ მატერიალური კულტურის ობიექტი როდია, ის შეიცავს განსაზღვრულ ინფორმაციას ფუნქციური, რეგიონული, სქესობრივი, სეზონური და სხვა მახასიათებლების შესახებ. სწორედ ამ მახასიათებლების მიხედვით განხორციელდა ტრადიციული სამოსის კლასიფიკაცია (სქ. 2. 1).

ტრადიციული სამოსისათვის დამახასიათებელი ყველა ინფორმაცია – ფუნქციური, სქესობრივი სეზონური და სხვა, ისევე, როგორც ნებისმიერი ინფორმაცია, მიუხედავად სირთულის ხარისხისა, შესაძლოა კოდირებულ იქნას ციფრული სისტემის გამოყენებით. კოდირება ტექნიკური ხერხია, რომლის მეშვეობით მონაცემები ნაწილდება კრიტერიუმებისა და მათი მაჩვენებლების მიხედვით. კოდირება ხორციელდება რიცხვითი მნიშვნელობის, ანუ კოდის მინიჭების გზით. კოდირება საჭიროებს სამოსის ცალკეული ელემენტების გარეგნული სახის, კონსტრუქციული წყობის, გამოყენებული მასალების, მხატვრულ-კომპოზიციური მახასიათებლების მრავალმხრივ ანალიზს, განზოგადებას, ტიპიზაციას და გარკვეული სახით დაჯგუფებას.

რა თქმა უნდა, ობიექტის აბსოლუტურად შესაბამისი აღწერის მიღება რთულია, მაგრამ მიზანშეწონილობის მიხედვით, ეს აუცილებელი არ არის. ახალი, თანამედროვე კოსტუმის შექმნა ტრადიციული, ეროვნულის საფუძველზე - არის ისტორიული წყაროს არა ბრმა კოპირება, არამედ მისი ტრანსფორმირება, განსაზღვრული განზოგადება, სტილიზაცია, საერთო აღქმა.

ქართული ტრადიციული სამოსი საჭიროა განხილულ იქნას თანამედროვე სამკერვალო წარმოების პროდუქციასთან კავშირში და სამკერვალო ნაწარმის, კერძოდ ტანსაცმლის, კლასიფიკაციაში გამოყოფილ იქნას ერთ-ერთი დამოუკიდებელი შტოს (ობიექტის) სახით.

სქემა 2.1

ქართული ტრადიციული სამოსის კლასიფიკაცია



ტრადიციული სამოსის კოდირების მიზნით კლასიფიკაცირება განხორციელდა ობიექტის იერარქიულად, საფეხურებრივი პრინციპით დალაგების გზით – თითოეული ობიექტის კონკრეტიზაციის გათვალისწინებით, როდესაც ყოველი მომდევნო საფეხური წარმოადგენს წინას ნიშან-თვისების, მახასიათებლის კონკრეტიზაციას. თითოეულ იერარქიულ საფეხურს ენიჭება შესაბამისი კოდი – ციფრული ნიშანი (ერთნიშნა, ორნიშნა). კოდის სტრუქტურაში ობიექტების იერარქიული განაწილება ნაჩვენებია სქემა 2.2-ზე. კოდის სტრუქტურის მნიშვნელობები მოცემულია ცხრ. 2.2. რეგიონების, სქესობრივი ნიშნის და სამოსის ელემენტებისათვის მინიჭებული კოდები ნაჩვენებია შესაბამისად ცხრ. 2.3. – 2.5.

სქემა 2.2

კოდის სტრუქტურა



ცხრილი 2.2.

კოდის გაშირვა

კოდის პოზიცია (თანრიგი)	**ცხრილის ნომერი (კოდის ციფრი)**	**კოდის სტრუქტურა**
I II	ცხრ. 1.3	რეგიონი
III	ცხრ. 1.4	სქესობრივი ნიშანი
IV- V	ცხრ. 1.5	ელემენტი
VI	ცხრ. 1.6	სილუეტი
VII	ცხრ. 1.8	მასალა
VIII	ცხრ. 1. 10 – 1.35	კომპოზიციურ- კონსტრუქციიული ნიშანი

ცხრილი 2.3.

რეგიონების პოზიცია

N	კოდის ციფრი	რეგიონი
1	01	ქართლი, კახეთი, იმერეთი
2	02	თუშეთი
3	03	ფშავი
4	04	ხევსურეთი
5	05	მთიულეთი
6	06	ხევი
7	07	ლეჩხუმი
8	08	რაჭა
9	09	სვანეთი
10	10	სამეგრელო
11	11	აფხაზეთი
12	12	გურია
13	13	აჭარა
14	14	მესხეთ-ჯავახეთი

ცხრილი 2.4.

კოდირება სქესობრივი ნიშანის მიხედვით

N	კოდის ციფრი	რეგიონი
1	01	ქალი
2	02	მამაკაცი

ცხრილი 2.5.

სამოსის ელემენტების კოდი

N	კოდის ციფრი	სამოსი	სქესობრივი ნიშანი
1	0	საცვალი თეთრეული (პერანგი, ქვედა საცვალი)	ქალი, მამაკაცი
2	1	შიგა სამოსი (კაბა, საგულე, ახალუხი, შარვალი, შეიდიში)	ქალი, მამაკაცი
3	2	გარე სამოსი (ჩოხა, ქულაჯა, ქათიბი,...)	ქალი, მამაკაცი
4	3	აქსესუარები (წინსაფარი, სარტყელ-გულისპირი, სარტყელი, ქამარი,...)	ქალი, მამაკაცი
5	4	თავსაბურავები	ქალი, მამაკაცი
6	5	ზედა სამოსი (ნაბადი, ქურქი,...)	ქალი, მამაკაცი

როგორც ცხრილებიდან ჩანს (ცხრ. 2.3 – 2.5) რეგიონის კოდი, რომელსაც პირველი პოზიცია უჭირავს ორნიშნაა (რასაც განაპირობებს რეგიონების რაოდენობა – 14), ხოლო სქესობრივი ნიშნის და სამოსის ელემენტებისათვის მინიჭებული კოდები ერთნიშნა.

2. 3. ქართული ტრადიციული სამოსის კონსტრუქტორული მახასიათებლების ანალიზი და ელექტრონული ბანკის ფორმირება

ტრადიციული სამოსის მხატვრულ-კონსტრუქციული ანალიზი ხორციელდება ეტაპებად და მოიცავს მოდელის კომპოზიციის ყოველმხრივ შესწავლას (ტანსაცმლი-სადმი წაყენებული მოთხოვნების კომპლექსის გათვალისწინებით), ასევე გარეგნული ფორმის სხვა მაჩვენებლებთან (დანიშნულების, კონსტრუქცული აგებულების, ფორმაწარმოქმნის) ურთიერთკავშირის განხილვას.

ვრცელი მასალის ანალიზი და რეგიონების მიხედვით სამოსის კომპოზიციურ-კონსტრუქციული მახასიათებლების შედარება საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ამა თუ იმ ელემენტის ესთეტიკური თვისებები და განისაზღვროს მისი მორფოლოგიური სტრუქტურა.

ტრადიციული სამოსის კონსტრუქტორულ-კომპოზიციური მახასიათებლების ანალიზის პროცესში გამოკვლეულ იქნა: სამოსის ელემენტების სილუეტი, მასალების სტრუქტურა (ბოჭკოვანი შემადგენლობა), ფაქტურა, ნახატი, ფერი, ფორმის დანაწევ-რება, სახელოს ფორმა და სიგრძე, ყელის ღიობის კონფიგურაცია და შესაკრავის სახე, დეკორატიული გაფორმების სახეობები, მათი განლაგება, ორნამენტული მოტივი და გაფორმების ფერში გადაწყვეტა. განსაზღვრულ იქნა რეგიონების მიხედვით თითოეული ამ მახასიათებლისათვის შეხვედრათა სიხშირე. შეხვედრათა რაოდენობიდან გამომდინარე, მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით, განხორციელდა მათ პოზიციის განსაზღვრა (კოდირება). კოდის პირვე-ლი ციფრი – 1 მიენიჭა ყველაზე ხშირად შემხვედრ ფორმას, ხოლო დანარჩენი, შესა-ბამისად, კლებადობის მიხედვით (დანართი I).

2. 3. 1. ქართული ტრადიციული სამოსის სილუეტი და მისი კოდირება

კონსტრუქტორულ-კომპოზიციური მახასიათებლების ანალიზის ჩატარებისას მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სამოსის სილუეტური ფორმა. მას კლასიფიკაციის იერარქიულ სისტემაში ტრადიციული სამოსის ელემენტის დახასიათებისათვის პირველი საფეხური აქვს გამოყოფილი.

სილუეტის დადგენის მიზნით რეგიონალურ და ეროვნულ მუზეუმებში შესწავლულ იქნა სამუზეუმო ექსპონატები, კერძოდ ეთნოსამოსის კომპლექსების შემადგენლობაში შემავალი ელემენტის კაბის ფორმები, მათი ტანზე გამოწყობილობის ხარისხი.

ქართული ტრადიციული კაბის **სილუეტის** საფუძველს გეომეტრიული ფორმები (მართკუთხედი, ტრაპეცია) წარმოადგენენ. კვლევის შედეგად დადგენილ იქნა გავრცელებული სილუეტური ფორმების შეხვედრათა სიხშირე (ცხრ. 2.6) და განხორციელდა სილუეტური ფორმებისათვის კოდის მინიჭება, მნიშვნელოვნების გათვალისწინებით – კლებადობის პრინციპით.

ცხრილი 2.6

კაბის სილუეტის გეომეტრიული ფორმა

N	გავრცელების რეგიონი	სამოსის ესკიზი	სილუეტური ფორმა	გეომეტრიული ფორმა
1	ქართლი, კახეთი, იმერეთი		გამოყვანილი სწორი	

2	თუშეთი		სწორი გა- ფართოებუ- ლი	
3	ფშავი		გამოყვანილი	
4	ხევსურეთი		სწორი გაფარ- თოებული	

5	მთიულეთი		გამოყვანილი	
6	ხევი		გამოყვანილი	
7	ლეჩხუმი		გამოყვანილი	
8	რაჭა		გამოყვანილი	

9	სვანეთი		სწორი გაფართოებუ-ლი	
10	სამეგრელო		გამოყვანილი	
11	აფხაზეთი		გამოყვანილი	
12	გურია		გამოყვანილი	

13	აჭარა		სწორი გაფარ-თოებული	
14	მესხეთ-ჯავა-ხეთი		გაფართოებუ-ლი	

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქართული კაბის ეთნოფორმების ანალიზმა გამოავ-ლინა, რომ ძირითადად გავრცელებულია სილუეტის სამი სახე: გამოყვანილი (გამოყ-ვანილობის სხვადასხვა ხარისხით), სწორი და გაფართოებული. განსაზღვრულ იქნა აღნიშნული ფორმების შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით და შესაბამისად შეხვედრის პროცენტული თანაფარდობა საერთო რაოდენობიდან (ცხრ. 2.5). სილუე-ტური ფორმების შეხვედრათა რაოდენობიდან გამომდინარე, მათემატიკური სტატის-ტიკის მეთოდების გამოყენებით, განხორციელდა მათი კოდირება. კოდის პირველი ციფრი – 1 მიენიჭა ყველაზე ხშირად შემხვედრ ფორმას, ხოლო დანარჩენი, შესაბამი-სად, კლებადობის მიხედვით.

ცხრილი 2.7

კაბის სილუეტის შეხვედრათა სიხშირე

N	რეგიონი	სილუეტი	შეხვედრათა რაოდენობა	შეხვედრის %
1	ქართლი-კახეთი, იმერეთი, ფშავი, მთიულეთი, ხევი, ლე-ჩხუმი, რაჭა, სამეგრელო, აფხა-ზეთი, მეს. ჯავახ.	გამოყვანილი	36	37,1%
2	თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი, ლეჩხუმი, აჭარა, მესხ-ჯა-ვახ.	გაფართოებული	31	31,97%

3	თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი, რაჭა, სვანეთი, აჭარა	სწორი	30	30,93%
	სულ		**97**	

როგორც ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს კაბის სილუეტურ ფორმებს შორის ყველაზე ხშირად გამოყვანილი სილუეტი გვხვდება, უფრო ნაკლებად გაფართოებული სილუეტი, ხოლო შედარებით იშვიათად სწორი სილუეტი, თუმცა აღნიშნული სილუეტების შეხვედრის რაოდენობათა შორის სხვაობა არცთუ მნიშვნელოვანია.

სილუეტის შეხვედრათა სიხშირის განსაზღვრის შემდეგ განხორციელდა მათი კოდირება. რადგანაც დაშიფრვისას კლებადობის პრინციპით ვსარგებლობთ, ცხადია კოდის პირველი ციფრი – 1 მიენიჭა ყველაზე ხშირად შემხვედრ ფორმას, ხოლო დანარჩენი შესაბამისად კლებადობის მიხედვით (ცხრ. 2.8).

ცხრილი 2.8

კაბის სილუეტური ფორმის კოდირება

კოდის ციფრი	**სილუეტი**
1	გამოყვანილი
2	გაფართოებული
3	სწორი

2. 3. 2. ქართული ტრადიციული სამოსისათვის გამოყენებული მასალები და მათი კოდირება

კოდირების მომდევნო პოზიცია განკუთვნილია ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოყენებული მასალის დახასიათებისათვის.

ქართველი ხალხი ოდითგანვე დიდ ყურადღებას აქცევდა ტანსაცმლისათვის მასალის შერჩევას. მასალის თვისებებიბი მნიშვნელოვნად განაპირობებს ტრადიციული სამოსის მაღალმხატვრულ ღირებულებას და უნიკალობას.

ტრადიციული სამოსის სამუზეუმო ორიგინალების შესწავლამ გამოავლინა, რომ საზოგადოდ ქალის კაბების დასამზადებლად გამოიყენებული იყო შალის, აბრე-

შუმისა და ბამბისა ქსოვილები, როგორც შინამრეწველური წეით დამზადებული, ისე უცხო ქვეყნებიდან შემოზიდული.

ტრადიციული სამოსის სამუზეუმო ორიგინალების კვლევის შედეგად გამოვ-ლენილ იქნა სამოსის დასამზადებლად გამოყენებული მასალების შეხვერათა სიხში-რე და ფარდობითი წილი.

ბოჭკოვანი შემადგენლობის მიხედვით მასალის შეხვედრათა რაოდენობა რეგი-ონების შესაბამისად და შეხვედრის პროცენტული თანაფარდობა საერთო რაოდენო-ბიდან ნაჩვენებია ცხრ. 2.9.

ცხრილი 2.9

კაბის მასალის შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით

N	რეგიონები	ბოჭკოვანი შემადგენლობა					
		შალი		აბრეშუმი		ბამბა	
		რაოდ-ბა	%	რაოდ-ბა	%	რაოდ-ბა	%
1	ქართლი, კახეთი, იმერეთი	1	2.44	6	19.35	2	8
2	თუშეთი	4	9.76				
3	ფშავი	1	2.44	2	6.45	2	8
4	ხევსურეთი	28	68.28				
5	მთიულეთი	2	4.88			3	12
6	ხევი	3	7.32	2	6.45		
7	ლეჩხუმი			2	6.45	1	4
8	რაჭა			2	6.45	9	36
9	სვანეთი	1	2.44	1	3.23	2	8
10	სამეგრელო			3	9.68	2	8
11	აფხაზეთი			3	9.68		
12	გურია			1	3.23	1	4
13	აჭარა			6	19.35	3	12
14	მესხეთ-ჯავახეთი	1	2.44	3	9.68		
	სულ	**41**		**31**		**25**	**100**

მასალების ბოჭკოვანი შემადგენლობის მიხედვით კოდირება წარმოდგენილია ცხრ. 2.10.

ცხრილი 2.10

კაბის მასალის ბოჭკოვანი შემადგენლობის კოდირება

კოდის ციფრი	ბოჭკოვანი შემადგენლობა
1	შალი
2	აბრეშუმი
3	ბამბა

ტრადიციული სამოსის დამზადებისათვის მასალა თავის მხრივ, ბოჭკოვანი შემადგენლობის გარდა, განხილულია კიდევ ორი მახასიათებლით – ნახატი და ფაქტურა.

მასალის **ნახატის** შეხვედრათა სიხშირე რეგიონების შესაბამისად და შეხვედრის პროცენტული მაჩვენებელი საერთო რაოდენობიდან ნაჩვენებია ცხრ. 2.11.

ცხრილი 2.11

კაბის მასალის ნახატის შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით

N	რეგიონები	ნახატი					
		სადა		დაჩითული		ჟაკარდული	
		რაოდ-ბა	%	რაოდ-ბა	%	რაოდ-ბა	%
1	ქართლი- კახეთი, იმერეთი	3	3,1	1	1,0	5	5,2
2	თუშეთი	4	4,1				
3	ფშავი	5	5,1				
4	ხევსურეთი	28	28,9				
5	მთიულეთი	5	5,1				
6	ხევი	5	5,1				
7	ლეჩხუმი	3	3,1				
8	რაჭა	2	2,1	9	9,3		
9	სვანეთი	3	3,1	1	1,0		
10	სამეგრელო	2	2,1			3	3,1
11	აფხაზეთი	1	1,0			2	2,1
12	გურია	1	1,0			1	1,0
13	აჭარა	8	8,3	1	1,0		
14	მესხეთ-ჯავახეთი	4	4,1				
	სულ	**74**	**76,4**	**12**	**12,3**	**11**	**11,3**

მასალის ნახატის კოდირება წარმოდგენილია ცხრ. 2.12.

ცხრილი 2.12

კაბის მასალის ნახატის კოდირება

კოდის ციფრი	ნახატი
1	სადა
2	დაჩითული
3	ჟაკარდული

ტრადიციული სამოსის მასალის შემდეგი (მესამე) მახასიათებლის – **ფაქტურული ზედაპირის** შეხვედრათა რაოდენობა რეგიონების შესაბამისად და შეხვედრის

პროცენტული თანაფარდობა საერთო რაოდენობიდან ნაჩვენებია ცხრ. 2.11. და ცხრ. 2.13.

ცხრილი 2.13

კაბის მასალის ფაქტურული ზედაპირის შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით

N	რეგიონები	ფაქტურა				
		გლუვი	მარცვლ.	მქრქალი	ხაოიანი	ბზინვარ
1	ქართლ-კახეთი,იმერეთი	2		2	2	3
2	თუშეთი		4			
3	ფშავი		3			2
4	ხევსურეთი		28			
5	მთიულეთი		5			
6	ხევი		3	1		1
7	ლეჩხუმი		1	2		
8	რაჭა	2	9			
9	სვანეთი		4			
10	სამეგრელო	2		1		2
11	აფხაზეთი			1		2
12	გურია	1				1
13	აჭარა			6	3	
14	მესხეთ-ჯავახეთი		1			3
	სულ	**7**	**58**	**13**	**5**	**14**

მასალების ფაქტურული ზედაპირის კოდირება წარმოდგენილია ცხრ. 2.14.

ცხრილი 2.14

კაბის მასალის ფაქტურული ზედაპირის კოდირება

კოდის ციფრი	ფაქტურა
1	მარცვლოვანი
2	ბზინვარე
3	მქრქალი
4	გლუვი
5	ხაოიანი

განხილული მახასიათებლების შესაბამისად ტრადიციული კაბის დასამზადებ-ლად გამოყენებული მასალებისათვის გამოყოფილია სამი თანრიგი (პოზიცია): 1 – ბოჭკოვანი შემადგენლობა, 2 – ნახატი, 3 – ფაქტურა.

2.3.3. სამოსის კონსტრუქციული თავისებურებები და მისი კოდირება

კაბის კონსტრუქციული თავისებურებების ანალიზისა და კოდირებისათვის საჭიროა დაწვრილებით იქნას განხილული მისი დანაწევრება, დეტალების ფორმები, ზომები, ნაპირების კონფიგურაცია და თითოეული მახასიათებელი დაშიფრულ იქნას პოზიციების შესაბამისად.

სამოსის კონსტრუქციულ თავისებურებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი დანაწევრება წელის ხაზზე. ქართული კაბის და ზოგადად, ქართული სამოსის შემთხვევაში, წელის ხაზზე გადაჭრა განსაზღვრავს მისი გამოწყობილობის ხარისხს. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გავრცელებულ ქართული კაბა ზედატანისა და ნაოჭასხმული ქვედა კაბისაგან შედგება, რომლებიც ძირითადად შეერთებულია წელის ხაზზე, ამასთან, როგორც მასალის კვლევა აჩვენებს, საკმაოდ ხშირად გვხვდება კაბები, რომლის ზედატანი და ქვედა კაბა მხოლოდ ზურგის არეშია ერთმანეთთან დაკავშირებული. აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონში კაბას ტუნიკისებური ფორმა აქვს. ასეთი კაბების სილუეტი თავისუფალი ან გაფართოებულია და წელის არეში დანაწევრებული არ არის, თუმცა აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში წელში გადაჭრილი თავისუფალი სილუეტის კაბაბიც გვხვდება.

წელის ხაზზე **დანაწევრების** შეხვედრათა სიხშირე რეგიონების შესაბამისად და ნაჩვენებია ცხრ. 2.15.

ცხრილი 2.15

კაბის წელის ხაზზე დანაწევრების შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით

N	რეგიონები	დანაწევრება წელის ხაზზე			
		წელში გადა-უჭრელი	ზურგი-სარეში შეერთე-ბული	წელის ხაზ-ზე შეერთე-ბული	ცალკე ლიფით
1	ქართლ-კახეთი, იმერეთი		4	3	2
2	თუშეთი	4			
3	ფშავი	1		2	2
4	ხევსურეთი	28			
5	მთიულეთი			3	2
6	ხევი	2		3	
7	ლეჩხუმი			2	1
8	რაჭა	2		9	
9	სვანეთი			1	3

10	სამეგრელო		1	2	2
11	აფხაზეთი			3	
12	გურია			2	
13	აჭარა	3		6	
14	მესხეთ-ჯავახეთი			3	1
	სულ	40	5	39	13

კაბის წელის ხაზზე დანაწევრების კოდირება წარმოდგენილია ცხრ. 2.16

ცხრილი . 2.16

კაბის წელის ხაზზე დანაწევრების კოდირება

კოდის ციფრი	**დანაწევრება წელის ხაზზე**
1	წელში გადაუჭრელი
2	წელის ხაზზე შეერთებული
3	ცალკე ლიფით
4	ზურგის არეში შეერთებული

კაბის კონსტრუქციული თავისებურების მომდევნო მახასიათებელს მისი **სიგრძე** წარმოადგენს. საზოგადოდ, ქართული ტრადიციული კაბა გრძელია (ტერფამდე სიგრის), მაგრამ ზოგიერთ რეგიონში (ხევსურეთი, მთა-თუშეთი, რაჭა) გვხვდება კაბები, სიგრძით კოჭს ზემოთ და შუა წვივზე. აქედან გამომდინარე, განსაზღვრულ იქნა კაბის თითოეული სიგრძის შეხვედრათა სიხშირე, რეგიონების მიხედვით (ცხრ. 2.15) და განხორციელდა მისი კოდირება (ცხრ. 2.17).

ცხრილი 2.17

კაბის სიგრძის შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით

N	**რეგიონები**	**სამოსის სიგრძე**		
		ტერფამდე	**კოჭამდე**	**შუა წვივამდე**
1	ქართლ-კახეთი, იმერეთი	9		
2	თუშეთი		4	
3	ფშავი	1	2	
4	ხევსურეთი			28
5	მთიულეთი		9	
6	ხევი	2		
7	ლეჩხუმი			
8	რაჭა	2	9	
9	სვანეთი	8		
10	სამეგრელო		1	
11	აფხაზეთი	4		
12	გურია	4		
13	აჭარა	5	4	
14	მესხეთ-ჯავახეთი		7	
	სულ	**40**	**29**	**28**

ცხრილი 2.18

კაბის სიგრძის შეხვედრათა სიხშირის კოდირება

კოდის ციფრი	**სამოსის სიგრძე**
1	ტერფამდე
2	კოჭამდე
3	შუა წვივამდე

ტრადიციულ სამოსში ყველაზე ცვლადი ელემენტი **სახელოა.** ცვალებადია მისი სახე, კონფიგურაცია, სიგრძე, ბოლოს გაფორმება და ა.შ. (ნახ. 2.2, ნახ. 2.3). აქედან გამომდინარე, სახელო განხილულია ოთხი მახასიათებლით: სახელოს სახე, ზედა ნაპირის კონფიგურაცია, სახელოს სიგრძე და სახელოს ბოლოს ფორმა, რომლებიც თავის მხრივ გაანალიზებულია რამდენიმე მაჩვენებლის მიხედვით.

ქართული ტრადიციული კაბის **სახელოს სახეები** რეგიონების მიხედვით ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებულია. ქართული კაბისათვის (ქართლი, კახეთი, იმერეთი; ნაწილობრივ – სამეგრელო, გურია, მესხეთ-ჯავახეთი) ჩვეულებრივ დამახასიათებელია ერთი სახელო, ან ორმაგი – სახელო-ყურთმაჯის

ა ბ გ

ნახ. 2.2. ქართული ტრადიციული კაბის სახელოს სახეები: ა – ჩაკერებული სახელო; ბ – ჩაკერებული ყურთმაჯა, მოსახსნელი სახელო; გ – ჩაკერებული სახელო, მოსახსნელი ყურთმაჯა/-სახელქურო

კომპლექტი, რომელთაგან ერთ-ერთი მოსახსნელი ელემენტია, მეორე კი კაბის იღლიის მრუდში ჩაკერებული დეტალია. გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში ორმაგი

სახელოები დაგრძელებული ფორმებით გამოირჩევა. მთიან რეგიონებში, ძირითადად, მოსახსნელი სახელო არ არის გავრცელებული, მხოლოდ თუშურ კაბ-ჯუბას აქვს დამახასიათებელი შესაცვლელი ელემენტი სახელქურო, რომელიც შედგენილია სხვადასხვა ფერისა და ფაქტურის ქსოვილის რამდენიმე მანჟეტისებური დეტალის ერთმანეთთან შეერთებით.



ნახ. 2.3. ქართული ტრადიციული კაბის სახელოს ფორმები

რეგიონების შესაბამისად სახელოს სახეების მიხედვით შეხვედრის სიხშირე და შეხვედრის პროცენტული თანაფარდობა საერთო რაოდენობიდან ნაჩვენებია ცხრ. 2.19, ცხრ. 2.20.

ცხრილი 2.19

სახელოს სახეების შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით

N	რეგიონები	სახელოს სახე

		ჩაკერებული	ჩაკერებული ყურ-თმაჯა, მოსახსნელი სახელო	ჩაკერებული სახელო, მოსახ-სნელი ყურთმაჯა/სახელქუ-რო
1	ქართლ-კახეთი, იმერეთი	4	3	2
2	თუშეთი			4
3	ფშავი	5		
4	ხევსურეთი	28		
5	მთიულეთი	5		
6	ხევი	5		
7	ლეჩხუმი	1	2	
8	რაჭა	11		
9	სვანეთი	4		
10	სამეგრელო	3		2
11	აფხაზეთი	3		
12	გურია			2
13	აჭარა	9		
14	მესხეთ-ჯავახეთი	4		
	სულ	**82**	**5**	**6**

ცხრილი 2.20

სახელოს სახეების შეხვედრათა სიხშირის კოდები

კოდის ციფრი	დანაწევრება წელის ხაზზე
1	ჩაკერებული
2	ჩაკერებული სახელო, მოსახსნელი ყურთმაჯა/სახელქურო
3	ჩაკერებული ყურთმაჯა, მოსახსნელი სახელო

ქართული ტრადიციული კაბის **სახელოს სიგრძის** ცვალებადობა ძირითადად ბარის რეგიონებში შეინიშნება და უფრო ნაკლებად მთაში. უმეტეს შემთხვევაში სახელოს სიგრძე მაჯის ხაზამდეა, ყურთმაჯიანი ქართული კაბების სახელო ზოგ შემთხვევაში დაგრძელებლია, ხოლო თუშური კაბის სახელო შედარებით მოკლეა და მისი სიგრძე მერყეობს იდაყვისა და მაჯის დონეებს შორის, მაჯამდე შევსებულია სახელქუროთი.

სახელოს სიგრძის შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია ცხრ. 2.21, ხოლო მისი კოდირება შესაბამისად ცხრ.2.22.

ცხრილი 2.21

კაბის სახელოს სიგრძის შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით

N	რეგიონები	სახელოს სიგრძე	
		მაჯამდე	ხელზე გრძელი
1	ქართლ-კახეთი, იმერეთი	3	6
2	თუშეთი	4	
3	ფშავი	5	
4	ხევსურეთი	28	
5	მთიულეთი	5	
6	ხევი	5	

7	ლეჩხუმი	1	2
8	რაჭა	11	
9	სვანეთი	4	
10	სამეგრელო	3	2
11	აფხაზეთი	1	2
12	გურია	2	
13	აჭარა	9	
14	მესხეთ-ჯავახეთი	4	
	სულ	**85**	**12**

ცხრილი 2.22

კაბის სახელოს სიგრძის კოდირება

კოდის ციფრი	**სახელოს სიგრძე**
1	მაჯამდე
2	ხელზე გრძელი

ქართული ტრადიციული კაბის სახელოს ფორმა იცვლება ზედა და ქვედა ნაპირების კონფიგურაციის ცვლილების შესაბამისად. გვხვდება სახელოები სწორი და მომრგვალებული ზედა ნაპირებით. სახელოს **ზედა ნაპირის კონფიგურაციის** შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით მოცემულია ცხრ. 2.23, შესაბამისად მისი კოდირება ცხრ. 2.24.

ცხრილი 2.23

კაბის სახელოს ზედა ნაპირის კონფიგურაციის შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით

N	**რეგიონები**	**ზედა ნაპირის კონფიგურაცია**	
		სწორხაზოვანი	**ოვალური**
1	ქართლ-კახეთი, იმერეთი		9
2	თუშეთი	4	
3	ფშავი	3	2
4	ხევსურეთი	28	
5	მთიულეთი	5	
6	ხევი	4	1
7	ლეჩხუმი		3
8	რაჭა		11
9	სვანეთი		4
10	სამეგრელო		5
11	აფხაზეთი		3
12	გურია		2
13	აჭარა		9
14	მესხეთ-ჯავახეთი		4
	სულ	**44**	**53**

ცხრილი 2.24

კაბის სახელოს ზედა ნაპირის კონფიგურაციის კოდები

კოდის ციფრი	**დანაწევრება წელის ხაზზე**
1	**ოვალური**

2	**სწორხაზოვანი**

ტრადიციული კაბის სახელო **ქვედა ნაპირის** ფორმის ცვლილებითაც ხასიათ-დება. არსებობს სწორხაზოვანი და ყოშით დაბოლოებული სახელოები, რომელთა შეხვედრის სიხშირე და მათი კოდირება მოცემულია შესაბამისად ცხრ. 2.25, და ცხრ. 2.26.

ცხრილი 2.25

კაბის სახელოს ბოლოს ფორმის შეხვედრათა სიხშირე, რეგიონების მიხედვით

N	**რეგიონები**	**სახელოს ბოლო**	
		სწორხაზოვანი	**ყოშით**
1	ქართლ-კახეთი, იმერეთი	3	6
2	თუშეთი	4	
3	ფშავი	3	2
4	ხევსურეთი	28	
5	მთიულეთი	5	
6	ხევი	3	2
7	ლეჩხუმი	1	2
8	რაჭა	2	9
9	სვანეთი	1	3
10	სამეგრელო	3	2
11	აფხაზეთი	2	1
12	გურია		2
13	აჭარა	9	
14	მესხეთ-ჯავახეთი	4	
	სულ	**68**	**29**

ცხრილი 2.26

კაბის სახელოს ბოლოს ფორმის შეხვედრათა სიხშირის კოდირება

კოდის ციფრი	**სახელოს ბოლოს ფორმის**
1	სწორხაზოვანი
2	ყოშით

სამოსის გარეგნულ იერსახეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გულისპირის, კერძოდ – ყელის ღიობის კონფიგურაცია და შესაკრავის სახე. ქართულ ტრადიციულ სამოსში გვხვდება სხვადასხვა სახის ყელის ღიობი: სამკუთხა; ღრმად დეკოლტირე-ბული – ოვალური, მართკუთხა ან ფიგურული ჭრილით; მართკუთხა ფორმის ძალზე ღრმად (წელისა ხაზამდე) ამოჭრილი; ყელთან მომდგარი. ღრმად დეკოლტირებული

ყელის ღიობები, ჩვეულებრივ, უხვად დეკორირებული ჩასადგმელი გულისპირითაა შევსებული.

ქართული ტრადიციული სამოსი გამორჩეულია შესაკრავთა ნაირფეროვნებით: სახლართავები, გუჯასტები, დედალ-მამალი ხრიკები, კავები, ამოსხმული ღილკილოები, ღილები, დუგმები, ჩაფრასტები და სხვ.

აქედან გამომდინარე ყელის ღიობის კონფიგურაციისა და შესაკრავის სახის ანალიზი ჩატარებულია ოთხი სხვადსხვა ფორმის – სამკუთხა (შესაკრავი სახლართავი, კავები, გუჯასტები), ღრმადამოჭრილი ოვალური (შესაკრავი გუჯასტები, კავები), ღრმად ამოჭრილი მართკუთხა და ყელთანმომდგარი (შესაკრავი ღილკილოები, ხრიკები, ჩაფრასტები) ღიობებისათვის.

ყელის ღიობის კონფიგურაციისა და **შესაკრავების** სიხშირე რეგიონების შესაბამისად ნაჩვენებია ცხრ.2.27 , ხოლო მათი კოდების ციფრი ცხრ. 2.28.

ცხრილი 2.27

კაბის ყელის ღიობი-შესაკრავის შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით

N	რეგიონები	ყელის ღიობის კონფიგურაცია			
		სამკუთხა (სახლართავი, კავები, გუ-ჯასტები)	ღრმადა-მოჭრ. ოვა-ლური (გუ-ჯასტ. კავე-ბი)	ღრმადა-მოჭრ. მარ-თკუთხა	ყელთანმომ-დგარი (ღილ-კილოები, ხრი-კები, ჩაფრას-ტები)
1	ქართლ-კახეთი, იმერეთი	4	3		2
2	თუშეთი			4	
3	ფშავი	4		1	
4	ხევსურეთი				28
5	მთიულეთი	2			3
6	ხევი	5			
7	ლეჩხუმი	2			1
8	რაჭა	11			
9	სვანეთი				4
10	სამეგრელო	3	2		
11	აფხაზეთი	3			
12	გურია		2		
13	აჭარა	6			3
14	მესხეთ-ჯავახეთი	3			1
	სულ	**43**	**7**	**5**	**42**

ცხრილი 2.28

კაბის ყელის ღიობი-შესაკრავის კოდირება

კოდის ციფრი	ყელის ღიობის კონფიგურაცია
1	სამკუთხა (სახლართავი, გუჯასტები)
2	ყელთანმომდგარი (ღილკილოები, ხრიკები, ჩაფრასტები)
3	ღრმადამოჭრილი, ოვალური (გუჯასტ. კავები)
4	ღრმადამოჭრილი, მართკუთხა

ამრიგად, როგორც წარმოდგენილი ცხრილებიდან ჩანს, განხორციელებულ იქნა ქართული ტრადიციული სამოსის (კაბის) კონსტრუქციული თავისებურებების მახასიათებელთა ანალიზი და შესაბამისად მახასიათებლების ყველა მაჩვენებლის კოდირება, რაც საფუძველს წარმოადგენს მონაცემთა ელექტრონული ბაზის შედგენისათვის.

2. 3. 4. კაბის კომპოზიციური თავისებურებებანი და მათი კოდირება

სამუზეუმო მასალის შესწავლისა შედეგად გაანალიზებულ იქნა ტრადიციული კაბის კომპოზიციურ-დეკორატიული გადაწყვეტის თავისებურებები, კერძოდ გაანალიზდა შემდეგი მახასიათებლები:

კაბის ძირითადი ქსოვილის ფერი;

გასაფორმებელ-დეკორატიული კატეგორიის (დეკორის) სახეობა, მისი კავშირი კონსტრუქციასთან, დეკორის განთავსების ადგილები, ორნამენტირების სახე და მოტივების ხასიათი, დეკორის ფერი.

ფერის კოდირება. ქართველები უძველესი დროიდან ფლობდნენ ქსოვილების შეღებვის საიდუმლოს, რა დროსაც იყენებდნენ სხვადასხვა მცენარეულ საღებავებს. ხმარობდნენ ენდროს, საწერ ბალახს, კაკლის ნაჭუჭს, თხმელის ქერქს, ნარინჯ ყვავილსა და ლილამიწას. გამოიყენებდნენ ელფერისა და ტონის მიმცემ საღებავებს. ტრადიციულ სამოსში განსაკუთრებულ ყურადღება ექცეოდა ფერებს და მათ ურთიერთზშეხამებას.

ტრადიციული კაბის საზედაპირე ქსოვილის ფერის შეხვედრათა სიხშირე რეგიონების შესაბამისად, შეხვედრის პროცენტული თანაფარდობა საერთო რაოდენო-

ბიდან და ფერისთვის მინიჭებული კოდები ნაჩვენებია შესაბამისად ცხრ. 2.29 და ცხრ. 2.30.

ცხრილი 2.29

კაბის ფერების შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით

N	რეგიონები	ფერი								
		სპილოსძვლის-ფერი	შავი	ლურჯი	ღვიძლისფერი	შინდისფერი	წითელი	ჩალისფერი	მწვანე	ცისფერი
1	ქართლ-კახეთი, იმერეთი	1	1	1		2		2	1	1
2	თუშეთი		1	3						
3	ფშავი		1	1	1	1	1			
4	ხევსურეთი			19	7	2				
5	მთიულეთი		2	2		1				
6	ხევი			1	1		1		1	1
7	ლეჩხუმი				2			1		
8	რაჭა			2	4	1	3	1		
9	სვანეთი			1	2	1				
10	სამეგრელო	1		2		1		1		
11	აფხაზეთი					2		1		
12	გურია	1				1				
13	აჭარა			3	1	1	1	2	1	
14	მესხეთ-ჯავა-ხეთი					2	1		1	
	სულ	**3**	**5**	**35**	**18**	**15**	**7**	**8**	**4**	**2**

როგორც ცხრილიდან ჩანს ფერთა შორის დომინირებული ადგილი ლურჯს უჭირავს, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მუზეუმებში ყველაზე მეტი რაოდენობით შემონახულია შინამრეწველური წესით დამზადებული ხევსურული ტალავარის ნიმუშები, რომელთა უმრავლესობა ლურჯი ფერისაა, მომდევნო ადგილი ღვიძლისფერსა და შინდისფერს უჭირავს.

ცხრილი 2.30

კაბის ფერთა კოდირება

კოდის ციფრი	ფერი
1	ლურჯი
2	ღვიძლისფერი

3	შინდისფერი
4	ჩალისფერი
5	წითელი
6	შავი
7	მწვანე
8	სპილოსძვლისფერი
9	ცისფერი

ქართულ ტრადიციულ სამოსს განსაკუთრებულ მოხდენილობასა და სინატიფეს ანიჭებს დეკორატიული გაფორმება. ქალის სამოსის აქსესუარების განუმეორებლობა და გასაოცარი ხიბლი სწორედ დახვეწილი დეკორირებაა. მასში გასაოცარი სინატიფით არის შეზავებული მდიდარი ფანტაზია, გემოვნება, დეკორატიული სტილი, ფერთა ჰარმონიული შეხამება, სულიერი სიმდიდრე, შესრულების უზადო ოსტატობა და ტექნიკური ხერხების მრავალფეროვნება.

სამოსის დეკორირებისათვის გამოყენებული იყო ფერადი აბრეშუმისა და შალის ძაფი, ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ბზინები (კილიტები, ფიფინები, ფანტელები), ოქრომკედის ყაითნები, ბუზმენტები, გრეხილი თასმები, მონეტები, მარგალიტისა და მარჯნის მძივები, ვერცხლისა და სადაფის ღილები, ფერადი ნაჭრები და სხვ. ქარგავდნენ მრავალი სხვადასხვა სახის დეკორატიული ნაკერით, როგორიცაა – ჯვრული, ნახევარჯვრული, ღეროვანი, მარყუჟული, ყაისნაღური, ნაცური, აპლიკაცია და ა. შ. გამოჰყავდათ ყვავილოვან-მცენარეული, გეომეტრიული და ზოომორფული ორნამენტები. ქართული ნაქარგობის ნიმუშები გაჰქონდათ უცხოეთში, სადაც ის ძვირად ფასობდა და მთელს აზიაში საუკეთესოდ ითვლებოდა [67].

ნაქარგობით ამკობდნენ ტანსაცმლის ცალკეულ ელემენტებს – ლეჩაქს, თავსაკრავს, მანდილს, ქუდებს, სარტყელ-გულისპირს, პერანგებს, საცვლებს, შეიდიშის ტოტებს, პაჭიჭებს, ქოშისა და ფლოსტის პირებს და სხვა, განსაკუთრებით ქალის საქორწინო და გამოსასვლელ სამოსს. ნაქარგობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვადასხვა კუთხის სამოსის გაფორმებაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების კოსტიუმში, როგორებიცაა ხევსურთა ტალავარი (ქალის სადიაცო, ქოქლო, ფაფანაგი, თავსაბურავები – მანდილი, სათაურა, მამაკაცის პერანგი, მუქასარიანი შარვალი, ქუდი), მთიული ქალის სამოსი და თუში ქალის სამოსის ელემენტები; და-

სავლეთ საქართველოდან მამაკაცის გურულ-აჭარული ჩაქურა, ქალის გურული და მეგრული სამოსი და მესხი ქალის სამოსი სამხრეთ საქართველოდან.

ქართულ ტრადიციულ სამოსს შორის ნაქარგობით ყველაზე უხვად შემკული და ორიგინალობით გამორჩეული ხევსურული ტალავარია. კავკასიაში მას ანალოგი არ მოეძებნება. ტალავარის შემადგენელი ყველა ელემენტი (ქალის სადიაცო, ქოქოლო, ფაფანაგი, თავსაბურავები – მანდილი, სათაურა, მამაკაცის პერანგი, მუქასარიანი შარვალი, ქუდი) უხვადაა დეკორირებული გეომეტრიული ორნამენტით, რომელშიც განსაკუთრებით ჯვარი ფიგურირებს [64].

ტრადიციული სამოსის დეკორატიულ-გასაფორმებელი მახასიათებლების განსაზღვრის მიზნით გაანალიზებულ იქნა მისი სხვადასხვა კატეგორიები: გაფორმების სახეობა, მისი კავშირი კონსტრუქციასთან – დეკორის განლაგების ადგილების ჩვენებით, ორნამენტირების სახე და დეკორის ფერი.

ტრადიციული კაბის **გაფორმების სახეთა** ანალიზისათვის დეკორირებისათვის გამოყენებული მასალები დაჯგუფებულ იქნა ერთგვაროვნების მიხედვით: ნაქარგობა; ფერადი ნაჭრები, კანტები, აპლიკაცია; სამკაულები, მძივები, მონეტები. გამოყოფილ იქნა, ასევე, ჯგუფი – დეკორის გარეშე. განსაზღვრულ იქნა აღნიშნული მახასიათებლების შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით ცხრ. 2.31 და განხორციელდა მათი კოდირება ცხრ. 2.32.

ცხრილი 2.31

კაბის გაფორმების სახის შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით

N	რეგიონები	გაფორმების სახე			
		ნაქარგობა	ფერადი ნაჭრები, კანტები, აპლიკაცია	სამკაული, მონეტები	დეკორის გარეშე
1	ქართლ-კახეთი, იმერეთი	7			2
2	თუშეთი		4	4	
3	ფშავი	5	5		
4	ხევსურეთი	28	28	28	
5	მთიულეთი	5	5	5	
6	ხევი	1	4		
7	ლეჩხუმი	2			1
8	რაჭა		11		
9	სვანეთი			4	
10	სამეგრელო	5			
11	აფხაზეთი	3			
12	გურია	2			

13	აჭარა			6	3
14	მესხეთ-ჯავახეთი	4			
	სულ	62	57	47	6

ცხრილი 2.32

კაბის გაფორმების სახის შეხვედრათა სიხშირის კოდირება

კოდის ციფრი	**გაფორმების სახე**
1	ნაქარგობა
2	ფერადი ნაქარგი
3	სამკაული
4	დეკორის გარეშე

სხვადასხვა რეგიონის ტრადიციულ კაბებში დეკორის განლაგების ადგილი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ქართული კაბა ძირითადად დეკორირებულია ყელის, გულისპირისა და სახელოს ბოლოს მიდამოებში, ხევსურული და მთიულური განსაკუთრებით უხვი დეკორირებით ხასიათდება და ფაქტიურად მთლიანად ორნამენტირებულია. გურია-აჭარის სამოსს დამატებით ქვედა ნაპირი აქვს დეკორირებული. კაბის დეკორის განლაგების შეხვედრათა სიხშირე და მისი კოდირბა მოცემულია ცხრ.2.33, ცხრ. 2.34.

ცხრილი 2.33

კაბის დეკორის განლაგების შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით

N	**რეგიონები**	**დეკორის განლაგების ადგილი**		
		ყელი და გულისპირი	**სახელოს ბოლო**	**სამოსის ბოლო**
1	ქართლ-კახეთი, იმერეთი	7	4	
2	თუშეთი	4	4	
3	ფშავი	1	1	1
4	ხევსურეთი	28	28	28
5	მთიულეთი	5	5	5
6	ხევი	5		
7	ლეჩხუმი	2		
8	რაჭა		11	
9	სვანეთი		4	
10	სამეგრელო	5	5	
11	აფხაზეთი	3	2	
12	გურია	2	2	2
13	აჭარა	9	9	9
14	მესხეთ-ჯავახეთი	4	4	
	სულ	**75**	**79**	**45**

ცხრილი 2.34

კაბის დეკორის განლაგების შეხვედრათა სიხშირის კოდირება

კოდის ციფრი	დეკორის განლაგების ადგილი
1	სახელოს ბოლო
2	ყელი და გულისპირი
3	სამოსის ბოლო

ტრადიციული სამოსის გასაფორმებელი ორნამენტები სხვადასხვა რეგიონი-სათვის ერთმანეთისაგან განსხვავებულია. აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონის სამოსი გეომეტრიული ორნამენტითაა დეკორირებული, დანარჩენ რეგიონებში კი ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტი დომინირებს და გეომეტრიული ორნამენტი ფაქტიურად არ გვხვდება. კაბის ორნამენტის სახეების შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია ცხრ. 2.35, ხოლო მისი კოდირება ცხრ. 2.36.

ცხრილი 2.35

კაბის ორნამენტის სახეების შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით

N	რეგიონები	ორნამენტის სახე		
		გეომეტრიული	მცენარეული	ორნამენტის გარეშე
1	ქართლ-კახეთი, იმერეთი		7	2
2	თუშეთი	4		
3	ფშავი	5		
4	ხევსურეთი	28		
5	მთიულეთი	5		
6	ხევი	1		4
7	ლეჩხუმი		2	1
8	რაჭა			11
9	სვანეთი			4
10	სამეგრელო		5	
11	აფხაზეთი		3	
12	გურია		2	
13	აჭარა		9	
14	მესხეთ-ჯავახეთი		4	
	სულ	**43**	**32**	**22**

ცხრილი 2.36

კაბის ორნამენტის სახეების შეხვედრათა სიხშირის კოდირება

კოდის ციფრი	ორნამენტის სახე
1	გეომეტრიული
2	მცენარეული
3	ორნამენტის გარეშე

დეკორირებული ორნამენტების ფერადონებით აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონები გამოირჩევა, სხვა რეგიონებისათვის ოქროსფერი და ვერცხლისფერი დეკორირებაა დამახასიათებელი, რაც ოქრომკედისა და ვერცხლმკედის გამოყენებითაა განპირობებული. კაბის დეკორის ფერის შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია ცხრ. 2.37, ხოლო დეკორის ფერის შეხვედრათა სიხშირის კოდირება ცხრ. 2.38.

ცხრილი 2.37

კაბის დეკორის ფერის შეხვედრათა სიხშირე რეგიონების მიხედვით

N	რეგიონები	დეკორის ფერი		
		ოქროსფერი	ვერცხლისფერი	ქრომატული
1	ქართლ-კახეთი, იმერეთი	4	3	
2	თუშეთი			4
3	ფშავი			5
4	ხევსურეთი			29
5	მთიულეთი			5
6	ხევი	3	1	1
7	ლეჩხუმი	2		
8	რაჭა			
9	სვანეთი			
10	სამეგრელო	4	1	
11	აფხაზეთი	2	1	
12	გურია	2		
13	აჭარა	9		
14	მესხეთ-ჯავახეთი	4		
	სულ	**30**	**6**	**44**

ცხრილი 2.38

კაბის დეკორის ფერის შეხვედრათა სიხშირის კოდირება

კოდის ციფრი	დეკორის ფერი
1	ქრომატული
2	ოქროსფერი
3	ვერცხლისფერი

აღნიშნული კვლევის საფუძველზე განხორციელდა ქართული ტრადიციული სამოსის კონსტრუქციულ-კომპოზიციური მახასიათებლების ელექტრონული ბანკის ფორმირება, რომელშიც მოცემულია ტრადიციული სამოსის არამხოლოდ ეთნოგრაფიული დახასიათება (სამოსის ფოტო, გარეგნული აღწერა) და კონსტრუქციული ანალიზი (სამოსის ტექნიკური ესკიზი, სამოსის განფენა, სილუეტი, გამოჭრილი დეტალების რაოდენობა), არამედ კომპოზიციური ანალიზიც (მასალა, მისი გარეგნული სა-

ხე, ფერი, ფაქტურა, დეკორატიული გაფორმება, დეკორის ფერი). ელექტრონული ბანკის სტრუქტურული სახე ნაჩვენებია თუშური და გურული სამოსის მაგალითზე (ცხრ. 2.39).

ტრადიციული სამოსის კონსტრუქციულ-კომპოზიციური მახასიათებლების ელექტრონული ბანკის მიხედვით შედგენილ იქნა პროგრამა (ნახ. 2.4), რომლის საშუალებით დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ეძლევა მოიძიოს საჭირო ინფორმაცია– საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ტრადიციული სამოსის შესახებ, ხოლო კოსტიუმის დიზაინერს – გაცილებით სწრაფად იქნას ორიენტირებული შემოქმედებით საქმიანობაში (დანართი II).

ცხრილი 2.39

ტრადიციული სამოსის კონსტრუქციულ-კომპოზიციური მახასიათებლების ელექტრონული ბანკი

ეთნოგრაფიული დახასიათება			კონსტრუქციული ანალიზი		
დასახელება ფოტო	რეგიონი	გარეგნული აღწერა	ტექნიკური ესკიზი	განფენა	სილუეტი
კაბ-ჯუბა	თუშეთი	კაბ-ჯუბა შინნაქსოვი შალის ქსოვილისაგან, გრძელი, ტრაპეციულად ოდნავ გაფართო-ებული სილუეტის, გრძელი სახელოებით; კალთა და ზურგი მთლიანა-დაჭრილი (მხრის ნაკერის გარეშე), გვერდის ნაკე-რებში შედგმუ-ლი სამკუთხა "აზღოტებით"; სახელო ჩაკერებუ-ლი, ტრაპეციული, სწორხაზოვანი ზედა განაჭერი ნაპირით. სახელოს იღლიას ჩაკერებული აქვს მცირე ზომის სამკუთხა დეტალი „ხიშტაკი". ჯუბის ყელის ღიობი მართკუთხა ფორმის, წელის ხაზამდე ამოჭ-რილი. კალთის წინა ნაპირები გაფორ-მებულია ხავერდის ან ბამბის ქსოვილის ზოლით – „საულით". აუცილებელ ელემენტს განეკუთვნება მტევნიდან იდაყვამდე წამოსაც-მელი, განსხვავებუ-ლი მასალისგან დამზადებული შესაცვლელი მანჟე-ტი –„სახელქურო". სამოსი ფორმებულია ძეწკვებით, მონეტებით, ფერადი ნაქარგობით, მაქმანებითა და ბუზმენტებით.			გაფართოებული

	კომპოზიციური ანალიზი		
გამოჭრილი დეტალების რაო-ბა	მასალა/ფერი/ფაქტურა	დეკორატიული გაფორმება	დეკორის ფერი
კალთა და ზურგი 1 სახელო 2 გვერდის შესადგმ. აზღოტი 2 ბარტყულა ხიშტაკი 2	შინნაქსოვი შალი-ტოლი ლურჯი მარცვლოვანი	ფერადი ნაჭრები, კანტები სამკაულები, მონეტები	ქრომატული

ეთნოგრაფიული დახასიათება	კონსტრუქციული ანალიზი

დასახელება ფოტო	რეგიონი	გარეგნული აღწერა	ტექნიკური ესკიზი	განფენა	სილუეტი
კაბა	გურული	სადღესასწაულო კაბა აბრეშუმის ქსოვილისაგან, წელში გადაჭრილი, ლიფი გამოყვანილი სილუეტის, ღრმად ამოჭრილი ოვალური ყელის მრუდით, ლიფის კალთა ორნაწილიანი, ცენტრალური ჭრილით, რომელიც კაბის ქვედა ნაწილზე წელის ხაზს ქვემოთ გრძელდება, ჭრილი დამუშავებულია აბრეშუმის საქობით; ზურგი ერთნაწილიანი, სახელო გრძელი, ბოლოვდება ფიგურული სამაჯით – „ყოშით“, რომელიც დამუშავებულია განსხვავებული ფერის ატლასის ქსოვილით; კაბის ქვედა ნაწილი ქვევით ტრაპეციულად გაფართოებული, ნაოჭასხმული. კაბა იკვრება ხრიკების საშუალებით; კაბა დამუშავებულია მიტკლის სარჩულით. კაბის ბოლო გაფორმებულია ფერადი ნაქარგობით.			გამოყვანილი

		კომპოზიციური ანალიზი		
გამოჭრილი დეტალების რაო-ბა		მასალა/ფერი/ფაქტურა	დეკორატიული გაფორმება	დეკორის ფერი
კალთა ზურგი სახელო ქვედა კაბა	1 2 6	აბრეშუმი ვარდისფერი ბზინვარე	ნაქარგობა, მძივები, ფიფინები	ქრომატული

ქართული ტრადიციული სამოსის კონსტრუქციულ-კომპოზიციური მახასიათებლების ელექტრონულ პროგრამას აქვს შემდეგი სახე



ნახ. 2.4. ქართული ტრადიციული სამოსის საძიებო-საინფორმაციო პროგრამა

ამრიგად, ჩატარებული სამუშაოს შედეგად განხორციელდა ტრადიციული სამოსის შინაარსის ციფრულ ფორმატში გადატანა და სამუზეუმო ნიმუშების მონაცემთა ბანკის შედგენა. შემუშვებული პროგრამის გამოყენებით შესაძლებელია ისტორიულ ნიმუშებთან კომუნიკაციის განსაკუთრებულ ხერხით, სამუზეუმო ექსპონატებთან უშუალო კონტაქტის გარეშე მათთან მუშაობა. და ურთიერთობა. მონაცემთა ბაზა და შესაბამისად პროგრამა ეროვნული სამოსის ელემენტების არქიტექტონიკის, კონსტრუქციების და კომპოზიციური მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა.

2. 4. ტრადიციული სამოსის ინფორმაციული კვლევა თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარებისათვის

თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარებისათვის საჭირო და აუცილებელი ინ-ფორმაციის მისაღებად ჩატარებულ იქნა მოსახლეობის სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე კოლექციის დამუშავებისას გასათვა-ლისწინებელი ეთნოსამოსის ნიშან-თვისებების, კონსტრუქციულ-კომპოზიციური მა-ხასიათებლებისა თუ სხვადასხვა ნიუანსების გამოვლენა. აღნიშნული კვლევის შედე-გები წარმოადგენს თანამედროვე კოლექციის ესკიზური და კონსტრუქციულ-კომპო-ზიციური გადაწყვეტის საფუძველს.

საკითხის გადაჭრისათვის დასახულ იქნა ამოცანა, რომლის მიზანს წარმოად-გენს მოსახლეობაში ტრადიციული კოსტუმის ცნობადობის დონის გამოვლენა და იმ ნიშან-თვისების დადგენა, რომლის მიხედვით ხდება მისი გარჩევა. ბოლოს კი მიღე-ბული შედეგების გაანალიზების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რომელი ნიშნ-თვისებაა ხაზგასასმელი დიზაინერის მიერ; ტრადი-ციული სამოსის რომელი ეთნოელემენტი უნდა იქნას გასაცოცხლებელი, რათა საბო-ლოოდ არ იქნას მივიწყებული, მაშინ, როდესაც თითოეული ეთნოკომპლექსი შეუდა-რებელი წყაროა მოდელიორის შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

მოსახლეობის სოციოლოგიური კვლევის ჩატარებისათვის შედგენილ იქნა ან-კეტა (სქ. 2.3), რომელიც შედგება 8 შეკითხვისა და გრაფიკული დანართისაგან, რო-მელშიც წარმოდგენილია ტრადიციული ეთნოკოსტიუმის 8 ფერადი ფოტოილუს-ტრაცია. ანკეტირებისას აუცილებელია გარკვევა, თუ რა დონეზე ფლობს მკვიდრი მოსახლეობა ცოდნას სხვადასხვა რეგიონების სამოსის შესახებ, და აგრეთვე, იმის დადგენა, იციან თუ არა რეგიონების მკვიდრმა რესპონდენტებმა თავისი ტრადიციუ-ლი სამოსი და შეუძლიათ თუ არა მისი ამოცნობა წარმოდგენილ ილუსტრაციებს შო-რის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული კოსტუმის გამოვლენისათ-ვის განმსაზღვრელი ნიშნების შესახებ კითხვაზე რესპონდენტების პასუხებს.

სქემა 2. 3

ანკეტა

1. საცხოვრებელი ადგილი (რეგიონი) _____

2. პროფესია _____

3. სქესი _____

4. ასაკი _____

5. იყენებთ თუ არა საკუთარ გარდერობში ქართული ტრადიციული სამოსი ელემენტს?

ა) დიახ

ბ) არა

6. რომელი მახასიათებლით განსაზღვრეთ კონკრეტული სამოსის სახე?

ა) სილუეტი

ბ) კონსტრუქციული ელემენტი (თარგი)

გ) ფერი

დ) დეკორი (ორნამენტი)

6. მოცემული ვარიანტებიდან რომელი კუთხის სამოსს ანიჭებთ უპირატესობას?

- გურული
- თუშური
- აჭარული
- სვანური
- მთიულური
- აფხაზური
- რაჭული
- ფშავური

გთხოვთ, შეუსაბამოთ თითოეული ტრადიციული სამოსის ნიმუში მისი გავრცელების რეგიონს.

1

2

3

4

5

6

7

8

- გურული
- აჭარული
- მთიულური
- რაჭული
- თუშური
- სვანური
- აფხაზური
- ფშავური

(ტრადიციულ სამოსის ნიმუშს, გვერდით მიუთითეთ შესაბამისი რიცხვი)

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელმა. მონაცემების რანჟირება წარმოებდა ერთდროულად რამოდენიმე მიმართულებით – პროფესიის, ასაკის, ეროვნების მიხედვით.

ძიება მიმართული იყო შემდეგი ფაქტორების გამოსავლენად:

- ✓ სამოსის ცნობადობის ხარისხი რესპონდენტების საერთო რიცხვში, ასაკისა და პროფესიული სფეროს მიხედვით;
- ✓ საკუთარი ეთნოსამოსის ცნობადობის ხარისხი სხვა რეგიონების კოსტუმებს შორის;
- ✓ კომპოზიციურ-კონსტრუქციული ხერხები, რომლის მიხედვით რესპოდენტის მიერ ხდებოდა ტრადიციული სამოსის ამოცნობა;
- ✓ მოსახლეობის აზრის გამოვლენა – სამოსის შემადგენლობისათვის (კომპლექტი, ერთეული) უპირატესობის მინიჭების შესახებ .

ანკეტირების შედეგების მიხედვით დადგენილ იქნა რესპოდენტთა პროცენტული რაოდენობა საცხოვრებელი რეგიონის, მოღვაწეობის სფეროს, ასაკის მიხედვით; განისაზღვრა ასევე მათი სურვილები და უპირატესობის მინიჭების კატეგორიები (ნახ. . 2.5 – 2.13)

კვლევის შედეგების საერთო ანალიზმა გამოავლინა შემდეგი:

- ✓ ქართულ ტრადიციულ კომპლექსებს შორის ყველაზე ცნობადია მთიულური სამოსი – ამოიცნო რესპოდენტთა 74%, ყველაზე უცნობია თუშური – ამოიცნო რესპოდენტთა 22%-მა, მხოლოდ 24%-მა ამოიცნო სვანური სამოსი.
- ✓ რესპოდენტთა უმრავლესობას უფრო მოეწონა აფხაზური და გურული ეთნოკომპლექსები, ყველაზე ნაკლები მოწონება ხვდა სვანურსა და თუშურ სამოსს.
- ✓ რესპოდენტთა უმრავლესობას (94%) აქვს სურვილი გამოიყენოს საკუთარ გარდერობში კოსტიუმი ტრადიციული სამოსის ელემენტებით, მხოლოდ 6%-მა დაიჭირა ნეიტრალური პოზიცია.
- ✓ რესპოდენტთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს სამოსს კომპლექტური შემადგენლობით.



ნახ. 2.5. რესპოდენტთა პროცენტული რაოდენობა საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით



ნახ. 2.6. რესპოდენტთა პროცენტული რაოდენობა პროფესიული სფეროს მიხედვით



ნახ. 2.7. რესპოდენტთა ასაკის პროცენტული მაჩვენებელი



ნახ. 2.8. რესპოდენტთა პროცენტული რაოდენობა გარდერობში ეთნოელემენტების გამოყენების მიხედვით



ნახ. 2.9. რესპოდენტთა აზრი (%) ტრადიციული სამოსის უპირატესობის შესახებ



ნახ. 2.10. რესპოდენტთა მიერ ეროვნული სამოსის ცნობადობის პროცენტულიმაჩვენებელი



ნახ. 2.11. ეროვნული სამოსის ცნობადობის განმსაზღვრელი მახასიათებლების პროცენტული მაჩვენებელი



ნახ. 2.12. თანამედროვე ტანსაცმელში ეთნოელემენტების გამოყენების მსურველთა რაოდენობის პროცენტული რაოდენობა



ნახ. 2.13. რესპოდენტთა პროცენტული რაოდენობა სამოსის შემადგენლობის უპირატესობის მიხედვით

მიღებული შედეგები გათვალისწინებულ იქნა კოლექციის ესკიზური პროექტის დამუშვებისას, კერძოდ – ტრადიციული სამოსის ინფორმაციული კვლევის შედეგების გათვალისწინებით განხორციელდა თანამედროვე ტანსაცმლის კოლექციის ესკიზური პროექტის დამუშვება.

მეორე თავის დასკვნები

1. ქალის ტრადიციული სამოსის კომპლექტების კვლევის შედეგად დადგენილი იქნა, რომ ტანსაცმლის კლასიფიკაციაში საჭიროა გამოიყოს ერთ-ერთი დამოუკიდებელი კლასი – ეროვნული სამოსის სახით;

2. ტრადიციული სამოსის კლასიფიცირება განხორციელდა იერარქიულად – რეგიონების, სქესობრივი ნიშნის, სამოსის სახეობისა და მისი ელემენტების მიხედვით, ჯგუფების გათვალისწინებით.
3. კლასიფიკაციაში თითოეულ იერარქიულ საფეხურს მიენიჭა შესაბამისი კოდი – ციფრული ნიშანი (ერთნიშნა, ორნიშნა).
4. კონსტრუქტორულ-კომპოზიციური ანალიზი ჩაუტარდა საქართველოს მუზეუმებში დაცულ ტრადიციული სამოსის 97კომპლექტს.
5. ანალიზის შედეგად დადგენილ იქნა კონსტრუქტორულ-კომპოზიციური ელემენტების შეხვედრათა სიხშირე და გამოვლენილ იქნა სამოსის ქვემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების ძირითადი პოზიციები:
   - სილუეტური ფორმების გეომეტრიული სახე;
   - გამოყენებული მასალები;
   - სამოსის ფერი;
   - ფორმის დანაწევრება;
   - სამოსის სიგრძე;
   - სახელოს სახე, ზედა და ქვედა ნაპირების კონფიგურაცია, სიგრძე;
   - ყელის ღიობის ფორმა და შესაკრავი;
   - დეკორატიული გაფორმების სახე და მისი განლაგების ადგილი.
6. ჩამოთვლილი მახასიათებლებისათვის განხორციელდა კოდის მინიჭება. კოდი მინიჭებულ იქნა მნიშვნელოვნების გათვალისწინებით – კლებადობის პრინციპით. კოდირების საშუალებით თითოეული მახასიათებელი დაშიფრულ იქნა პოზიციების შესაბამისად.
7. კვლევის შედეგების მიხედვით განხორციელდა ქართული ტრადიციული სამოსის კონსტრუქციულ-კომპოზიციური მახასიათებლების ელექტრონული ბანკის ფორმირება.
8. ტრადიციული სამოსის მახასიათებლების ელექტრონული ბანკის საფუძველზე დამუშავებულ იქნა პროგრამა, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება სამუზეუმო ნიმუშების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება მათთან უშუალო კონტაქტის გარეშე.

9. ქართული ტრადიციული სამოსის ინფორმაციული კვლევის შედეგად გამოვ-ლინდა:
   - ქართულ ტრადიციულ კომპლექსებს შორის ყველაზე ცნობადია მთიულური სამოსი (74%), ყველაზე ნაკლებ ცნობადია თუშური (22%);
   - რესპოდენტთა უმრავლესობის მოქონება დაიმსახურა აფხაზურმა და გურულ-მა ეთნოკომპლექსებმა;
   - რესპოდენტთა უმრავლესობას (94%) აქვს სურვილი გამოიყენოს საკუთარ გარ-დერობში კოსტიუმი ტრადიციული სამოსის ელემენტებით;
   - რესპოდენტთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს სამოსს კომპლექტური შე-მადგენლობით.

თავი 3. ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოყენებული ქსოვილების სტრუქტურული მახასიათებლებისა და სამომხმარებლო თვისებების კვლევა

ტანსაცმლის ახალი კოლექციის დაგეგმარებისას აუცილებელია გაანალიზებულ იქნას მის დასამზადებლად საჭირო საფეიქრო მასალების ასორტიმენტი, მათი ფიზიკო-მექანიკური, ფორმაწარმომქმნელი, სამომხმარებლო, ჰიგიენური და ესთეტიკური თვისებები, რადგანაც სწორედ კონკრეტული მასალების თავისებურებების მიხედვით იძენს მოდელი მხატვრულ გამომსახველობას, ჰარმონიულობასა და ესთეტიკურ სრულყოფილებას.

ახალი კოლექციის დაგეგმარებისას მოდელისადმი წაყენებული განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად მასალების შერჩევის დროს მთავარი ამოცანაა – შეიქმნას ისეთი ფორმა, რომლის საშუალებით მთლიანად მოხდება მოდელის შინაარსის გახსნა. შექმნილი ფორმა სრულად უნდა შეესაბამებოდეს ფორმაწარმოქმნის პრინციპების გამოყენებით დაგეგმარებული ნაწარმის ტექტონიკურ მოდელს. მოდელის ტექტონიკა გულისხმობს ფორმის მთლიანობას, შინაარსს, კონსტრუქციასა და მასალას. ნაწარმის ფორმა და კონსტრუქცია განუყოფელია. კონსტრუქცია ნაწარმში ჩადებული ესთეტიკური ინფორმაციის მატარებელია, ფორმა გამოსახავს ნაწარმის დანიშნულებას და განსაზღვრავს სტრუქტურას, ის უნდა შეესაბამებოდეს კონსტრუქციულ სქემას; ფორმა უნდა უზრუნველყოს მასალებმა, რომლებიც გამოყენებულია მოდელის დასამზადებლად. კომპონენტების; „ფუნქცია“ – „სტრუქტურა“– „მასალა“ – „კონსტრუქცია“ – „ფორმა“ ჰარმონიული შეხამება იძლევა შესაძლებლობას ფორმა იქნას კვალიფიცირებული ტექტონიკურად. ტექტონიკა, ნაწარმის გარეგნულ ფორმაში კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური თვისებების მხატვრულად ასახვაა. მის ძირითად ამოცანას მოცემული ფორმის სტუქტურის შექმნა წარმოადგენს, მისი მთლიანობისა და ჰარმონიულობის კანონზომიერებათა გამოვლენითა და შესწავლით.

ტანსაცმლის ფორმაწარმოქმნასთან ტექტონიკური მიდგომის ძირითადი პრინციპები გასათვალისწინებელია ტანსაცმლის დაგეგმარების სხვადასხვა ეტაპებზე. დიზაინ-დაგეგმარების დროს ძირითად ტექტონიკურ მიდგომას წარმოადგენს საფეიქრო მასალების ფიზიკო-მექანიკური მაჩვენებლების კვლევა – ტექტონიკურ ფორმაზე გავ-

ლენის პოზიციიდან. ტექტონიკური ფორმის ხარისხზე გავლენას ახდენს საფეიქრო მასალათა ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა სიმკვრივე, ზედაპირული სიმჭიდროვე, სისქე, სიხისტე და მოფარდვის უნარი.

ტანსაცმლის დაგეგმარებისას ფორმაწარმოქმნას, ტექტონიკასა და მხატვრულ კონსტრუირებას განიხილავენ მხოლოდ კომპოზიციურ დონეზე – მოდელის ორიგინალური ფორმის მხატვრულ-გრაფიკული ძიების ჩარჩოებში. რეალურად კი კოლექციისათვის მასალათა შერჩევის ეტაპიც საჭიროებს ტექტონიკურ მიდგომას. ტექტონიკის ძირითადი პრინციპების გამოყენება დიზაინ-დაგეგმარების პროცესში, უშუალოდ მასალათა შერჩევის ეტაპზე, საშუალებას იძლევა შეიქმნას არამარტო ესთეტიკურად სრულყოფილი, მაღალი დონის, ჰარმონიული ნაწარმი, არამედ ერგონომიკული და საექსპლოატაციო მოთხოვნების შესაბამისი, მომხმარებლისათვის მიმზიდველი მოდელი. ასეთი მაღალი დონის მიღება შესაძლებელია მასალათა ტექტონიკური თავისებურებების გათვალისწინებითა და დაგეგმარების პროცეში ტექტონიკის პრინციპების გამოყენებით. რაც, თავის მხრივ, საპროექტო საქმიანობის რაციონალური განხორციელებისა და კონსტრუქციისა და მასალების ერთიანობის საშუალებით, ჰარმონიული გადაწყვეტილებების მიღებასთან ერთად მოდელის მხატვრულ გამომსახველობის უზრუნველყოფის შესაძლებლობასაც იძლევა [67].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაგეგმარებელი კოლექციისათვის მასალების შერჩევის მიზნით ტანსაცმლის ფორმაწარმოქმნასთან ტექტონიკური მიდგომის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით დასახულ და განხორციელებულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- ქართული ტრადიციული სამოსის დასამზადებლად გამოყენებული მასალების შეწავლა და მათი სტრუქტურული პარამეტრების კვლევა;
- თანამედროვე კოლექციისათვის მასალების შერჩევა და მათი სტრუქტურული პარამეტრების კვლევა;
- ტრადიციული სამოსისა და თანამედროვე კოლექციისათვის გამოყენებული მასალების სტრუქტურული მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი.

3.1. ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოყენებული მასალები

ქართული ტრადიციული სამოსის, როგორც მატერიალური კულტურის ძეგლის აღიარების საქმეში დიდია მისი დამზადებისათვის გამოყენებული ქსოვილების როლი.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენდა როგორც მცენარეული (სელი, კანაფი, ბამბა, ჭილოფი), ისე ცხოველური წარმოშობის (ტყავი, მატყლი, აბრეშუმი) ნედლეულის წარმოებისათვის. მცენარეული და ცხოველური ბოჭკოს გარდა ძვირფასი ტანსაცმლისათვის (უმაღლესი სასულიერო და საერო პირებისათვის) ქსოვილს ოქრომკედისა და ვერცხლმკედისგანაც ამზადებდნენ.

უამრავი უცხოელი მწერალი ადასტურებს საქართველოში არსებულ ქსოვილის დამზადების ტრადიციებს. ქსოვილების უმრავლესობა ადგილობრივი ხელოსნური ან საოჯახო შინამრეწველობის პროდუქტს წარმოადგენდა.

ცხვრის მატყლისაგან ამზადებდნენ სხვადასხვა ფერის შალის ქსოვილებს, ნაბდებს, ქუდებს, წინსაფრებს, წინდებს. შალისაგან ყაბალახს, სარტყელს, ხვანჯრებს და სხვ.

აბრეშუმის ნართისაგან მზადდებოდა ძვირფასი ქსოვილები აქსესუარებისთვისაც, მანდილი, სარტყელი, არშიები, საფულე ქისა, ყაითანი. ამზადებდნენ ბამბანარევ აბრეშუმის ნაწარმსაც.

ბამბის ნართისგან მზადდებოდა ქსოვილები თეთრეულისათვის, ე.წ. ხამი (ლაინი) ქსოვილი, სხვადასხვა ზონარები და ა.შ.

ხალხურ ფეიქრობაში იყენებდნენ ასევე თხის ბეწვს – თხისურს. ქსოვდნენ წინდებს, ხელთათმანებს და სხვა ნაწარმს [29, 61].

საქართველოს სხვადასხვა კლიმატურ რაიონებში ქსოვილთა წარმოებაც და მათი გამოყენებაც სეზონის შესაბამისად განსხვავებული იყო. თბოგამტარიანობისა და ტენის სწრაფად აორთქლების უნარის მქონე სელის ქსოვილებს უპირატესად დასავლეთ საქართველოში იყენებდნენ, მინდვრებში სამუშაოდ, ზაფხულის ხანგრძლივი გვალვების დროს.

საქართველოს მთიან ნაწილში მკაცრი პირობების შესაბამისად შალის, ტყავისა და ბეწვის მასალისაგან დამზადებულ სამოსს იყენებდნენ, რაც კარგად იყო შეთავსებული შრომისა და კლიმატურ პირობებთან.

საზოგადოდ კაბების დასამზადებლად გამოიყენებოდა შალის, აბრეშუმის, ბამბისა და სელის ქსოვილები, ისეთები როგორიცაა – სკლატი, ჩოხა, ფლასი, ყიასი, ოქსინო, სტავრა, ნახლი, ლარი, ხატაური, კუმაში, ხარა, დიბა, ატლასი, შარი და სხვა მრავალი.

საცვალი თეთრეულისათვის გამოიყენებოდა: აბრეშუმის, ბამბისა და სელის ქსოვილები. განსაკუთრებით გავრცელებული იყო ოქროსა და ვერცხლის ძაფებით (მკედით) ამოქარგული სელის ქსოვილის – ყასაბის პერანგი და გამჭვირვალე „ხორცთა მჩენელი“ მოვის პერანგი. ქვედა საცვლებისათვის ბამბის, აბრეშუმის, სელის, ასევე ბამბისა და აბრეშუმის შერეული ნართისაგან დამზადებული ქსოვილები გამოიყენებოდა.

ქალის თავსაბურავებისათვის გამჭვირვალე აბრეშუმის ქსოვილები და აბრეშუმის „ბაღდადი“ გამოიყენებოდა. მამაკაცის თავსაბურავებად სკლატის, შალის ან ბეწვის ქუდები იხმარებოდა.

ზედა სამოსის დასამზადებლად შალის ქსოვილები „ჩოხა“, „კილიკი“, „ფლასი“, „ყიასი“ გამოიყენებოდა.

ქალის ტანსაცმლის დასამზადებლად და გაფორმებისათვის ოდითგანვე იყენებდნენ ბამბის, შალის აბრეშუმის და სელის ქსოვილებს. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ქალის კაბის დასამზადებელ ქსოვილებს შორის უპირატესობა სხვადასხვა მასალას ეძლეოდა, რაც შესაბამისობაში იყო კლიმატურ პირობებთან და შინამრეწველურ ტრადიციებთან: ქალთა სამოსის დამზადებისათვის გამოყენებულ მასალათა შორის უპირატესობა ენიჭებოდა აბრეშუმის (35%), შალის (26%), ბამბის (25%) და ხავერდის (10%) ქსოვილებს. (ნახ. 3.1).



ნახ. 3.1. ქალის ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოყენებული მასალები

3.2. ქართულ ტრადიციულ სამოსში გამოყენებული მასალების სტრუქტურული მახასიათებლების კვლევა

ეთნოელემენტების საშუალებით თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ტრადიციული სამოსის დასამზადებლად გამოყენებული მასალების სტრუქტურული პარამეტრების შესახებ ინფორმაციის ფლობა. ამ მიზნით ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა საქართველოს მუზეუმებში დაცული XIX - XX საუკუნეების ეროვნული სამოსის ნიმუშები და განსაზღვრულ იქნა მათი სტრუქტურული პარამეტრები (ცხრ. 3.1).

ცხრილი 3.1

ტრადიციული სამოსის ქსოვილების სტრუქტურული პარამეტრების კვლევა

N	სამოსი	ქსოვილის დასახელება	სიმჭიდროვე		ძაფის დიამეტრი მკნ.		მოფარდვის კო-ეფიციენტი $K_ə$	ქსოვილის სახე	სამოსის ფოტო
			ქსელი $П_{ჯს}$	მისაქსელი $П_{�ჯს}$	ქსელი $D_{ჯს}$	მისაქსელი $D_{ реჯს}$			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	რაჭული	ბამბის ქსოვილი	400	420	0,25	0,23	25		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
2	რაჭული	ბამბის ქსოვილი	450	400	0,22	0,25	26		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
3	რაჭული	ბამბის ქსოვილი	350	320	0,28	0,31	26		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
4	რაჭული	ზამბის ქსოვილი	400	400	0,25	0,25	23	 	

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
5	რაჭული	ბამბის ქსოვილი	300	270	0,33	0,37	32		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
6	სვანური კა-ზა	სატინა	840	800	0,12	0,13	22		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
7	რაჭული საგულე ახალუხი	თხელი სატინა	112	100	0,35	0,3	31		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
8	მეგრული კაბა	თაფთა ატლასი ლურჯი	110	100	0,11	0,11	54		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
9	კაბა გუ- რულის	თაფთა მეწამუ- ლი	110	95	0,09	0,10	54		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
10		თაფთა ყა-ვისფერი	116	100	0,08	0,1	55		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
11	ქართული კაბა	თაფთა	136	114	0,07	0,08	50		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
12	ქართუ- ლი კაბა	თაფთა	118	102	0,08	0,09	57		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
13	კაბა აჭარუ-ლი	თაფთა	80	66	0,12	0,15	53		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
14	კაბა აჭა- რული	თაფთა	92	80	0,10	0,12	55		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
15	კაბა აჭარუ-ლი	თაფთა	104	88	0,09	0,11	60		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
16	ქართული კაბა	თაფთა	100	94	0,1	0,10	60		

17	ქართული კაბის ქვედა ნაწილი	თაფთა	122	108	0,07	0,1	57		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
18	ქარ- თლური ყაბა	აბრე- შუმი შავი.	116	112	0,08	0,09	79		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
19	კახური კა-ბა	შავი აბრეშუ-მი	115	110	0,09	0,07	79		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
20		ფარჩისე-ბური თაფ-თა	110	100	0,09	0,1	55		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
21	ქართული კაბა	თაფთა ფარჩისე-ბური	110	100	0,09	0,1	55		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
22	ქართული კაბა	თაფთა იის-ფერი	110	100	0,09	0,1	60		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
23	იმერული კაბა	მოლისფე-რი თაფთა	82	76	0,12	0,13	57		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
24	ქართული კაბის ქვედა ნაწილი	სოსანისფერი ფარჩა	98	90	0,10	0,11	53		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
25	ქართუ-ლი კაბა	აბრეშუმი სოსანის-ფე რი	102	94	0,09	0,10	80		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
26	აჭარული კა-ბა	იისფერი ხავერდი	140	76	0,07	0.12	20		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
27	მესხური კაბა	ხავერ-დი შინდის-ფერი	140	78	0,07	0.12	22		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
28	მთიულური ტალავარი	შალი შინდისფერი	72	64	0,13	0,15	42		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
29	მთიული ქალის კაბა	ტოლი შინ-ნაქსოვი	60	58	0,16	0,17	14		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
30	ფშავური კაბა	ტოლი ღვიძ-ლისფე-რი	56	54	0,17	0,18	18		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
31	ფშავური კა-ბა	შალი შინ-დისფერი	50	50	0,2	0,2	16		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
32	ფშავური კაბა	სატინა	50	50	0,3	0,3	15		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
33	გურული კაბა	თაფთა	43	38	0,2	0,1	70		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
34	ხევსურუ-ლი სადია-ცო	ტოლი (შალი) ლურჯი	60	56	0,16	0,17	19		

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
35	ხევსურუ-ლი სადია-ცო	ტოლი ღვიძ-ლისფე-რი	58	50	1,17	0,2	18		

თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარებისათვის შერჩეული იქნა საკაბე ქსოვილები: აბრეშუმი, ატლასი, ხავერდი, ტიული და შესწავლილ იქნა მათი სტრუქტურული პარამეტრები, რომელიც მოცემულია (ცხრ. 3.2.)

ცხრილი 3.2

თანამედროვე ტანსაცმელში გამოყენებული ქსოვილების სტრუქტურული პარამეტრების კვლევა

N	სამოსი	ქსოვილის დასახელება	სიმჭიდროვე		ძაფის დიამეტრი მკნ.		მოფარდვის კოეფიციენტი $K_{მ}$	ქსოვილის სახე	სამოსის ფოტო
			ქსელი $П_{ქს}$	მისაქსელი $П_{მქს}$	ქსელი $D_{ქს}$	მისაქსელი $D_{მქს}$			
1	საღამოს კაბა	თაფთა ატ-ლასი	122	110	0,09	0,4	46		

2		ხავერდი. სინთეზური	140	76	0,02	0.08	12		
3		ტიული. სინთეზური	110	100	0,09	0,1	31		

4		აბრეშუმი	102	94	0,09	0,10	48		
5		ატლასი	110	100	0.11	0,11	32		

ექსპერიმენტით განსაზღვრული ქსოვილის სიმჭიდროვის და ძაფის დიამეტრების მიხედვით განხორციელდა ძაფის ხაზობრივი სიმკვრივის ($T_{ქს}$, $T_{მქს}$) ქსოვილის ზედაპირული სიმკვრივის $MS_{ზედ}$ (გრ/მ^2) განსაზღვრა შემდეგი ფორმულებით [68].

ქსოვილის მიღებული პარამეტრების საშუალებით გამოთვლილი იქნა ძაფის ხაზობრივი ($П_{ქს}$) და ზედაპირული სიმკვრივე ($П_{მქს}$) ხაზობრივი სიმკვრივე T (ტექსი). განსაზღვრულ იქნა ძაფის დიამეტრი – D-ს საანგარიშო ფორმულიდან გამომდინარე:

$$D = \frac{A\sqrt{T}}{31,6} \quad (1)$$

(1) ფორმულიდან

$$T = \frac{998,56\ D^2}{A}$$

A – კოეფიციენტია, რომელიც განსაზღვრულია ექსპერიმენტის შედეგად –გაანგარიშების გზით. მისი მნიშვნელობა სხვადასხვა ქსოვილებისათვის მოცემულია ცხრილში (ცხრ. 3.3).

ცხრილი 3.3

A – მნიშვნელობა სხვადასხვა ქსოვილებისათვის

№	ქსოვილის სახე	A
1	ბამბის ქსოვილებისათვის	1.26
2	სელის ქსოვილებისათვის	1,19
3	შალის ქსოვილებისათვის	1,36
4	აბრეშუმის ქსოვილებისათვის	1,31

ქალის ტრადიციული სამოსის სამუზეუმო ნიმუშების შესწავლის შემდეგ განხორციელდა გამოყენებული ქსოვილების სტრუქტურული მაჩვენებლების კვლევა. კვლევის შედეგები მოცემულია (ცხრ. 3.4.).

ცხრილი 3.4

ქსოვილის სტრუქტურული მაჩვენებლების განსაზღვრა

ნიმუშის ნომერი	ქსოვილის დასახელე-ბა	სიმჭიდროვე П		ძაფის დიამეტრი მკნ. D		A	ძაფის ხაზობრივი სიმკვრივე. T ტექსი.		ქსოვილის ზე-დაპირული სიმკვრივე. MSp г/м2	Kₐ %
		$П_{ჯს}$ ქსელი	$П_{მჯს}$ მისაქსელი	$D_{ჯს}$ ქსე-ლი	$D_{მჯს}$ მისაქსელი		$T_{ჯს}$ ქსელი	$T_{მჯს}$ მისაქსელი		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	საკაბე ბამბის	400	420	0,25	0,23	1,26	49,53174603	41,92366984	17,66	25
2	ბამბა	450	400	0,22	0,25	1,26	38,35738413	49,53174603	19,82	26
3	ბამბა	400	400	0,25	0,25	1,26	49,53174603	49,53174603	39,62	26
4	ბამბა	350	320	0,28	0,31	1,26	62,13262222	76,1600127	24,34	23
5	ბამბა	300	270	0,33	0,37	1,26	86,30411429	108,4943365	29,18	32
6	სატინა	320	300	0,31	0,33	1,26	76,1600127	86,30411429	25,9	22
7	თხელი სატინა რაჭუ-ლის	1120	1000	0,35	0,3	1,31	93,37679389	68,60335878	111,5	31
8	თავთა ატლასი	1170	900	0,8	0,1	1,31	5,68923568	7,78342567	15,453	54
9	თაფთა მეწამული	1100	950	0,09	0,1	1,31	6,17430229	7,62259542	14,535	54
10	თაფთა ყავისფერი	1160	1000	0,08	0,1	1,31	4,878461069	7,62259542	13,28	55
11	თაფთა	1360	1140	0,07	0,08	1,31	3,735071756	4,878461069	10,65	50
12	თაფთა	1180	1020	0,08	0,09	1,31	4,878461069	6,17430229	6,29	57
13	თაფთა	800	660	0,12	0,15	1,31	10,9765374	17,15083969	11,319	53
14	თაფთა	920	800	0,1	0,12	1,31	7,62259542	10,9765374	15,79	55
15	თაფთა	104	880	0,09	0,11	1,31	6,17430229	9,223340458	14,53	60
16	თაფთა	100	940	0,1	0,1	1,31	7,62259542	7,62259542	14,78	60

17	თაფთა	122	1080	0,07	0,1	1,31	3,735071756	7,62259542	8,23	57
18	აბრეშუმი შავი ყაბის	116	1120	0,08	0,09	1,31	4,878461069	6,17430229	6,91	79
19	შავი აბრეშუმი	116	1110	0.06	0,09	1,13	3,65498656	6,24974534	6,91	79
20	საკაბე თავთა ფარჩი-სებური	110	1000	0,09	0,1	1,31	6,17430229	7,62259542	14,41	55
21	საკაბე თავთა ფარჩი-სებური	110	1000	0.09	0,1	1,31	6,16598356	7,98765457	14,41	55
22	მოლისფერი	820	760	0,12	0,13	1,31	10,9765374	12,88218626	18,79	60
23	მოიისფრო სახეებია-ნი	980	900	0,1	0,11	1,31	7,62259542	9,223340458	15,76	57
24	აბრეშუმი თხელი სო-სანისფერი	1020	940	0,09	0,1	1,31	6,17430229	7,62259542	13,45	53
25	ხავერდი იისფერი აჭარულის	1400		0,07		1,31	3,735071756	6,970045	15,76	80
26	ხავერდი შინდიფე-რიმესხურის	1300	900	0,06	0,01	1,31	3,894530	7,5430987	14,50	20
27	თხელი შალი შინ-დისფერი	720	640	0,13	0,15	1,36	12,40857647	16,52029412	19,49	22
28	თხელი შალი	780	660	0,12	0,15	1,36	10,57298824	16,52029412	19,14	42
29	ტოლი ტალავარის	600	580	0,16	0,17	1,36	18,79642353	21,2194	23,57	14
30	შინნაქსოვი	560	540	0,17	0,18	1,36	21,2194	23,78922353	24,71	18
31	შინნაქსოვი შალი	500	500	0,2	0,2	1,36	29,36941176	29,36941176	29,36	16
32	შალი	600	400	0,2	0,2	1,36	28,5643212	28,98543	28,43	15
33	შალი გურულის	780	660	0,12	0,15	1,36	3,735071756	6,970045	14,50	70
34	შალი სადიაცო	600	560	0,16	0,17	1,36	18,79642353	21,2194	23,15	19
35	შალი ტალავარი	580	500	1,17	0,2	1,36	29,36941176	29,36941176	31,7	18

შესაბამისად განსაზღვრული იქნა ახალი ქსოვილების სტრუქტურული მაჩვენებლები (ცხრ. 3.5)

ცხრილი 3.5

ახალი ქსოვილების სტრუქტურული მაჩვენებლების განსაზღვრა

N	ქსოვილის და-სახელება	სიმჭიდროვე П		ძაფის დიამეტრი მკნ. D		A	ძაფის ხაზობრივი სიმკვრივე. T ტექსი		ქსოვილის ზე-დაპირული სიმკვრივე. $MS_{ზედ}$ გ/მ2	$K_ə$ %
		$П_{ჯს}$ ქსელი	$П_{მჯს}$ მისაქსელი	$D_{ჯს}$ ქსე-ლი	$D_{მჯს}$ მისაქსელი		$T_{ჯს}$ ქსელი	$T_{მჯს}$ მისაქსელი		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	თაფთა ატლასი	120	1300	0,06	0,1	1,31	8,872364	9,998798	23,22	67
2	ხავერდი. სინ-თეზური	1450	980	0,18	0,15	1,31	5,567677	10,45678	17,32	32
3	ტიული. სინ-თეზური	400	430	0,15	0,30	1,31	18,457799	17,34567	18,24	26
4	აბრეშუმი	118	1200	0,05	0,06	1,31	4,456455	8,347567	7,12	82
5	ატლასი	920	890	0,14	0,2	1,25	14,262334	13,8579223	28,75	70

ქსოვილის ზედაპირული სიმკვრივის განსაზღვრისათვის ვიყენებთ შემდეგ პარამეტრებს: ქსოვილის სიმჭიდროვე $П_{ქს}$ და $П_{მქს}$, ძაფის ხაზობრივ სიმკვრივეს $T_{ქს}$ და $T_{მქს}$.

ქსოვილის ზედაპირულ სიმკვრივე განვსაზღვრეთ ფორმულით:

$$MS_{ზედ} = 0,01(T_{ქს}П_{მქს} + T_{ქს}П_{მქს})$$

ქსოვილის პარამეტრების დადგენის შემდეგ განხორციელდა მისი ესთეტიკური მაჩვენებლების შესწავლა [69].

3.3. ნაწარმის ხარისხის მაჩვენებლები და სამომხმარებლო თვისებები

ქართული ტრადიციული სამოსის შესწავლამ გვიჩვენა რომ, მას ახასიათებს დიდი, რბილი, მოცულობითი ფორმები, რაც მის დასამზადებლად გამოყენებული მასალებისაგან მოითხოვს კარგი მოფარდვის უნარის მქონე ქსოვილების გამოყენებას. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარების დროს შევისწავლეთ, როგორც ტრადიციული ქსოვილების ასევე ახალი კოლექციისათვის შერჩეული ქსოვილების მოფარდვის უნარი.

მასალის მოფარდვა - მისი უნარია წარმოქნას რბილი მომრგვალო, მცირე სიმრუდის რადიუსის მქონე ნაოჭები. მასალის მოფარდვის უნარით განისაზღვრება ამ მასალისგან დამზადებული ტანსაცმლის დანიშნულების და მოდელის არჩევანი. ეს მახასიათბელი დამოკიდებულია მასალის დრეკადობასა და მის მასაზე: რაც უფრო ხისტია მასალის სტრუქტურა, რაც უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო მის მოსაკეცად, მით ნაკლებია მისი მოფარდვის უნარი. მასალის ზედაპირული სიმკვრივის გაზრდისას მისი მოფარდვა უმჯობესდება. განსაკუთრებით კარგად იფარდება თხელი დრეკადი და მძიმე მასალები, რომლებიც წარმოქმნიან წვრილ ნაოჭებს.

ხისტი ქსოვილები არ იფარდებიან ან ცუდად იფარდებიან. ხისტი ქსოვილისგან დამზადებული ტანსაცმელი ზღუდავს ადამიანის მოძრაობას და ტანზე ცუდად დგას.

კარგი მოფარდვის უნარი გააჩნიათ აბრეშუმის, ძირითადად ბუნებრივი აბრეშუმის განსაკუთრებით კი მძიმე და შტაპელურ ქსოვილებს. ბევრად ნაკლები - შალის და კიდევ უფრო ნაკლები - ბამბის ქსოვილებს. სელის ქსოვილები ხისტი და მკვრივია, ამიტომ მისი მოფარდვის უნარი სუსტია.

მოფარდვაზე მოქმედი ფაქტორები. მასალის მოფარდვა, კორელაციაშია სიხისტის მაჩვენებელთან, რაც წარმოადგენს მის ობიექტურ ასახვას. თავის მხრივ მასალების სიხისტის მაჩვენებელი დამოკიდებულია მასალის სიმკვრივეზე, სტრუქტურაზე, ბოჭკოვან შემადგენლობაზე, მისი სტრუქტურული ელემენტების აგებულებაზე, განივი კვეთის ფართზე. ანუ მოფარდვის პარამეტრი წარმოადგენს აღნიშნული ფაქტორების სიხისტის ფუნქციას.

ქსოვილების მოფარდვა - ეს არის დაკიდებული ნაწარმის მიერ სიმეტრიული მომრგვალებული ნაფენების წარმოქმნის უნარი. ქსოვილების მოფარდვა დამოკიდებულია ქსოვილის სტრუქტურაზე და მის ზედაპირულ სიმკვრივეზე (1 კვ.მ. ქსოვილის წონა). რაც უფრო რბილია ქსოვილი და მეტია მისი ზედაპირული სიმკვრივე, მით მეტია მისი მოფარდვის უნარი და პირიქით.

მოფარდვის კოეფიციენტის განსაზღვრისას არსებული მეთოდების შესწავლამ (იხ.დანართი) აჩვენა, რომ საკვლევი ტემის სპეციფიკიდან გამომდინარე,საჭიროა ახალი ხელსაწყოს მაკეტის შექმნა და მოფარდვის ახალი მეთოდიკის შემუშავება.

შევისწავლეთ რა მოფარდვის განსაზღვრის არსებული მეთოდები (დანართი III. 1), ჩვენი ნაწარმის სპეციფიკის გათვალისწინებით, შევიმუშავეთ ახალი ხელსაწყოს მაკეტი (ნახ. 3.4, 3.5, 3.6, 3.7) და მოფარდვის განსაზღვრის ახალი მეთოდიკა.



ნახ. 3.4. მოფარდვის განმსაზღვრელი ახალი ხელსაწყოს სქემა

მოფარდვის განსაზღვრის არსებული მეთოდიკები ასახავენ კერძო შემთხვევებს და ძირითადად გამოყენებულია გარკვეული ფორმისა და ზომის ნიმუშები. ჩვენს მიერ შესწავლილი ტრადიციული სამოსის სამუზეუმო ნიმუშების, დაშლა და მუზეუმის სივრცის გარეთ გატანა შეუძლებელია. ამიტომ შევიმუშავეთ ის-

ტორიული ნიმუშების მოფარდვის განსაზღვრის ახალი მეთოდი, რომელიც შემდეგ-ში მდგომარეობს:

ნახ. 3.5. მოფარდვის განმსაზღვრელი ახალი ხელსაწყოს მაკეტი

მანეკენზე ჩაცმული მთლიანი ნიმუში (1) თავსდება მინაზე, (3), ზემოდან გარკვეული სიმაღლიდან ხდება დაშუქება პარალელური სხივებით (5), მინაზე მი-იღება ჩრდილი (4), რომლის პროექციაც წარმოადგენს მოფარდვის მაჩვენებელს (ნახ. 3.4 – 3.7).

ნახ. 3.6. მოფარდვის განმსაზღვრელი ახალი ხელსაწყოს ხედი ქვემოდან



ნახ. 3.7. მოფარდვის განმსაზღვრელი ხელსაწყოს მინაზე მიღებული ჩრდილი და მისი პროექცია

ქსოვილის მოფარდვის კოეფიციენტის დადგენისათვის განსაზღვრულ იქნა მინაზე აღბეჭდილი პროექციების შემომფარგლავი წრეების გარე და შიგა დიამეტრები (ნახ. 3.7).

მოფარდვის განმსაზღვრელი ხელსაწყოს საშუალებით მიღებულ იქნა ქსოვილის მოფარდვის პროექცია, როგორც ტრადიციულ სამოსში, ისე დასაგეგმარებელი კოლექციის ტანსაცმლში გამოყენებული ქსოვილებისათვის (დანართი III. 2).

ქსოვილის მოფარდვის კოეფიციენტის დადგენისათვის განისაზღვრა პროექციის შემომსაზღვრელი გარე წრის დიამეტრები D (P = 3 მეტრი) და ქსოვილის ჩრდილით წარმოქმნილი ფიგურის – პროექციის ფართი, სასრული ელემენტების მეთოდით [69].

ქსოვილის მოფარდვის კოეფიციენტი განსაზღვრულ იქნა შემდეგი ფორმულით:

$K_{ф} = (S_o - S_p) / S_o$

$\pi \cdot 50{,}41 \cdot m^2 = 158{,}2874 \cdot m^2$ - გარე რადიუსის მქონე წრის ფართობი

119,4512 ·m^2 - სინჯის პროექციის კონტურის შიგნით არსებული ფართობი

π·11,56 ·m^2=36,2984·m^2 - სადგარის ფართობი

158,2874·m^2-36,2984·m^2=121,989·m^2=S_o - საწყისი სინჯის ფართობი

119,4512 ·m^2-36,2984·m^2=83,1528·m^2= S_p - სინჯის პროექციის ფართობი

K_d= (S_o- S_p)/ S_o 121,989·m^2-83,1528·m^2/121,989·m^2=38,8362·m^2/121,989·m^2=0.3184 [69].

მიღებული შედეგების მიხედვით აგებულ იქნა მოფარდვის კოეფიციენტის ქსოვილის პარამეტრებზე დამოკიდებულების დიაგრამა (ნახ. 3.8).



ნახ. 3.8. ტრადიციულ სამოსში გამოყენებული ქსოვილების მოფარდვის კოეფიციენტის ქსოვილის პარამეტრებზე დამოკიდებულების დიაგრამა

როგორც გრაფიკიდან ჩანს, მოფარდვის კოეფიციენტი დამოკიდებულია ქსოვილის სიმჭიდროვეზე. სიმჭიდროვის გაზრდის დროს იზრდება მოფარდვის კოეფიციენტიც.

ანალოგიურად ავაგეთ ტრადიციულ სამოსში გამოყენებული ქსოვილების ზედაპირული სიმკვრივისა და მოფარდვის კოეფიციენტის დამოკიდებულების დიაგრამა (ნახ. 3.9).



ნახ. 3.9. ტრადიციულ სამოსში გამოყენებული ქსოვილების ზედაპირული სიმკვრივისა და მოფარდვის კოეფიციენტის დამოკიდებულების დიაგრამა

როგორც გრაფიკიდან ჩანს ქსოვილის მოფარდვის კოეფიციენტი იზრდება ქსოვილის ზედაპირული სიმკვრივის ზრდასთან ერთად გარკვეული ბოჭკოვანი შემადგენლობის ქსოვილებში.

შესაბამისად, აგებულ იქნა ანალოგიური დიაგრამები თანამედროვე კოლექციის დასამზადებლად გამოყენებული ქსოვილებისათვის. ახალი ქსოვილების მოფარდვის კოფიციენტსა და სიმჭიდროვეს შორის დამოკიდებულება და ქსოვილების ზედაპირული სიმკვრივისა და მოფარდვის კოეფიციენტის ურთიერთდამოკიდებულება წარმოდგენილია დიაგრამებზე (ნახ. 3.10, ნახ. 3.11).



ნახ. 3.10. ახალი ქსოვილების მოფარდვის კოფიციენტსა და სიმჭიდროვეს შორის დამოკიდებულების გრაფიკი

ახალ ქსოვილებში მოფარდვის კოეფიციენტსა და ქსოვილის სიმჭიდროვეს შორის კავშირი სუსტად გამოვლინდა. მიზეზი ტიულის ქსოვილია, რომელსაც განსხვავებული სტრუქტურა აქვს.



ნახ. 3.11. ახალი ქსოვილების მოფარდვის კოფიციენტსა და ზედაპირული სიმკვრივეს შორის დამოკიდებულების გრაფიკი

ჩატარებული იქნა ტრადიციული და ახალ სამოსში გამოყენებული ქსოვილების შედარებითი ანალიზი (ცხრ. 3.7).

ცხრილი 3.6

ტრადიციულ და ახალ სამოსში გამოყენებული ქსოვილების შედარებითი ანალიზი

N	ახალი სამოსის ნიმუში	ტრადიციული სამოსის ნიმუში		ქსოვილის სიმჭიდროვე П (10 სმ-ზე ძაფების რიცხვი)				ქსოვილის ზედაპირული სიმკვრივე. MSზედ გ/მ²		მოფარდვის კოეფიციენტი Kმ %	
				$П_{ქს}$ ქსელი		$П_{მჭს}$ მისაქსელი					
				ახალი	ტრადიციული	ახალი	ტრადიციული	ახალი	ტრადიციული	ახალი	ტრადიციული
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	თაფთა ატლასი	20	საკაბე თავთა ფარჩისებური	120	110	1300	1000	23,22	14,41	67	55
2	ხავერდი. სინთეზური	26	ხავერდი შინდისფერი მესხური კაბის	1450	1300	980	900	17,32	14,50	32	20
3	ტიული. სინთეზური	28	ტიული	400	400	430	400	18.24	16,80	26	21
4	აბრეშუმი	19	შავი აბრეშუმი	118	116	1200	1110	7.12	6,91	82	79
5	ატლასი	18	აბრეშუმი შავი ყაბის	920	116	890	1120	28.75	6,91	70	79

როგორც ცხრილიდან ჩანს, ტრადიციულ სამოსში გამოყენებული ქსოვილებისა და ახალი ქსოვილების მოფარდვის კოეფიციენტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შემდეგი მიზეზების გამო:

1. გამოყენებულია სხვადასხვა ბოჭკოვანი შემადგენლობის ქსოვილები (რადიციულ სამოსში გამოყენებული ბუნებრივი აბრეშუმის ნაცვლად თანამედროვე ტანსაცმელში გამოყენებულია სინთეზური ბოჭკოსგან დამზადებული ქსოვილი);
2. სამოსების კონსტრუქციები განსხვავებული იყო მიუხედავად ელემენტების მსგავსებისა;
3. მიუხედავად ჩამოთვლილი განსხვავებების, ახალი ქსოვილებისაგან დამზადებულ სამოსში მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული ტრადიციული სამოსის მასალების თავისებურებები.

მესამე თავის დასკვნები

ქართული ტრადიციული სამოსის შესწავლით გამოვლინდა:

- ქსოვილების დამზადებას და გამოყენებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი და კლიმატური პირობები ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენდა საფეიქრო წარმოებისათვის, განვითარებისათვის.
- ქალის ტრადიციული სამოსის, კაბის, დასამზადებლად გამოიყენებოდა შალის, აბრეშუმის, ბამბისა და სელის ქსოვილები, ისეთები როგორიცაა – სკლატი, სადა ატლასი, დიბა-ატლასი, ფარჩა-ატლასი, თაფთა, ხავერდი, სატინა, ჩითი, ლაინი და სხვა მრავალი.
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ქალის კაბის დასამზადებელ ქსოვილებს შორის უპირატესობა სხვადასხვა მასალას ეძლეოდა, რაც შესაბამისობაში იყო კლიმატურ პირობებთან და შინამრეწველურ ტრადიციებთან: ქალთა სამოსის

დამზადებისათვის გამოყენებულ მასალათა შორის უპირატესობა ენიჭებოდა აბრეშუმს (35%), შალს (26%),ბამბის (25%) და ხავერდის (10%) ქსოვილებს.

- დადგენილ იქნა ტრადიციული სამოსის სამუზეომო ექსპონატების (XIX - XX სს.) დამზადებისათვის გამოყენებული მასალების სტრუქტურული პარამეტრების მნიშვნელობები.
- გაანგარიშებული იქნა ძაფის ხაზობრივი სიმკვრივე ($T_{ჯს}$ $T_{მჯს}$) ქსოვილის ზედაპირული სიმკვრივე m (გრ/მ^2) ექსპერიმენტით განსაზღვრული ქსოვილის სიმჭიდროვის და ძაფის დიამეტრის სიდიდეების მიხედვით.
- შექმნილი იქნა მოფარდვის კოეფიციენტის განსაზღვრის ხელსაწყოს მაკეტი.
- შემუშავდა მოფარდვის კოეფიციენტის განსაზღვრის მეთოდიკა.
- შესწავლილ იქნა ტრადიციულ სამოსში გამოყენებული ქსოვილების სტრუქტურული მახასიათებლები და ესთეტიკური თვისებები, აგრეთვე მორალური და ფიზიკური ცვეთით გამოწვეული ცვლილებები.
- ახალი ქსოვილებისაგან ნაწარმის დამზადებისას გათვალისწინებული იქნა ყველა ის ფაქტორი რომელმაც მოახდინა გავლენა ტრადიციული სამოსის თვისებებზე.

ტრადიციული და თანამედროვე სამოსის სტრუქტურული პარამეტრებისა და თვისებების ანალიზმა გამოავლინა ტრადიციულ სამოსში გამოყენებული ქსოვილებისა და ახალი ქსოვილების მოფარდვის კოეფიციენტების ერთმანეთისაგან განსხვავების შემდეგი მიზეზები:

1. გამოყენებულია სხვადასხვა ბოჭკოვანი შემადგენლობის ქსოვილები (რადიციულ სამოსში გამოყენებული ბუნებრივი აბრეშუმის ნაცვლად თანამედროვე ტანსაცმელში გამოყენებულია სინთეზური ბოჭკოსგან დამზადებული ქსოვილი);
2. მიუხედავად ელემენტების მსგავსებისა ტრადიციული სამოსისა და თანამედროვე ტანსაცმლის კონსტრუქციები ერთმანეთისაგან განსხვავებულია.
3. თანამედროვე კოლექციის დასამზადებლად მასალები შერჩეულ იქნა ტრადიციული სამოსის მასალების თავისებურებების მაქსიმალურად გათვალისწინე-

ბით, რამაც უზრუნველყო მათი ერთმანეთთან დაახლოება მოფარდვისა და არ-ქიტექტონიკის თვალსაზრისით.

თავი 4. თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარება ეთნოელემენტების გამოყენებით

მოდის ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ერთ-ერთ თანამედროვე მიმდინარეობას – ეთნოსტილს. თანამედროვე ტანსაცმელს ეთნოელემენტების გამოყენებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭრავს მოდის ინდუსტრიაში და ის ეთნოსტილის სახით არის ცნობილი. განსაკუთრებული აქტუალობა მან უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში შეიძინა, რაც ნათლად ჩანს დიზაინერთა ბოლოდროინდელი ნამუშევრებიდან. აღნიშნული ტენდენცია შეინიშნება, როგორც პროფესიონალი, ისე დამწყები დიზაინერების შემოქმედებაში.

ეთნოსტილი წარმოადგენს ტრადიციული სამოსის ელემენტების სტილიზაციას თანამედროვე სამოსში, ფართო გაგებით ის გულისხმობს ტანსაცმლის ასორტიმენტის გამდიდრებას და გამრავალფეროვნებას სხვადასხვა ქვეყნების და ხალხების ეროვნული კოსტიუმის ელემენტებით. ტანსაცმლის ასორტიმენტის ეთნოელემენტებით გამდიდრება მნიშვნელოვანია ადამიანის მიერ ეროვნულ საწყისებთან კავშირის შენარჩუნების თვალთაზრისითაც, რითაც თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ის არ მოწყდეს საკუთარ ფესვებს.

ეთნოსტილი თანამედროვე მოდას საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს ორიგინალობა, თვითმყოფადოება და მრავალმხრივობა. მისი საშუალებით იქმნება ნათელი და იდუმალი, რბილი, და მკაცრი, საინტერესო და მრავალფეროვანი სახეები. ეთნოსტილი შემოქმედის შთაგონების უშრეტი წყაროა, ამდიდრებს და გამომსახველს ხდის თანამედროვე სამოსს. მთავარი კი ამ მთლიანობაში სიახლეა. ეთნიკური ელემენტები ორგანულად ერწყმის თანამედროვე სამოსს და ის არ ჩანს ძველმოდური, რადგან დიზაინერი ოსტატურად იყენებს ეთნოელემენტებს, როგორც ისტორიის საჩუქარს. ის ახალ სახეებს ქმნის ტრადიციული სამოსის განსაკუთრებულობების გამოკვეთის და ხაზგასმის გზით. ეთნოელემენტების გამოყენებით თანამედროვე ტანსაცმლის ისეთი კოლექციის შექმნა, რომელიც იქნება მოდური და ასევე შეინარჩუნებს ტრადიციული სამოსის თვითმყოფადობას, დიზაინერისაგან მოითხოვს ტრადიციული სამოსის, როგორც პირველწყაროს კარგად ცოდნას, ასევე არამარტო მოდის თანამედროვე ტენდენციების და მათი განვითარების საკითხების ცოდნას, არამედ სტილიზაციის პროფესი-

ულ უნარ-ჩვევების ფლობას. დღეისათვის შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მოდური მიმდინარეობა – ეთნოსტილი იმყოფება პოპულარობის ზენიტში და სპეციალისტთა აზრით შეინარჩუნებს თავის პოზიციას საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.

კოლექციის დაგეგმარება ეთნოელემენტების გამოყენებით, იწყება სამოსის დანიშნულების განსაზღვრით. ამის საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას ეთნოსტილში თანამედროვე ტანსაცმლის კოლექციის შექმნასთან დაკავშირებული მთელი რიგი მოთხოვნები და რეკომენდაციები. ძირითად მოთხოვნებს მიეკუთვნება შემდეგი:

- ტრადიციული სამოსის ელემენტების ურთიერთშეთანხმება არ უნდა გადავიდეს ზუსტ კოპირებაში, მოდელები უნდა შეიქმნას მხოლოდ ტრადიციული სამოსის მოტივების მიხედვით;
- დიზაინერი სრულყოფილად უნდა ფლობდეს სტილიზაციის მეთოდებს.

ძირითადი რეკომენდაციები შეიძლება ჩამოყალიბებული იქნას შემდეგი სახით:

- ეთნოელემენტების გამოყენებით თანამედროვე ტანსაცმლის კონცეფციის შემუშავების დროს აუცილებელია მისი მომხმარებლის და დანიშნულების განსაზღვრა;
- ტანსაცმლის ფორმა, თარგი, ქსოვილის სახე და ფერი უნდა შეესაბამებოდეს სამოსის ხასიათს.

4.1. თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარების თეორიული საფუძვლები

თეორეული კვლევებით დადგენილია, რომ ტანსაცმლის ასორტიმენტის ფორმირების მეთოდი გულისხმობს მისი ფორმაწარმომქმნელი ელემენტების ურთიერთქმედების პროცესს, როდესაც ფორმაწარმომქმნელი ელემენტების სიმრავლე იყოფა „ფორმის ელემენტებად“ და „შინაარსის ელემენტებად“. ამ დროს ფორმის ელემენტების სახით წარმოდგენილია ადამიანის სხეულის გარსის პირობითი დანაწილების შედეგები. ამიტომაც შესაძლებელია ვილაპარაკოთ მოძრავ სისტემაზე „ადამიანი-ტან-

საცმელი-ფორმა-კონსტრუქცია-დეკორი“, რომლის ფუნქციები დამოკიდებულია მისი შემადგენელი ელემენტების: ადამიანისა და ტანსაცმლის გარემოს თვისებებზე.

ცნობილია მოდელების სისტემების დაგეგმარების ბლოკურ-მოდულური ხერხი: კონსტრუქციულად და კომპოზიციურად ურთიერშემცვლელი მოდულებისაგან, რომლებიც სხვადასხვა წყობით ადგენენ ახალ სტრუქტურებს (მოდელებს). ასეთი ხერხი გულისხმობს მთლიანი სტრუქტურის მოდულებად რაციონალურად დაყოფის (დეკომპოზიციის) და მათი შემდგომი უნიფიკაციის პრინციპს, რაც უზრუნველყოფს კონსტრუქციებში მათი განმეორებადობის, შეხამების, თავსებადობის და ურთიერთშენაცვლებადობის მაღალ დონეს. მოდელების დეკომპოზიციის, სინთეზის და მოდიფიკაციის გადაწყვეტაზე უდიდეს გავლენას ახდენს კომპოზიციის წამყვანი თემის ხასიათი, რომელიც შეიძლება შემდეგი ვარიანტებით იყოს წარმოდგენილი: მოცულობით-სივრცითი, პლასტიკური, დეკორატიულ-ფერადი, დეკორატიულ-გაწყობილი, დეკორატიულ-კონსტრუქტორული, ფუნქციონალურ-დეკორატიული და შერეული. ყველაზე რთული და ნაკლებად პერსპექტიულია კომპოზიციური გადაწყვეტის პირველი ორი სახეობა. საწყისი მოდელის კომპოზიციის სხვადასხვა მოდიფიკაციები რეალიზებულია კომპოზიციური ცენტრის ან პროპორციის ცვლილების ხარჯზე (დეტალების განლაგების ცვლილების წყალობით); ფორმის მასის ცვლილებით (ფერის, ფაქტურის, მასალის საშუალებით); დეტალების ნაპირების სიმკვეთრის გაძლიერებით (მათი ხაზგასმა კანტებით, გვირისტით, ნაქარგით); მასალების ფერების, ნახატების, ფაქტურის, თემატური მოხატულობის მიხედვით, ახალი შეხამებების გამოყენებით, ახალი ნახატისა და ფერის შეტანით ან ცვლილებით. მოდელების კომპოზიციური გადაწყვეტის დანარჩენი თემები უფრო მეტი ცვლილებების საშუალებას იძლევა მოდელების ხარისხის შემცირების გარეშე. მათ მიეკუთვნება თვისებების ის ნიშნები, რომლებიც შეიცავენ მოდელის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას, ადვილად დაზუსტებადია და საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ ნაკეთობა არა მხოლოდ, როგორც მოხმარების საგანი, არამედ, როგორც სამრეწველო წარმოების ობიექტი. ასეთ თვისებებს მიეკუთვნება: სტრუქტურა, ფორმის კონფიგურაცია, ზომა, რელიეფი, ელემენტები (კონსტრუქტიულ-დეკორატიული, ფუნქციონალურ-დეკორატიული და დეკორატიული), ზედაპირის დამუშავება, აგრეთვე მონაცემები მასალის ფაქტურის, ნახატისა და სხვა თვისებების შესახებ. მოდელების პროექტირების ბლოკურ-მოდულუ-

რი მეთოდი შედგება ორი ქვეპროცესისაგან. პირველი გულისხმობს მოდელის ვიზუალური სახის, მეორე კი – მისი კონსტრუქციის შექმნას [81].

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი მოდელების დამუშავება შესაძლებელია მოდელების მრავალსახოვანი გადაწყვეტით, არსებული ასორტიმენტის მოდიფიკაციის ხარჯზე, ელემენტების ტრანსფორმაციის საფუძველზე. ახალი მოდელების მხატვრული დაგეგმარებისას საჭიროა უტილიტარული და ესთეტიკური თვისებების ფორმირების პრინციპების გათვალისწინება: ეფექტურობა, ერგონომიკულობა, ეკონომიურობა, ტექნოლოგიურობა, კონსტრუქციულობა, მხატვრული იერი, კომუნიკაბელურობა, პლასტიკურობა, ტექტონიკურობა, ორგანიზებულობა, რომლებიც შეადგენენ სამრეწველო ნიმუშის შინაარს და სტრუქტურას. მოდელების შექმნის დროს დიდ როლს ასრულებს სივრცითი ფორმის თვისებები – თვალით აღსაქმელი ყველა მისი ნიშნის ერთობლიობა: გეომეტრიული სახეობა, სიდიდე, სივრცეში მდგომარეობა, მასა, ფაქტურა, ნახატი, ფერი, შუქ-ჩრდილი. ამიტომაც კოსტუმი-ნიმუშის შექმნისას განსაზღვრულ მნიშვნელობას ანიჭებენ ფორმის სიდიდის შესწავლას, რომელიც ფასდება ადამიანის ფიგურასთან ან მის შემადგენელ ნაწილებთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში კოსტუმის მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს მისი ფორმის კავშირი ადამიანის ფიგურასთან და გარემოს სხვა საგნებთან.

ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილია, რომ ტრადიციული ეროვნული კოსტუმის შექმნა წარმოებდა ხალხის ტრადიციების, ჩვეულებების, ქცევის წესების, გარემოს, ადამიანის სქესობრივი და ასაკობრივი ნიშნების, სოციალური სტატუსის, სხვა ეროვნებების კულტურის გავლენის საფუძველზე. კლიმატური პირობები და მეურნეობის ტიპი განსაზღვრავს კოსტუმის ფუნქციონალურობას და მასალას, ხოლო ცხოვრების სულიერი და კულტურული ფილოსოფია, რელიგიური ხედვა, ზნეობრივ-მორალური და ესთეტიკური ნორმები - დეკორის ხასიათს და მხატვრული კომპოზიციის იდეურ სახეს, ტოპოგრაფიის და დეკორის ნაწილების სემანტიკას, ორნამენტალური ნახატების თავისებურებას, კომპოზიციის ფერადი და ფაქტურული გადაწყვეტის პრინციპებს. ქართული ტრადიციულ სამოსში მხატვრულ-კონსტრუქტორული ფორმირების პროცესში იცვლებოდა: ფორმა, თარგი, სილუეტი, ტარების ხერხი, მორთულება და მასალები, აგრეთვე ადამიანის კულტურა, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სახე და იმიჯი. ტანსაცმლის გარეგანი ფორმა უმეტესად განპირო-

ბებულია სილუეტური, კონსტრუქციული და დეკორატიული ხაზებით. გარეგანი ფორმა ტრადიციული სამოსის კომპოზიციის ერთ - ერთი ძირითად ელემენტია. მოდული არის, გარკვეულ წილად, დასრულებული (დამოუკიდებელი) ელემენტი, რომელიც წარმოადგენს ტექნოლოგიური და საინფორმაციო-სამართავი სისტემების დაგეგმარების, დამზადებისა და შედარების მეთოდოლოგიურ, კონსტრუქციულ, ფუნქციონალურ, ინფორმაციულ ან სხვა ერთეულს, ამიტომ თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარება ტრადიციული სამოსის საფუძველზე უნდა განვიხილოთ საინფორმაციო მოდელირების სახით, სადაც საწყის და საბოლოო პარამეტრებს წარმოადგენს ფუნქციონალური, კომპოზიციურ-დეკორატიული, გრაფიკული, კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური მოდულები, რომლებიც ადგენენ საინფორმაციო მონაცემთა ბაზას.

ფუნქციონალურ მოდულებში არის ინფორმაცია ტრადიციული ეროვნული კოსტუმის ფუნქციების შესახებ (ტარების ხერხი და პერიოდი, დანიშნულება, სქესობრივი და ასაკობრივი ნიშნები, სახეობა, კოსტუმი-ნიმუში). ფუნქციონალური მოდულების საფუძველზე იქმნება თავდაპირველი ინფორმაცია „პირველწყაროს“ მონაცემთა ბაზის სახით, რომელიც შემდგომში გამოიყენება როგორც საწყისი მონაცემები ახალი მოდელების პროექტირებისას.

შესაბამისად ფუნქციონალურობა წარმოადგენს ძირითად რგოლს ტრადიციული ქართული კოსტუმის საფუძველზე ტანსაცმლის თანამედროვე მოდელების ახალი მხატვრულ-კონსტრუქტორული გადაწყვეტის დროს. ამის გარდა ტანსაცმლის ფუნქციების ცვლილებაზე დიდ გავლენას ახდენს ეპოქა, რომელშიც შემუშავებულ იქნა ესა თუ ის ობიექტი (თანამედროვე ტანსაცმელი). ამიტომ ტანსაცმლის დაგეგმარებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, როგორც გამოსაკვლევი ობიექტის (შემოქმედებითი წყაროს), ჩვენს შემთხვევაში - ეროვნული კოსტუმის ფუნქციები, ასევე დასაგეგმარებელი სისტემის (თანამედროვე ტანსაცმელი) ფუნქციებიც, და თანამედროვე ეპოქის ძირითადი, დამახასიათებელი ცვლილებებიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული ტრადიციული სამოსის ძირითადი მახასიათებლები გათვალისწინებული იქნა თანამედრვე ტანსაცმლის მხატვრულ-კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური გადაწყვეტის დროს ეთნოელემენტების გამოყენებით

4. 2. ქართული ტრადიციული სამოსის ელემენტებით თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარების თეორიული საფუძვლები

ცნობილია, რომ ტანსაცმლის დაგეგმარებისადმი წაყენებული მოთხოვნები მუდმივი არ არის. მოთხოვნების ცვლილება ასახვას პოულობს ტანსაცმლის თვისებების და ნიშნების ნაკრებში, რომელსაც ენიჭება უპირატესობა დროის ამა თუ იმ პერიოდში. ტანსაცმლისადმი წაყენებული მოთხოვნები წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას, რომელიც ყალიბდება სხვადასხვა ფაქტორების (სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური, ანატომიური და ფსიქოფიზიოლოგიური) გავლენით. მორალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს მიეკუთვნება: ჩვეულებები, ტრადიციები, ტემპერამენტით და ხასიათით განპირობებული პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებები.

ტანსაცმლის ხარისხის თვისებების ნომენკლატურა განისაზღვრება სამი ჯგუფით: სამომხმერებლო, სამრეწველო და სოცაილურ-ეკონომიურით. სამომხმარებლო ნიშნები შეიძლება განისაზღვროს ოთხი ქვეჯგუფით: ფუნქციონალური, ანთროპომეტრული, ესთეტიკური და გამოყენებული მასალების თვისებები. ესთეტიკური ნიშნები დიდ როლს ასრულებს ქართული ეროვნული ტანსაცმლის თვისებების ფორმირებაში, ისინი განსაზღვრავენ მის მხატვრულ გამოსახულებას და ხაზს უსვამენ ტანსაცმელში ფოლკლორულ სტილს. ეს ნიშნები, ტანსაცმლის დანიშნულების მიხედვით, შესაძლებელია დავყოთ ძირითად და წარმოებულ ნიშნებად. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა პირველი ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია ესთეტიკური მაჩვენებლების ის თვისებები, რომლებიც ვლინდება ნაკეთობის ადამიანთან ურთიერთქმედების შედეგად ექსპლუატაციის პროცესში და მიმართულია მისი მოთხოვნების რეალიზაციისაკენ.

ამ ჯგუფში შედის ექვსი ქვეჯგუფი: საინფორმაციო გამომხატველობა, ტანსაცმლის ფორმალური და შენაარსობრივი ნიშნების ერთობლიობა, კომპოზიციის მთლიანობა, კომპოზიციის ელემენტების ჰარმონიული შეხამება ადამიანის სახესთან, მოდელისა და საგნობრივი გარემოს სტილისტური ერთობა, ტანსაცმლის ესთეტიკური შესრულების სრულყოფილება, რომლის გათვალისწინება აუცილებელია თანამედროვე ტანსაცმლის ფინქციების ფორმირებისას.

ამ ქვეთავში განიხილება საინფორმაციო-ესთეტიკური ფუნქციების საკითხი, ისინი ყველაზე მნიშვნელოვანია თანამედროვე ტანსაცმლის პროექტირებისას.

ქართული ტრადიციული სამოსის საფუძველზე თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარებისადმი წარდგენილი მოთხოვნების შესაბამისად საჭიროა ეროვნული სამოსის კვლევის დარგში შემდეგი მონაცემების მასივის არსებობა: ტანსაცმლის ასორტიმენტი, რეგიონის, ასაკის და სქესის მიხედვით კოსტუმის კომპლექტაცია, ტანსაცმლის მასალა, ტარების დანიშნულება, ნაკეთობის სტრუქტურა და დანაწილების ხასიათი, ფორმის კონფიგურაცია, ზომა და ზედაპირის რელიეფი, ნაკეთობის თარგი, ფორმირების ხერხები. ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემების საფუძველზე დგინდება კონსტრუქციის, კომპოზიციის, მათ შორის მორთულობის, ძირითადი ელემენტები და ტექნოლოგიები. ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ თანამედროვე ტანსაცმელის ახალი მხატვრულ-კონსტრუქტორული გადაწყვეტებისათვის საკმარისია გამოვიყენოთ მოდიფიცირება, როდესაც შესაძლებელია უმნიშვნელო ცვლილებების შეტანა, ტრადიციული ქართული კოსტუმის ელემენტების ძირითადი თვისებების შენარჩუნებით. ამიტომაც ეროვნული კოსტუმის და ეროვნული ტანსაცმელის ცალკეული დეტალების მოდიფიკაცია ახალი მოდელების მისაღებად შესაძლებელია სამი ცნობილი მეთოდის გამოყენებით: დეკორატიულით, კონსტრუქციულ-დეკორატიულით და კონსტრუქციულით [82].

პირველ შემთხვევაში იცვლება არსებული ტანსაცმლის დეკორატიული ელემენტები, მეორე შემთხვევაში - იცვლება კონსტრუქციულ-დეკორატიული დანაწევრების ხასიათი, ხოლო მესამეში - იცვლება ტექნიკური მახასიათებლები.

დადგენილია, რომ განსაზღვრული მხედველობითი ეფექტის მისაღწევად ტანსაცმელში მნიშვნელოვანია: ტანსაცმლის ფორმა, მისი შემადგენელ ნაწილებად დანაწევრების ხასიათი, გაფორმება, მასალის ნახატი, ფაქტურა და ფერი. განასხვავებენ კონსტრუქციულ, დეკორატიულ, კონსტრუქციულ-დეკორატიულ და ტექნოლოგიურ დანაწევრებებს. კონსტრუქციული დანაწევრება მიიღწევა მოცემული ფორმის დანაწევრების ხარჯზე, ხოლო დეკორატიული კი მიიღწევა გარეგნული მრავალფეროვნებით, ფორმის ცვლილების გარეშე .

თანამედროვე ტანსაცმლის კონსტრუქციულ-დეკორატიული დანაწევრება შეიძლება განხორციელდეს როგორც კონსტრუქციული, ასევე დეკორატიული ხაზებით.

კონსტრუქციულ-დეკორატიული დანაწევრება ქმნის ილუზიურ წარმოდგენას ფორმის შესახებ, რომელიც არ შეესაბამება მის რეალურ ზომებსა და კონფიგურაციას.

კომპოზიციის მთავარ თემასთან დამოკიდებულებაში ტანსაცმელში განასხვავებენ კომპოზიციური გადაწყვეტის შვიდ ნაირსახეობას, რომელთა შორის ტანსაცმლის დაგეგმარებისას დიდ როლს თამაშობს: დეკორატიულ-ფერით შექმნილი მრავალფეროვნება, რომელიც ითვალისწინებს კოსტუმის კომპოზიციის ელემენტების ურთიერთქმედებას კონტრასტის, ნიუანსის და იგივეობის გათვალისწინებით. დეკორატიულ-გაფორმებით გადაწყვეტა, რომელიც დამოკიდებულია გაწყობაზე, მის სახეობაზე, განლაგებაზე, შესრულების ტექნიკასა და ხერხზე. დეკორატიულ-კონსტრუქციული, განსაზღვრავს დანაწილების დეკორატიული და დეკორატიულ-კონსტრუქციული ხაზებით ფორმის ზედაპირის დამუშავების ხასიათს. კოსტუმის ელემენტების დანიშნულების მიხედვით ფუნქციონალურ-დეკორატიული კომპოზიცია ხასიათდება ტრადიციულ სამოსში ფუნქციონალური-გაწყობითი დეტალების (ჯიბეების, შესაკრავების, სარტყელების, ფურჩალების, ორნამენტის) არსებობით,

ცნობილია, რომ კომპოზიციის ელემენტების ჰარმონიზაცია მიიღწევა კომპოზიციური საშუალებების დახმარებით. ამიტომ ტრადიციული ქართული სამოსის საფუძველზე მხატვრულ-კონსტრუქტორული გადაწყვეტის მრავალფეროვნება შეიძლება მივიღოთ კომპოზიციის სხვადასხვა საშუალებების (პროპორციის, სიმეტრიის და ასიმეტრიის, ნიუანსის და კონტრასტის, მეტრული გამეორების, რითმისა და ფერის, გაწყობის ნახატის და შესრულების ტექნიკის) გამოყენების ხარჯზე. ამ დროს პროპორციულობა არის ტანსაცმლის ნებისმიერი მხატვრულ-კონსტრუქტორული გადაწყვეტის არსებობის აუცილებელი პირობა.

ქართული ტრადიციული სამოსის ელემენტებით თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარების პროცესში მნიშვნელოვანია პროპორციების დაცვა, როდგან ისინი გამოხატავენ ეროვნული ტანსაცმლის სხვადასხვა სახეობების აგების გეომეტრიულ სისწორეს. თანამედროვე კოსტუმის კომპოზიციაში დიდ როლს ასრულებს მასშტაბურობა, რომელიც განსაზღვრავს დასაგეგმარებელი ობიექტისათვის პირველწყაროდ აღებული ეროვნული ტანსაცმლის ფორმის თანაზომადობას წარდგენილი მოთხოვნების მიხედვით.

ნებისმიერი კომპოზიცია შეიძლება განხილულ იყოს, როგორც მთავარი, ნაკ-ლებად მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი ელემენტების თანადაქვემდებარებაზე აგებული სისტემა. კომპოზიციის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ფორმის ჰარ-მონიული მთლიანობა, რომელიც წარმოიქმნება მხოლოდ ტანსაცმლის ყველა ნაწი-ლის მთლიანობით და შესაბამისად, ადამიანის გარეგნობასთან დაქვემდებარების შე-დეგად. ასეთ დამოკიდებულებას ყოველთვის საფუძვლად უდევს კომპოზიციის კა-ნონზომიერების რიგი. ფორმის ნაწილების ჰარმონიული გაერთიანება მიიღწევა არქი-ტექტონიკის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ჰარმონიული ფორმის აგების კანონ-ზომიერებას. ასეთი ფორმის მთავარ ნიშანს წარმოადგენს მისი საერთო მოწესრიგებუ-ლობა, ე.ი. გააზრებულად ან გაუაზრებლად წაკითხული აგების პრინციპი. ჰარმონიუ-ლი კომპოზიციის მეორე მთავარ ნიშანს წარმოადგენს მისი ტექტონიკურობა, რომე-ლიც მაყურებელს კონსტრუქციის მუშაობის ფორმაში და მასალის ორგანიზაციაში სწორ მხედველობით აღქმას ანიჭებს. ასევე, ჰარმონიული კომპოზიციის ერთ ერთ მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს მისი წონასწორობა – კოსტუმის ისეთი მდგო-მარეობა, რომლის დროსაც ყველა ელემენტი დაბალანსებულია ერთმანეთის მიმართ .

კომპოზიციური ცენტრისა და თანამედროვე ტანსაცმლის კომპოზიციის სხვა ნაწილების შეთანხმება მიიღწევა ტრადიციული ქართული კოსტუმის ყველა ელემენ-ტის ერთიანობის და კავშირის საშუალებით. პროპორციების, მასშტაბურობის, რით-მული კავშირების, მასალის ფერს, ფაქტურული გადაწყვეტის და ასევე, დეკორის სა-ფუძველზე. თანამედროვე ტანსაცმლის გარეგანი ფორმის და ეროვნული ტანსაცმლის თანაზომადობაში უნდა გამოვლინდეს შინაგანი აგებულებისა და გარე კავშირების მი-ზანშეწონილობის ამსახველი კომპოზიციის ერთიანობა.

თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარებისას ისეთი ტრადიციული მასალების გამოყენება, როგორებიცა: ტყავი, ბეწვი, რომლებიც გამოირჩევიან შეზღუდული ერ-თეულოვანი ფართობით, ხელს უწყობს ტანსაცმლის შექმნას ორიგინალური დანაწევ-რების და მათი დეკორის სახით ჩართვის ხარჯზე. ტრადიციული ქართული კოსტუ-მის ფორმების აღქმაში დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ფერების კომპოზიციას და მასალის ფაქტურას. ქართული ტრადიციული სამოსის და თანამედროვე ტანსაცმლის ელემენტები უნდა ეთანხმებოდეს ერთმანეთს კონტრასტის, ნიუანსის და მსგავსების პრინციპით, და ამით ხელი უნდა შეუწყონ სრულიად ახალი ორიგინალური საპროექ-

ტო გადაწყვეტების შექმნას. ამიტომ თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარებისას ქართული ტრადიციული სამოსის ელემენტებით აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული კომპოზიციის საშუალებები და ხერხები, მათ შორის კონტრასტი, ნიუანსი, მსგავსების პრინციპი დეკორატიული გაფორმების წესები.

დადგენილია, რომ ქართული ტრადიციული სამოსის ელემენტებით თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარებისას, კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს დეკორი, რომლის გამოყოფა შესაძლებელია რაოდენობრივად ადგილმდებარეობის მიხედვით (კუთხის, ცენტრალური, გვერდითი, მხარის, მთლიანი, შერეული), და როგორც, აზრობრივი ფაქტორი (გაფორმება). თანამედროვე ტანსაცმლის ფორმირება შეიძლება ხორციელდებოდეს კონსტრუქტორული მეთოდის ხარჯზე (ვერტიკალური და ჰორიზონტალური დანაწევრება), და აგრეთვე მასალების მაფორმირებელი თვისებების გამოყენებაზე დაფუძნებული მეთოდით, ეი, გაწყობის, ნაქარგის, აპლიკაციის ინკრუსტაციის გამოყენებით, რომელიც ხორციელდება თანამედროვე მეთოდების დახმარებით.

სისტემაში „ადმიანი – ტრადიციული სამოსი თანამედროვე ტანსაცმელი“ ერთიანი კომპოზიციის აგების შემოქმედებითი პროცესი უზრუნველყოფს შინაარსისა და მხატვრული ფორმის ინტეგრალური ხასიათის ერთობას, პირველწყაროს კომპოზიციური გადაწყვეტის სხვა თვისებების ასახვით.

კომპოზიციის არსებული საშუალებების საფუძველზე მიიღწევა ტანსაცმლის მხატვრულ-დეკორატიული გაფორმება, ორნამენტული ხერხების გამოყენების ხარჯზე. ამ დროს ორნამენტული კომპოზიციის თანაზომადობა და რითმიკა მიღებულია ტანსაცმლის დეტალების და ორნამენტული შევსების თანაზომადობთ და შესრულების სახით, ტექნიკით და მეთოდით.

როგორც ცნობილია, დეკორი ტანსაცმელში განიხილება, როგორც გალამაზება, მხატვრული გაფორმება, სახვითი, მათ შორის ორნამენტული მოტივების (ნაქარგი, დაბეჭდილი ნახატები) დახმარებით. ამ დროს ნაქარგი წარმოადგენს ტანსაცმლის, ე.ი. გაწყობის, ერთ ერთ დეკორატიულ ელემენტს. მოდელირების პროცესში გაფორმებას (გაწყობას) აკავშირებენ ნაკეთობის ფორმასთან, მასალასთან და ფერთან. გასაწყობი დეტალი შეიძლება იყოს მუდმივი და მოსახსნელი. ნაქარგი, ფურჩალა, კანტი, ღილები - არის მუდმივი გაწყობის ელემენტები, ხოლო სარტყელი, ყვავილი –მოსახსნელი .

ტანსაცმლის მოდელირების პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება გაწყობის სხვადასხვა სახეობები, რომლებიც არა მარტო ალამაზებენ ნაკეთობას, არამედ აძლიერებენ და ამდიდრებენ მის კომპოზიციას. გაწყობა შეიძლება იყოს გამოყენებული სხვადასხვა მიზნისათვის ნაკეთობის ან მისი ნაწილის ფორმის აქცენტირებისათვის, ფორმის დანაწევრებისათვის, ფორმის ნაწილების ან რამოდენიმე სხვადასხვა ფორმის გაერთიანებისათვის, ფორმების ზედაპირზე განსაზღვრული მიმართულებით მხედველობითი ილუზიის ორგანიზებისათვის. გაწყობა ამდიდრებს კოსტუმის მხატვრულ სახეს. ზოგიერთი სახეობა ატარებს სუფთა დეკორატიულ, ხოლო ზოგიერთი - დეკორატიულ-კონსტრუქციულ, ან - დეკორატიულ და უტილიტარულ ხასიათს.

განასხვავებენ სხვადასხვა გაწყობას: მხატვრულ-კომპოზიციურს, კონსტრუქციულ-ტექნოლოგიურს, კომპოზიციურ-კონსტრუქციულს და დეკორატიულს. მხატვრული გაწყობა მიიღწევა ნაქარგის, აპლიკაციის და ინკრუსტაციის ხარჯზე. კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური გაწყობა მიიღება კონსტრუქციული და ტექნოლოგიური ხერხებით: შესაკრავები, ფურჩალები, კანტები, გვირისტები. კომპოზიციურ-კონსტრუქციული გაწყობა მდგომარეობს კონსტრუქციული კომპოზიციური ხერხების ცვლილებაში, კომპოზიციის ცნობილი თვისებების და საშუალებების, ტანსაცმლის კონსტრუქციული მოდელირების ხერხების (ნაოჭები, პლისე, გოფრე და ა.შ.) გამოყენებით.

დეკორატიული გაწყობა მიიღწევა ისეთი მასალების საშუალებით, როგორებიცაა თასმა, ოქრომკედი, ოქრომკედის გრეხილი, ოქრომკედის ყაითანი, ტრადიციული მასალები.

აქედან გამომდინარე, გაწყობის სხვადასხვა სახეობების როგორც დამოუკიდებლად, ასევე ერთმანეთთან შეხამებით, გამოყენების შედეგად, შესაძლებელია მივაღწიოთ ერთიან კონსტრუქციულ საბაზისო საფუძველზე დამუშავებული ტანსაცმლის მოდელების ახალი გადაწყვეტილებების მრავალფეროვნებას.

ქართული ტრადიციული სამოსის ფორმების ლაკონურობა, კომპოზიცია, კონსტრუქცია, ტრადიციული მასალები და ელემენტების ფუნქციონალური დანიშნულება ერთიანობაში ქმნის თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარების ორიგინალურ გადაწყვეტას. ელემენტებში დეკორის განლაგების ადგილი, მისი სახეობა, ტექნიკა და ხერხი ქმნის თანამედროვე ტანსაცმლის მხატვრულ-დეკორატიულს და კონსტრუქ-

ტორულ გადაწყვეტას, ხოლო გასაწყობი გვირისტებისა და მოსახსნელი დეკორის გამოყენების გზით თანამედროვე კოსტუმის ელემენტების დეკორატიულ-ტექნოლოგიური გაფორმება ანიჭებს ნაკეთობას ორიგინალურ კომპოზიციურ გადაწყვეტას.

დეკორი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც კომპოზიციური, საპროექტო ობიექტის (ტრადიციული ქართული სამოსის) საფუძველზე თანამედროვე ტანსაცმლის, როგორც სისტემის დეკორატიული, მხატვრულ-დეკორატიული და კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური ნიშნების ერთობლიობა.

დეკორის სქემის სწორი გამოყენება ხელს უწყობს ერთი საწყის სამოდელო კონსტრუქციის ბაზაზე და ერთი ფორმით შექმნილ ნაკეთობებში დეკორის ელემენტების ვარირების საფუძველზე ტანსაცმლის ასორტიმენტის სტრუქტურის გაფართოებას მოდელის სხვადასხვა ესთეტიკური თვისებების მიღწევის ხარჯზე.

დადგენილია, რომ თანამედროვე ნაკეთობებში დეკორის შესრულების ტექნიკა და ხერხი შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც ტრადიციული ქართული კოსტუმის გაწყობის ტრადიციული მეთოდების (ნაქარგი, აპლიკაცია, ინკრუსტაცია, თასმები,), ასევე გაწყობის პროგრესული მეთოდების (წებოვანი, შედუღებული, დაბეჭდილი) და კომპიუტერული ტექნოლოგიების დახმარებით. ასეთი სახით, მხატვრულ-კონსტრუქტორული გადაწყვეტების დამუშავებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს გაწყობის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები, როგორც დამოუკიდებლად, ასევე ერთმანეთთან შერწყმული.

დეკორის არსებობა ტანსაცმლის კომპოზიციაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, როცა დეკორატიული ელემენტები ქმნიან სისტემის ფორმისა და სტრუქტურის შენარჩუნების ხელშემწყობ მკაცრი მოწესრიგებულების პირობებს.

ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილი იქნა, რომ ქართული ტრადიციული სამოსის ელემენტებით თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარების დროს მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების ყველა სახეობა, ზედაპირის გაფორმების ხასიათის მიხედვით, შესაძლებელია დავყოთ დეკორის კომპოზიციურ, კომპოზიციურ-ტექნოლოგიურ და კომპოზიციურ-უტილიტარულ სახეებად.

შესრულების ხერხის მიხედვით იყენებენ თანამედროვე ტანსაცმლის მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების კომპოზიციურ სახეობებს – ტრადიციულ ქარ-

თულ კოსტუმში გამოყენებული მასალების ბუნებრივ ღირსებებს, ნაქარგს, აპლიკაციას, ზედნადებ (მოსახსნელ) დეკორს, ინკრუსტაციას.

კომპოზიციურ-ტექნოლოგიური სახეობები ითვალისწინებენ თანამედროვე ტანსაცმელში ნაოჭების, გასაწყობი გვირისტების, ფურჩალების, ნაკერების, კანტების გამოყენებას.

თანამედროვე კოსტუმში კომპოზიციურ-უტილიტარული სახეობები მიიღწევა ბეწვის გაწყობისა და ფურნიტურის გამოყენების ხარჯზე.

გაწყობის შესრულების ხასიათიდან გამომდინარე ანსხვავებენ კილოკავის ნაქარგს, ნაცურით, ლითონის ძაფებით (ოქროს, ვერცხლის) ნაქარგს.

ზედნადები (მოსახსნელი) დეკორის ელემენტებია - «ბუზმენტი», ლითონის ფირფიტები, მონეტები, ფოჩები, სირმა, მძივები, მარგალიტი, ძაფები, თასმა და სხვა.

გასაწყობი ფურნიტურის სახით რეკომენდირებულია ლითონის შესაკრავის, ღილების, კაუჭების, მარყუჟების გამოყენება.

დადგენილია, რომ თანამედროვე ტანსაცმლის ელემენტების მხატვრულ-დეკორატიულ გაფორმებაზე გავლენას ახდენს ტრადიციული მასალების თვისებები და მათი ბუნებრივი ღირებულება, გაწყობის სახეობა, ტექნიკა და შესრულების ხერხი, კონსტრუქციული და ტექნოლოგიური ელემენტები და, აგრეთვე, ფერების კომპოზიცია.

ფიზიოლოგებმა დაადგინეს, რომ ფერს შეუძლია შეგრძნების ორგანოებზე და განწყობილებაზე ხმის მსგავსი ზემოქმედება, როგორც ხმაური ან წყნარი, ჰარმონიული მუსიკა. ფერი, ხმის ინტონაციის მსგავსად, თითქმის სრულად გადმოსცემს იმას, რისი გადმოცემა შესაძლებელია კოსტუმის სხვა ასპექტებით - ფორმით, ქსოვილით და გაფორმებით.

ცნობილია, რომ ფერს დიდი როლი ენიჭება ტანსაცმელში ჰარმონიის მისაღწევად. ის არა მარტო ხელს უწყობს ფორმის გამოვლენას, არამედ ახდენს ადამიანზე ემოციურ გავლენასაც, ამიტომ ტანსაცმლში საჭიროა ფორმისა და ფერის ჰარმონიის მიღწევა, ფერთა შეხამებების მოწესრიგებულობა და მათი შერწყმა ადამიანის გარეგნობასთან და გარემოს დომინანტ ფერებთან .

კოსტუმის ანსამბლში ფერები ხაზს უსვამენ ყოველი არსებული ელემენტის სილამაზეს, ხოლო ქსოვილის ფაქტურაზე კი დამოკიდებულია ნაკეთობის გაფორმების სახე და ტექნიკა. ფორმის შემუშავებისას თავდაპირველად განისაზღვრება პლასტიკის

შემქმნელი მისი ძირითადი, სტრუქტურული ხაზი, ხოლო შემდეგ მხატვრული დეკორი (გაწყობა) .

გამოვლენილია, რომ ტანსაცმლის ელემენტების ფერი დამოკიდებულია მის დანიშნულებაზე, რაც მეტყველებს ფერის აღქმასთან ქართველი ხალხის ტრადიციების უწყვეტ კავშირზე. თითოეული ფერი ატარებს გარკვეულ ინფორმაციას და გამოიყენება თავის არეალში. ფერთა პალიტრის სპექტრი მოიცავს ცისარტყელას შვიდივე ფერს და მათ ელფერებს.

ქართული ტრადიციული სამოსის ფერების კომპოზიციური გადაწყვეტა დამოკიდებულია ეროვნულ ტრადიციებზე, ასაკობრივ ფაქტორზე, სიმბოლურ მნიშვნელობებზე და, აგრეთვე, ადამიანის ტემპერამენტზე, გემოვნებაზე და სოციალურ სტატუსზე და შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას მის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნა თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარების ძირითადი პრინციპები, რომლებიც ითვალისწინებენ ტრადიციული ქართული სამოსის შემდეგ მახასიათებლებს:

- პირველწყაროს კონსტრუქციის ფორმები, ნაკეთობის სიგრძე და ადამიანის ფიგურაზე მორგების ხარისხი;
- ტრადიციული მასალები, როგორც დამოუკიდებლად, ასევე ერთმანეთთან შეხამებაში კომპოზიციის თვისებებისა და საშუალებების გათვალისწინებით;
- დანაწევრების ხასიათი, დეკორატიულ-ფერითი, დეკორატიულ-გაწყობითი, დეკორატიულ-კონსტრუქციული და, აგრეთვე ფუნქციურ-დეკორატიული კონსტრუქციული გადაწყვეტის გათვალისწინებით;
- კომპოზიციის საშუალებები: პროპორციები, სიმეტრია და ასიმეტრია, ნიუანსი და კონტრასტი, მეტრული გამეორება, რითმი, ფერი, ფაქტურა და დეკორი.

4.3. პირველწყაროს შემოქმედებითი ტრანსფორმაცია თანამედროვე ტანსაცმლის შექმნის დროს

ნაწარმოების, ჩანაფიქრის (იდეის) დაბადება მხატვრის წარმოსახვაში ხდება რეალობის, აწმყოს, დაკვირვებისა და შეფასებისას. ახალ იდეაზე, მომავალი ნაწარმოების ფორმაზე მუშაობისას მხატვარი მიმართავს შემოქმედებითი პროცესის სხვადასხვა წყაროებს. ძირითად ასეთ წყაროს წარმოადგენს ყოველდღიური ცხოვრება.

ეროვნული სამოსი – ეს არ არის რაღაც უცვლელი და თავის ფორმებში გაქვავებული ობიექტი. ხალხმა საუკუნეების მანძილზე შექმნა და შეინახა კოსტუმის ისეთი სახეები, რომლებიც უმეტესწილად შეესაბამებოდნენ მის საქმიანობას, ყოფას, კლიმატს და ესთეტიკურ შეხედულებებს. მაგალითად ქართველების ეროვნულ სამოსში აბრეშუმითა და ლითონის ძაფით ნაქარგის არსებობა და აგრეთვე ლითონის სამკაულები განპირობებულია ხელოსნობის კარგი განვითარებით. კლიმატურმა პირობებმა და საქმიანობამ განაპირობა საქართველოს მთიან რეგიონებში, ბარსა და ზღვისპირეთში განსხვავებული სამოსის დანერგვა, მაგალითისათვის, მაღალმთიან რაიონებში შალის (ტოლი), ცხვრის ტყავის და მოთელილი ტანისამოსის საყოველთაო გავრცელება. ასეთი მაგალითები შეგვიძლია მოვიყვანოთ დაუსრულებლად; ისინი ამტკიცებენ, რომ ეროვნული ტანსაცმლის სახეობები და ფორმები წარმოადგენენ არა შემთხვევით, არამედ კანონზომიერ მოვლენას, რომელიც განპირობებულია ერის ან ეთნიკური ჯგუფების ყოფა-ცხოვრებით.

ნივთის, მასალის, ფორმის და კონსტრუქციიდან გამომდინარე ხალხი იღებდა გადაწყვეტილებას სამოსის ესთეტიკური მხარის შექმნაზე. მაგალითდ, ხევსურთა ტრადიციული ტალავარი ტოლისაგან, წარმოადგენდა კარგ ფონს ორნამენტირებისათვის; ხავერდის ან შალის ზედა ტანსაცმელი დეკორირებული იყო, ნაქარგობით, ძაღარით, ქსოვილის აპლიკაციებით და ა.შ. აბრეშუმის ქსოვილის სარტყელ-გულისპირი და თავსაკრავები გაფორმებული იყო, როგორც წესი, ნაქარგობითა და მძივებით. სამოსის ნაწილების ერთიან ჩანაფიქრში ხაზგასმული იყო კოსტუმის ფორმის და ადამიანის სხეულის სილამაზე.

ეროვნული სამოსის ძირითადი აზრი და ფასეულობა, მისი ფილოსოფია – მის დემოკრატიულობაში, ფუნქციონალურობაში, ფორმებისა და კონსტრუქციების ლოგიკაში, მის რაციონალურობასა და მიზანშეწონილობაშია. ტრადიციული სამოსი სა-

მართლიანად ითვლება თანამედროვე კოსტუმის გასაამდიდრებელ და გასამრავალ-ფეროვნებელ ამოუწურავ წყაროდ.

ეროვნული სამოსის შესწავლისას ეთნოგრაფისა და მხატვარ-დიზაინერის წინაშე განსხვავებული ამოცანები დგას. ეთნოგრაფისათვის კოსტიუმი ეთნიკურ, სოციალურ და ასაკობრივ კუთვნილებასთან დაკავშირებული სპეციალური სამეცნიერო კვლევის საგანია. ის თავის თავში მოიცავს ცნობებს კულტურის, სხვა კულტურების, ხალხების ან ეთნოსების გავლენის შესახებ, ასევე მასალების, საღებარების, ქარგვის ტექნიკის, ორნამენტის სემანტიკური მნისვნელობის და სხვათა შესახებ.

დიზაინერისათვის კი ის, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნების ნაწარმოებია, რომელიც კომპოზიციის განსაზღვრული კანონები მიხედვით, მკაფიოდ გამოხატული რიტმიკით, ფერთა ჰარმონიული შეხამებით, ფონისა და ორნამენტის ფერების თავისებური ურთიერთმოქმედებით, განსაკუთრებული ფორმითა და სილუეტითაა შექმნილი. დიზაინერმა ბოლომდე უნდა შეიცნოს მისი ესთეტიკური ფასეულობა, რაც შესაბამისად უნდა გამოჩნდეს კიდეც მის ნამუშევრებში. ამ დროს მან უნდა გამოიყენოს როგორც ტრადიციული სამოსის სიღრმისეული ცოდნა და შინაარსიანი გააზრება, ისე მისი სტილიზაციის უნარ-ჩვევები.

მხატვარი, რომელიც ქმნის თანამედროვე კოსტუმს, არ უნდა ახდენდეს ისტორიულის ფორმების კოპირებას, ის შედეგს აღწევს ისტორიული ნიმუშის ასოციაციური გაანალიზების შედეგად. ასოციაციური წარმოდგენა მნიშვნელოვანი ფაქტორია კოსტუმის შექმნისას, ის იძლევა საშუალებას გადაწყვეტილების სიახლით, მივაღწიოთ მრავალფეროვნებას,

ისტორიული ნიმუშის შემოქმედებითი ტრანსფორმაცია იწყება მასალის შეგროვებით. ეს არის მხატვრის მუშაობის ყველაზე შრომატევადი და რთული ნაწილი. პირველადი მასალის გარეშე შეუძლებელია საუბარი ფანტაზიის, ასოციაციებისა და მხატვრული სახის შესახებ. წყაროს შესწავლა უნდა ხდებოდეს პატივისცემით და გააზრებულად. ასლების და ჩანახატების გაკეთებისას დიზაინერი უნდა მიისწრაფოდეს შეიცნოს მისი არსი, მისი ფორმების პლასტიკა და განვითარების კანონზომიერება, ელემენტების ერთმანეთის მიმართ და საერთო ფორმასთან პროპორციული შეფარდების სილამაზე, რითმების მრავალფეროვნება და სიმდიდრე, ფერთა აგების ხასიათი, ფაქტურული მრავალფეროვნება და უნდა განვსაზღვროთ ყველაფერი ამის

ადგილი ერთიან კომპოზიციაში. წყარო მხატვრისათვის - იგივეა, რაც მელოდია, ტაქტი, მოტივი კომპოზიტორისათვის, რომელიც ამ მელოდიის თავისებური არანჟირებით, ბგერათა შეხამებების, ახალ ტონალობებში ჩასმით აღწევს ახალ გამოხატულებას, ახალ შინაარსს. ისტორიულმა წყარომ შეიძლება შთააგონოს მხატვარს ახალი, სპეციფიკური გადაწყვეტილებების შექმნა, რომლებიც ამა თუ იმ თვისებებით შეგვახსენებენ პირველწყაროს.

მაგრამ, ახალი კომპოზიციის ისტორიული წყაროს მიხედვით აგებისას, არ შეიძლება სრულად გამოვიყენოთ ძველი ფორმა. მხატვარი ვალდებულია შექმნას მოდელები, რომლებშიც აისახება თანამედროვეობის ტენდენციები და ფორმები. არა ძველის კოპირება, არამედ მისი სიმდიდრის ახლებურად გააზრება და საინტერესო ნიმუშების შექმნა – ასეთი მოთხოვნა დგას დიზაინერის წინაშე, რომელიც ისტორიული ან ეროვნული კოსტუმის, არქიტექტურის ან კლასიკური ხელოვნების მასალებთან მუშაობს.

ცხადია, რომ სასარგებლო ნივთების შექმნისას, შეუძლებელია ყველამ მოძებნოს ემოციურად ზუსტი და სწორი გადაწყვეტილება. ამისათვის საკმარისი არ არის ისტორიული მასალის და წარმოების ტექნოლოგიის კარგად ცოდნა. არასაკმარისია კონსტრუქციული გამომგონებლობა და ინჟინრული გონებამახვილობა. ყველა ამ თვისებას თავისთვად არ შეუძლიათ შექმნას მხატვრული სახე არქიტექტონიკურ ხელოვნებაში. აუცილებელია მხატვრულ-შემოქმედებითი ნიჭი, ე.ი. უნარი იფიქრო წარმოსახვით. არქიტექტონიკულ ხელოვნებაში - ეს არის უნარი იპოვო საგნის ემოციურ-გამომსახველობითი ფორმა, იპოვო ისეთი პროპორციები, მოხაზულობა, რითმები, ფერთა გადაწყვეტა, მასალა, ფაქტურა, ორნამენტი, განლაგება, რომლებიც ერთობლიობაში გარკვეულ ემოციურ სულიერ მდგომარეობას გამოსახავენ. ცხადია, ასეთი უნარი უშუალოდ არის დაკავშირებული ოსტატობასთან, მაგრამ მხოლოდ ოსტატობასთანაც არ იგივდება. ამიტომაც, ყველა კოსტუმი და საყოფაცხოვრებო ნივთი არ არის ხელოვნების ნიმუში.

ეროვნული თავისებურების ნიშნები ვლინდება მოდელებში, რომლებიც დამზადებულია ხელთნაქსოვი, დართული, ქსოვილის მსგავსი ორნამენტის და სტრუქტურის მქონე მასალებისგან. კოსტუმი აგებულია ტრადიციული სამოსისათვის დამახასიათებელი ფორმების, ელემენტების გამოყენებაზე და შეხამებაზე. ეროვნული სა-

მოსის ფორმები კარნახობენ მხატვარს ნაკეთობათა სხვადასხვა ასორტიმენტს. მაგალითად, ქართული ტრადიციული ქალის კაბები გამოიყენება თანამედროვე გამოსასვლელი, სადღესასწაულო, საღამოს კაბების და ა.შ. შექმნისათვის. დიდ როლს თამაშობს აგრეთვე, ასევე, დეკორირების ხერხები.

ტრადიციები თანამედროვე კოსტუმში ყოველთვის ვერ პოულობენ ღირსეულ გამოხატულებას. წარუმატებლობა ზოგჯერ თან სდევს ცალკეულ მხატვრებს ისტორიულ წყაროსთან არასწორი, ზედაპირული მიდგომის შემთხვევაში. ის სპეციალისტები-ნოვატორები, რომლებიც შეიცნობენ ქართული ეროვნული ტანსაცმლის სახოვან-ლოგიკურ შინაარს, ქმნიან უცნაურ ახალ მოდას.

ისტორიული ნიმუშის და პირველ რიგში ტრადიციული კოსტუმის შემოქმედებითი ტრანსფორმაცია (სქემა 6), ასოციატიური წარმოდგენის გზით, ხელს უწყობს თანამედროვე კოსტუმის ემოციურ-სახოვან გადაწყვეტას, მისი დასრულებულ მხატვრული ანსამბლის სახით ჩამოყალიბებას.

ისტორიულ წყაროს შეუძლია გვიკარნახოს აგრეთვე ცალკეული ნიმუშების, ორიგინალური კონსტრუქციების, საინტერესო კომპოზიციების შექმნა, მასალების ფაქტურული და ორნამენტალური გადაწყვეტილებები, რაც ხელს უწყობს თანამედროვე სამკერვალო, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის სხვა ნაწარმის ასორტიმენტის გაფართოებას. ტრადიციული ხელოვნების შესწავლა და შემოქმედებითი ტრანსფორმაცია ხელს უწყობს თანამედროვე კოსტუმის განახლებას და გამდიდრებას, თავისებური ეროვნული კოლორიტის შექმნას.

ტრადიციის და ნოვატორობის თემა არ არის ახალი, მაგრამ ამასთან ერთად მუდმივად აქტუალურია, როგორც ნებისმიერი ხელოვნების სახეობაში, ასევე კოსტუმშიც. მაგალითად ნაქარგი, როგორც დეკორი თანამედროვე კოსტუმში გამართლებულია იმ შემთხვევაში თუ სწორად არის მიგნებული ორნამენტული მოტივი, დეკორირების ობიექტი, ადგილმდებარეობა, უზრუნველყოფილია შესრულების აბსოლუტური სისუფთავე. ასეთ შემთხვევაში ტრადიციული ნაქარგობა, მისი კომპოზიციური აგებულება, შესრულების ტექნიკა, ორნამენტალური მოტივები საინტერესო დეკორატიული ელემენტებია, რომლებსაც შეუძლია გაამდიდროს და გამრავალფეროვნოს თანამედროვე ტანისამოსი. თუ ვისაუბრებთ თანამედროვე კოსტუმის ღრმა მხატვრული გადაწყვეტის შესახებ - ამოცანა უფრო მეტად რთულდება. საჭიროა ტრადიციუ-

ლი კოსტუმის, ნაქარგობის ღრმა ცოდნა. ყოველდღიური მოდური კოსტუმის შექმნა ისეთივე რთულია, როგორც სამოსის შექმნა მომღერალთა და საცეკვაო კოლექტივებისათვის, ეროვნული ცეკვებისა და სიმღერების შემსრულებლებისათვის. საქმე იმაშია, რომ კოსტუმი ადამიანთან ერთად უნდა ქმნიდეს ღრმა იდეურ-მხატვრული შინაარსის ერთიან ანსამბლს. აუცილებელია წარსულის გადმოღებასთან შემოქმედებითი მიდგომა. ტანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარების დროს ეთნოელემენტების გამოყენებით გამორიცხავს [83]. ეროვნული მოტივების მექანიკურ გაერთიანებას დასაგეგმარებელ ნაწარმში, ახალი სამოსი უნდა წარმოადგენდეს ძველისა და ახლის ორგანულ შერწყმას, რაც უზრუნველყოფს ტრადიციული სამოსის პოპულარიზაციას და თანამედროვე სამოსის ასორტიმენტის გამრავალფეროვნებას.

4.4. ქართული ტრადიციული სამოსის, როგორც შთაგონების პირველწყაროს გამოყენების ანალიზი მოდელიორთა პრაქტიკაში

ქართული სამოსი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ორიგინალური სტილით. მე-19 საუკუნის მიწურულს, თბილისი მრავალეროვანი ქალაქი იყო. აღმოსავლური და დასავლური კულტურის მოტივები ერთმანეთს ერწყმოდა, რამაც გავლენა ჩაცმულობის სტილზეც მოახდინა. თუ მანამდე საქართველოში ძირითადად ადგილობრივად დამზადებული ქსოვილი გამოიყენებოდა, XIX საუკუნიდან მზა მასალის აქტიური იმპორტი დაიწყო, რამაც ადგილობრივ წარმოებას ხელი შეუშალა.

უცხოური მზა ნაწარმის პირველი მომხმარებლები, ქალაქის მაღალი ფენის წარმომადგენლები იყვნენ. ევროპული ტანსაცმელი უფრო კომფორტული და ადვილად გამოსაყენებელი იყო, ვიდრე ქართული, რომლის შეკერვაც, თავისი რთული შემადგენლობით, საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. ამიტომ, საქართველოში მოდის ახალი ტენდენცია დამკვიდრდა.

უცხოეთიდან სხვადასხვა სახის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და აგრეთვე, ახალ–ახალი ტექნოლოგიებით დამუშავებული ქსოვილები შემოჰქონდათ. ქართველი მკე-

რავები ახალი ქსოვილებითა და ქართული საფეიქრო ნედლეულით სხვადასხვა კომ-ბინაციებს, უცხოურისა და ქართულის ერთგვარ ნაზავს ქმნიდნენ. შედეგად ტრან-სფორმაცია განიცადა ქალისა და მამაკაცის კოსტიუმმა. ყველაფერმა ამან ჩვენს ქვეყა-ნაში უცხოური მოდური ტენდენციების განვითარებას შეუწყო ხელი.

XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან ქართული სამოსი სრულიად ჩაა-ნაცვლა ევროპული სტილის სამოსმა. ამ პერიოდში განსაკუთრებული პოპულარო-ბით ქალის ორნაწილიანი ჩასაცმელი, ზედატანი და ქვედატანი სარგებლობდა. ხმა-რებიდან გაქრა შეიდიში, ახალუხი, ქოშები. ტრადიციული ტანსაცმლის ხმარებიდან ამოღების მიუხედავად, მისი გარკვეული ელემენტები თავს ახალი სტილის სამოსელ-ში ინარჩუნებდა, რაც ძირითადად აქსესუარსა და თავის დაბურვის წესში გამოიხატე-ბოდა, რის გამოც ქართული თავსაბურავები შედარებით დიდხანს შემორჩა, შემდეგ ჩიხტიკოპი შლაპამ ჩაანაცვლა. ქართული ნაციონალური კაბები - ახალი მოდის კაბებ-მა, რომელიც დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც იმ დროის გერმანიასა და საფრან-გეთში ეცვათ. მოდური ტანსაცმლის მკერავებს ,,მოდისტკებს'' ეძახდნენ. მე-19 საუკუ-ნის თბილისი ევროპულ ქალაქებს დაემსგავსა, მაგრამ ქართული ჩაცმულობის ცალ-კეული ელემენტები თავის აქტუალობას არ კარგავდა და ტანსაცმელის მოსართავად გამოიყენებოდა. ქართული ხალხური ქსოვილებისათვის დამახასიათებელი ფერების კეთილშობილი, ჰარმონიული შეხამება და თავისებური ორნამენტული მოტივები. ნა-ქარგი ფიგურები ძალიან მრავალფეროვანი იყო და მაღალ დონეზე სრულდებოდა.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე (არც უფრო გვიან) ევროპული ჩაცმის სტილზე გა-დასვლის მიუხედავად, თავისი ხიბლი არ დაუკარგავს ქართულ ტრადიციულ სა-მოსს. ქართულ კაბასა და ჩოხა-ახალუხში სიამოვნებითა და სიამაყით იმოსებოდნენ სადღესასწაულო დღეებში, განსაკუთრებით ქორწინების დღეს და ეროვნულმა კოს-ტიუმმა თანდათან სარიტუალო ხასიათი მიიღო.

ტრადიციული ეთნოკოსტიუმი შედარებით ხანგრძლივად შემორჩა საქართვე-ლოს მაღალმთიან რეგიონებს ხევსურეთსა და მთათუშეთს, აქ გასული საუკუნის შუა ხანებამდე მისდევდა მოსახლეობა სამოსის შინამრეწველური წესით დამზადებასა და მის გამოყენებას.

ქართული ტრადიციული სამოსის ეთნოელემენტების მიხედვით ტანსაცმლის თანამედროვე კოლექციის დაგეგმარებამდე აუცილებელია გაანალიზებულ იქნას მი-

სი როლი დიზაინერ-მოდელიორთა შემოქმედებით მოღვაწეობაში, ასევე მისი მნიშვნელობა და გავლენა ზოგადად მოდის ინდუსტრიაზე. ამ მიზნით დასმულ იქნა ამოცანა: გასული საუკუნის 20-30-იანი წლების მოდის სტილისტურ მიმართულებასა და ტენდენციებზე ქართული ეროვნული კოსტიუმის გავლენის კვალის ძიება და ანალიზი. საკითხის გარკვევისათვის შესწავლილ იქნა გასული საუკუნის დასაწყისის ევროპული მოდების ჟურნალები, მოდელიორების და მოდების სახლების ნამუშევრები. უნდა აღინიშნოს, რომ მოლოდინს გადააჭარბა იმ გასაოცარმა ინტერესმა და ერთგვარმა თავგამოდებამ, რაც იმ პერიოდში წილად ხვდა ქართულ ეროვნულ კოსტიუმს ევროპაში, განსაკუთრებით საფრანგეთში [87]. ამ ფაქტს სხვადასხვა ობიექტურმა პირობებმა შეუწყო ხელი. ცნობილია, რომ 1917 წ. რევოლუციის შემდეგ ქართველმა არისტოკრატიამ დატოვა სამშობლო და ემიგრაციაში წავიდა. მათი უმეტესობა საფრანგეთში, კერძოდ პარიზში გადასახლდა. ხელმოკლედ მყოფი ქართველი დიდგვაროვნების უმრავლესობა მუშაობას არ თაკილობდა და შესაბამისად, მნიშვნელოვან წარმატებასაც აღწევდა. პარიზში ამ დროს გახსნილმა „კავკასიური წარმოშობის“ მოდების სახლებმა, რომელთა მფლობელები საქართველოდან ემიგრირებული არისტოკრატები იყვნენ, შეიტანეს ევროპულ მოდაში ქართული და ზოგადად კავკასიური მოტივები (ნახ. 4.1).

ნახ. 4.1. ჩოხის სტილიზაციის მაგალითები ევროპულ მოდაში. პარიზი 1922-26 წწ [88].

საქართველოში პირველი ცნობილი ,,მხატვარი-მოდელიორი", რომელმაც ქართული ტრადიციული სამოსი შთაგონების წყაროდ გამოიყენა ალექსანდრე ახვლედიანი, მეტსახელად „საშა პარტნოი" გახლდათ. ის გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში გამოჩნდა თბილისში და მალე გახდა ყველაზე ცნობილი კუტიურიე. საშა პარტნოი რუსთაველის გამზირზე მდებარე „ვოლკოვების ატელიეს" მთავარი ოსტატი იყო. ის არა მარტო ყოველდღიურ სამოსს, არამედ სასცენო და ქორეოგრაფიულ კოსტიუმებსაც ქმნიდა, ქართული ეროვნული კოსტიუმის მიხედვით. ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლებისათვის მის მიერ შექმნილ კოსტიუმებს, უცხოეთში გასტროლების დროს, აღტაცებაში მოჰყავდა როგორც მაყურებელი, ისე ცნობილი მსახიობები.

ცნობილია რომ, საშა პარტნოიმ ტანსაცმლის კერვა და მოდელირება პარიზში შეისწავლა. მასთან ქართული ელიტის წარმომადგენელი ქალბატონები იცვამდნენ.

ამბობენ, რომ საშა ესკიზების შექმნის გარეშე ქმნიდა სამოსს. ქსოვილს მაგიდაზე გაშლიდა და ზედ საპნით ხატავდა თარგს, შემდეგ ჭრიდა, კერავდა და საოცარი სიზუსტით არგებდა ტანზე კლიენტებს. მას დამხმარეები ჰყავდა დაქირავებული, რომლებიც კაბებს ეროვნული ორნამენტული დეკორითა და მძივებით რთავდნენ. მასთან ცნობილი ქართველი მსახიობებიც იცვამდნენ. მათ შორის ულამაზესი ნატო ვაჩნაძე. საშა პარტნიო პარალელურად ოპერაშიც მუშაობდა.

ამჟამად უცხოეთსა და საქართველოში მოღვაწე ქართველი დიზაინერები შთაგონების წყაროდ თავის კოლექციებში საკმაოდ ხშირად იყენებენ ტრადიციული სამოსის მოტივებს, მათ შორის გამოვყოფთ „სამოსელი პირველს“.

ქართული მოდა დღესაც არ კარგავს აქტუალობას. თბილისში რამდენიმე წელია გაზაფხულსა და შემოდგომაზე რეგულარულად იმართება მაღალი მოდის კვირეულები, რომლებსაც აშუქებს ცნობილი ბრენდები: Vogue.com, Vogue Italia, Marie Claire Italia, Grazia და სხვებმა. საამაყოა ის ფაქტი, რომ მსოფლიოში ძალიან ცნობილი ორი ფრანგული მოდის სახლს ქართველი დიზაინერები უდგანან სათავეში - დავიდ კომა Mugler-ში და დემნა გვასალია Balenciaga-ში.

ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს თანამედროვე მოდის ინდუსტრიაში ეთნოსტილის აქტუალურობას და შესაბამისად დიზაინერთა დიდ ინტერესს ქართული ტრადიციული სამოსისადმი თანამედროვე ტანსაცმელში მისი გამოყენების მიზნით.

4.5. ქალის თანამედროვე ტანსაცმლის კოლექციის დაგეგმარება ეთნოელემეტების გამოყენებით

თანამედროვე ტანსაცმლის კოლექციის შექმნა ტრადიციული სამოსის სტილში დიზაინერ-მოდელიერისათვის საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. ზოგჯერ არასწორადაა მიჩნეული, რომ ამისათვის საკმარისია ეროვნული ტანსაცმლის ელემენტების კოპირება და თანამედროვე ტანსაცმელში ბრმად გადატანა. რეალურად კი, ამ

დროს საჭიროა საკმაოდ მასშტაბური კვლევითი სამუშაოს შესრულება ტრადიციული კოსტუმის შესწავლის დარგში [82].

ქართული ტრადიციული სამოსის სამუზეუმო ნიმუშების შესწავლისა (კონსტრუქტორულ-კომპოზიციური მახასიათებლები, გამოყენებული ქსოვილების სტრუქტურული მაჩვენებლები, სამომხმარებლო თვისებები) და სოციოლოგიური კვლევის (კონსტრუქციულ-კომპოზიციური მახასიათებლების, რეგიონალური კომპლექსების ცნობადობის, მომხმარებელთა უპირატესობების და სხვა ნიუანსების გამოვლენით) შედეგების გათვალისწინებით შემუშავებულ იქნა თანამედროვე კოლექციის კონცეფცია, რაც სტილისტიკის, ტანსაცმლის ტიპის, დანიშნულების და სხვა ასპექტების გარდა, კოლექციის ვიზუალური იერით მიღებულ შთაბეჭდილებასაც გულისხმობს.

კონცეფციის შემუშავებისას ამოსავალ წერტილად მიღებულ იქნა სოციოლოგიური კვლევის შედეგები, კერძოდ:

- ✓ ანკეტური გამოკვლევის თანახმად რესპოდენტთა უმეტესობამ უპირატესობა მიანიჭა სამოსის კომპლექტებს, შესაბამისად თანამედროვე კოლექციის შექმნისას ძირითად ბაზისად აღებული იქნა კომპლექტი კაბისა და მოსაცმელის ერთობლიობით. ამ გადაწყეტილებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ მუზეუმებში დაცული ტრადიციული სამოსის კოლექციებში ყველაზე დიდ პროცენტს შეადგენს კომპლექსები კაბის, მისი აქსესუარების (სარტყელ-გულისპირი, ფესტემალი), თავსაბურავისა და ზედა სამოსის (მოსაცმელი) შემადგენლობით;
- ✓ სამოსის ცნობადობისთვის განმსაზღვრელ ნიშნად რესპოდენტების მიერ სილუეტი და დეკორი იქნა მიჩნეული. აქედან გამომდინარე, სილუეტი და დეკორი, როგორც ქართული ტრადიციული სამოსის ძირითადი მახასიათებელი ელემენტები, ხაზგასმით დომინირებულია თანამედროვე კოლექციის დაგეგმრებისას: მკაფიოდ გამოყვანილი სილუეტი და ბოლოსკენ ტრაპეციულად გაფართოებული ფორმა, როგორც ტრადიციულ სამოსში ყველაზე ხშირად შემხვედრი, უცვლელადაა შენარჩუნებული თანამეროვე მოდელებში, ხოლო დეკორატიული გაფორმება წარმოდგენილია სტილიზებული სახით;
- ✓ რესპოდენტებისათვის ნაკლებად ცნობადი და ნაკლებ მოწონებული რეგიონალური კომპლექსების ელემენტების საბოლოო დავიწყებისა და უგულებელყო-

ფისაგან დაცვის მიზნით განხორციელდა მათი „გაცოცხლება“, მაგალითისათვის – აქცენტი გაკეთდა თუშურ კომპლექსზე, როგორც ერთ-ერთ ნაკლებად ცნობად სამოსზე. აღსანიშნავია, რომ თუშური სამოსი, ერთი შეხედვით პირქუში შესახედაობის მიუხედავად (დეკორატიული გაფორმების ნაკლებობის გამო), უდავოდ შეიცავს დიზაინერისათვის ძალზე საინტერესო, საყურადღებო და ორიგინალობით გამორჩეულ ელემენტებს (ფარგული, სახელქურო, მოსართავი – ჟღარლი და სხვ.), სწორედ ამიტომ, დასაგეგმარებელი კოლექციის ზოგიერთ მოდელში თუშური კომპლექსის ელემენტების მოდიფიკაცია განხორციელდა. კოლექციაში გამოყენებულია ასევე ფშაური კომპლექსის, ტრადიციული ქართული კაბის და მამაკაცის ჩოხის ელემენტების სტილიზებული ვარიაციები.

- ✓ რესპოდენტთა უმრავლესობის მოწონება დაიმსახურა სამოსის აფხაზურმა კომპლექსმა. ის მართლაც იქცევს ყურადღებას სახელოს ფორმის ორიგინალობით, დახვეწილი სილუეტური ფორმითა და ფერთა საინტერესო შეხამებით, აღნიშნულიდან გამომდინარე თანამედროვე მოდელებში აფხაზური სახელოს მოდიფიცირება განხორციელდა.
- ✓ რესპოდენტთა შორის ყველაზე პოპულარული სამოსის ზოგიერთი ელემენტი, როგორიცაა ქართული კაბის სარტყელი, სახელოს ყოშები, ჩოხის საქილეები და სხვა, სტილიზებული სახით კიდევ ერთხელ იქნა აქცენტირებული თანამედროვე კოლექციის მოდელებში.
- ✓ მართალია სამოსის ცნობადობისთვის განმსაზღვრელ ნიშნებს შორის რესპოდენტების მიერ ფერის ფაქტორი შედარებით ნაკლებად არის მითითებული, მაგრამ საზოგადოდ, ფერს დიდი მნიშვნელობა აქვს ტრადიციული სამოსის კომპოზიციაში. აქედან გამომდინარე, დაგეგმარებულ კოლექციაში წამყვანი ფერთა გამა შერჩეული იქნა ტრადიციულ სამოსში ყველაზე პოპულარული ფერების შეხვედრის სიხშირიდან გამომდინარე.

შემუშავებული კონცეფციის შესაბამისი, ეთნოსტილში გადაწყვეტილი თანამედროვე ტანსაცმლის კოლექცია შედგება ხუთი მოდელისაგან. ეთნოსტილი გამოსახულია თითოეული მოდელის ფორმის, დეკორისა და ფერის გადაწყვეტაში, რომელთა ურთიერთქმედება და ჰარმონიულ შერწყმა ავსებს და აერთიანებს მოდელებს,

წარმოაჩენს მათ, როგორც ერთი მთლიანობის (ამ შემთხვევაში კოლექციის) შემადგენელ ნაწილს. კოლექციაში საინტერესო აქცენტს ქმნის მოსაცმელთა ფორმის გადაწყვეტა, სარტყელ-გულისპირისა და ფარაგას იმიტაცია კი დინამიურობას ანიჭებს მას.

დამუშავებული კოლექციის მთლიანობა სტილური თავშეკავებულობით, სილუეტური ხაზებით, ფერთა გადაწყვეტითა და დეკორატიული გაფორმებითაა გამოსახული, რაც ჰარმონიულადაა შეხამებული თითოეულ მოდელში და ასოცირდება ქართული ტრადიციული სამოსის ელემენტებთან.

ა მოდელი



ნახ. 4.2. ა მოდელის ტექნიკური ესკიზი

საღამოს გამოსასვლელი კომპლექტი, შედგება კაბისა და მოსაცმელისაგან. თუშური ფარგულის, ჟღარლისა და აფხაზური სახელოების სტილიზაციით მიღებულია საინტერესო და დინამიური მოდელი (ნახ. 4.2). შედგენილია მასალათა კომბინაციით: სინთეზური აბრეშუმი – თაფთა-ატლასი, სინთეზური ხავერდი, სინთეზური ტიული; ფერთა გამა ყველაზე პოპულარული ფერების შეხვედრის სიხშირიდან გამომდინარე – ჩალისფერისა და შავის კომბინაციას წარმოადგენს. კაბა გამოყვანილი სილუეტის, ქვევით ტრაპეციულად გაფართოებული, ტერფამდე სიგრძის; კაბა წელში გადაჭრილია; ლიფის კალთა ერთნაწილიანი, წელის ხაზსა და გულმკერდის არეში ამოღებულობით, ზურგი ორნაწილიანი; ყელის ღიობი მრგვალი ფორმის, დახურული – ყელთან მომდგარი; სახელო აფხაზური სახელოს სტილიზაციით; სახელოს ნაპირები კანტით დამუშავებული. ქვედა კაბა ტრაპეციულად გაფართოებული, ორნაჭრიანი, წელის ხაზზე მცირე ნაოჭით. კაბის ლიფი ზურგში, კისერთან იკვრება თითო ღილსა და ღილ-კილოზე, ხოლო წელზე – გვერდის არეში ელვა-შესაკრავით.

მოსაცმელი თუშური ფარგულის მოდიფიკაციის გზით არის მიღებული. გამოყვანილი სილუეტის, შავი ხავერდის ქსოვილისაგან, გვერდის ნაკერების გარეშე.

გამოყვანილობა მიიღება წელის არეში დატნეული ქამრის საშუალებით, რომელიც უკან იკვრება. კალთა ერთნაწილიანი; ზურგი ერთნაწილიანი; ყელის ღიობი მრგვალი ფორმის; სახელოს გარეშე; დამუშავებულია სარჩულით. მოსაცმელი მკერდზე გაფორმებულია სამკაულით, რომელიც თუშური სამოსის შესამკობლის – ჟღარლის ინტერპრეტაციას წარმოადგენს; მისი ჩამოშვებული მძივები მოდელს დინამიურობას ანიჭებს.

ბ მოდელი



ნახ. 4.3. ბ მოდელის ტექნიკური ესკიზი

ქალის საღამოს გამოსასვლელი კომპლექტი, შედგება კაბისა და წელს ქვევით შემოსადები ელემენტისაგან. (ნახ. 4.3). დანიშნულების, ასორტიმენტისა და სილუეტის მიხედვით წინა მოდელის ანალოგიურია – ვიზუალურად დიდგვაროვანი ქალის ქართული კაბის ასოციაციას წარმოშობს. მასალების – თაფთა-ატლასის, ხავერდისა და ტიულის კომბინირებით შედგენილი მოდელი საინტერესო და გამომსახველ ფორმას ქმნის. სპილოსძვლისფერის და შავის კომბინაციით მიღებული ფერთა გამა ტრადიციულ სამოსში გამოყენებული ფერების მიხედვით არის აღებული. კაბა – წელში გადაჭრილი; ლიფის კალთა ერთნაწილიანი, წელის ხაზსა და გულმკედის არეში ამოღებულობებით; ზურგი ორნაწილიანი, წელის ხაზზე ამოღებულობით; ყელის ღიობი მრგვალი ფორმის, ყელთან მომდგარი. სახელო ჩაკერებული, ტრაპეციული ფორმის, ქვევით გაფართოებული; კაბის ქვედა ნაწილი ირიბადაჭრილი, ორნაჭრიანი, წელის ხაზზე მცირედ ნაოჭასხმული; წელზე სარტყელით. კაბის ლიფი ზურგში, კისერთან იკვრება თითო ღილსა და ღილ-კილოზე, ხოლო წელზე – გვერდის არეში ელვა-შესაკრავით. სახელოს ბოლო და შემასადები ქვედა ნაწილის ბოლო გაფორმებულია საქილეების მსგავსად პლისირებული განიერი არშიით, რაც საერთო კომპოზიციაში თანაბარზომიერად განმეორებულ რიტმს წარმოშობს.

3 მოდელი



ნახ. 4.4. გ მოდელის ტექნიკური ესკიზი

საღამოს გამოსასვლელი კომპლექტი, წარმოადგენს თუშური ფარგულის, ფესტემალისა და სარტყელის გაერთიანებით მიღებული დეკორატიული ელემენტით აქცენტირებულ დინამიურ კომპოზიციას. (ნახ. 4.3). კომპლექტი შედგება კაბისა და მოსაცმელისაგან. შედგენილია მასალათა კომბინაციით: სინთეზური აბრეშუმი (თაფთა-ატლასი), სინთეზური ტიული, ხავერდი; მოდელის ფერთა გამა ტრადიციული სამოსის პოპულარული ფერების მიხედვით, მწვანისა და სპილოსძვლისფრის კომბინაციით არის გადაწყვეტილი; კაბა გამოყვანილი სილუეტის, ტერფამდე სიგრძის; კაბა წელში გადაჭრილია; ლიფის კალთა ერთნაწილიანი, წელის ხაზსა და გულმკედის არეში ამოღებულობებით; ზურგი ერთნაწილიანი, წელის ხაზზე ამოღებულობით; საყელოს გარეშე, წელის ღიობი მრგვალი ფორმის, ყელთან მომდგარი; იკვრება ღილ-კილოთი. სახელო ჩაკერებული, მჭიდროდ მორგებული, კომბინირებული მასალისაგან: ქვედა (შიგა) ნაწილი საზედაპირე ქსოვილისაგან, ხოლო ზედა (გარე) მხარე ტიულის ქსოვილის ჩადგმულით, ყოშებით დაბოლოებული; კაბის ქვედა ნაწილი ორნაჭრიანი, ტრაპეციული ფორმის, წელში ნაოჭასხმული. კაბის ლიფი ზურგში, კისერთან იკვრება თითო ღილსა და ღილ-კილოზე, ხოლო წელზე – გვერდის არეში ელვა-შესაკრავით. ფარგულ-ფესტემალი ქვევით მცირედ გაფართოებული; იკვრება მხრების ხაზზე დამუშავებული თასმებითა და წელის ხაზზე მოტნეული ქამრით.

მოსაცმელი პელერინასებური – გაფართოებული სილუეტის, თეძოს ხაზამდე სიგრძის; შედგენილია მასალათა კომბინაციით – სინთეზური ტიულითა და ხავერდით; დამუშავებულია კაპიუშონით; შედგება ხუთი ტრაპეციული ფორმის დეტალისაგან; მოსაცმელის კალთებზე, გვერდის არეში, იდაყვის დონეზე დამუშავებულია ჭრილები – ხელის გამოსაყოფად.

მოსაცმელის ბოლო და სტილიზებული ფესტემალ-სარტყელის ბოლო გაფორმებულია მაქმანის ზოლით, რაც მოდელის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს და ამავდროულად ანსამბლის საერთო აღქმაში რიტმულ კანონზომიერებასაც წარმოშობს.

დ მოდელი



ნახ. 4.5. დ მოდელის ტექნიკური ესკიზი

ქალის საღამოს გამოსასვლელი კომპლექტი. (ნახ. 4.4). დანიშნულების, ასორტიმენტისა და სილუეტის მიხედვით სხვა მოდელების ანალოგიური – ქართული კაბის, თუშური ჟღარლისა და ჩოხის ელემენტების ინტერპრეტაციით გზით მიღებული საინტერესო კომპოზიცია; შედგება კაბისა და მოსაცმელისაგან; სხვა მოდელების მსგავსად სინთეზური აბრეშუმის (თაფთა-ატლასი), სინთეზური ხავერდისა და სინთეზური ტიულის კომბინაციით შედგენილი; თეთრი და შავით გადაწყვეტილი ფერთა გამით, რომელთა კონტრასტული შეხამება მოდელს განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებს.

კაბა გამოყვანილი სილუეტის, ტერფამდე სიგრძის; წელში გადაჭრილი; ლიფი მჭიდროდ მორგებული, კალთა ერთნაწილიანი, წელის ხაზსა და გულმკერდის არეში ამოღებულობებით; ზურგი ორნაწილიანი, წელის ხაზზე ამოღებულობით; საყელოსა და სახელოს გარეშე, ქვედა ნაწილი ტრაპეციული ფორმის, ორნაჭრიანი, წელის ხაზზე ნაოჭასხმული. მოდელს ამშვენებს სარტყელი, რომელიც კაბის კონტრასტულ ფერშია გადაწყვეტილი. კაბის ლიფი ზურგში, კისერთან იკვრება თითო ღილსა და ღილ-კილოზე, ხოლო წელზე – გვერდის არეში ელვა-შესაკრავით. კაბა შემკულია თუშური ჟღარლის ეფექტით დამუშავებული სამკაულით. შემკულობას და ზოგადად კომპოზიციის ზედა ნაწილს აწონასწორებს წინ დაშვებული, ქვემოთ გაგანიერებული სარტყელი.

მოსაცმელი პერელინისებური, გაფართოებული სილუეტის, თეძოს ხაზამდე სიგრძის, სინთეზური ტიულისა და ხავერდის კომბინაციით; იკვრება თასმებით; გა-

ფორმებულია საქილეებითა და მაქმანით, რომლითაც მოდელის კომპოზიციური ცენ-ტრია აქცენტირებული.

ე მოდელი





ნახ. 4.5. ე მოდელის ტექნიკური ესკიზი

ქალის საღამოს გამოსასვლელი კომპლექტი – ქართული კაბის, ფშავურ-თუშური ფესტემალისა და თუშური ფარგულის გაერთიანებისა და ინტერპრეტაციის საშუალებით მიღებული დინამიური კომპოზიცია; შედგება კაბის, ფარგულ-ფესტემალისა და მოსაცმელისაგან; მასალად გამოყენებულია სინთეზური თაფთა-ატლასის, სინთეზური ხავერდის და სინთეზური ტიულის კომბინაცია. (ნახ. 4.5). კაბა გამოყვანილი სილუეტის, წელში გადაჭრილი; კაბის ლიფი მჭიდროდ მორგებული; კალთა ერთნაწილიანი, წელის ხაზსა და მკერდის არეში ამოღებულობებით; ზურგი სამნაწილიანი; ფიგურული კოკეტკის მსგავსი, ქვედა ნაწილი გამჭვირვალე, დეკორატიული ქსელი-ორნამენტით შევსებული; სახელო ჩაკერებული, იდაყვის ნაწილიდან აფხაზური კაბის სახელოს მსგავსად ტრაპეციისებურად გაფართოებული საყელოს გარეშე; ყელთან მომდგარი ღიობით. კაბის ქვედა ნაწილი ტრაპეციული ფორმის, წელის ხაზზე ნაოჭასხმული, ორნაჭრიანი. გასაფორმებელი ფესტემალ-სარტყელი კონტასტული ფერის ყვავილოვანი დეკორით არის შემკული და მოდელის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენს. კაბის ლიფი ზურგში, კისერთან იკვრება თითო ღილსა და ღილ-კილოზე, ხოლო წელზე – გვერდის არეში ელვა-შესაკრავით. ფარგულ-ფესტემალი ქვევით მცირედ გაფართოებული; იკვრება მხრების ხაზზე დამუშავებული თასმებითა და წელის ხაზზე მოტნეული ქამრით.

მოსაცმელი მცირედ გაფართოებული სილუეტის, შუა წვივამდე სიგრძის, სინთეზური ტიულის ქსოვილისაგან, დამუშავებულია კაპიუშონით; სახელოს გარეშე; მოსაცმელის ნაპირები მთელ პერიმეტრზე დამუშავებულია სინთეზური ხავერდის კანტით.

ესკიზური პროექტის შესრულების შემდეგ განხორციელდა ქალის ტანსაცმლის კოლექციის კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური დაგეგმარება. კონსტრუქტორული დაგეგმარებისათვის გამოყენებულ იქნა კონსტრუირების თანამედროვე მეთოდები. მეთოდის არსი ბაზისური ფუძის გამოყენებით კონსტრუქციული ნახაზის აგებასა და შემდგომ მოდელური კონსტრუქციების დაზუსტებაში მდგომარსობს [91]. კონსტრუქციული ნახაზი წარმოდგენილია ერთ ერთი ე მოდელის მაგალითზე (ნახ. 4.6).





ნახ. 4.6. ე მოდელის კონსტრუქციული ნახაზი

კოლექციის მოდელების ტექნოლოგიური დამუშავება განხორციელდა ტანსაცმლის დამუშავების თანამედროვე მეთოდების შესაბამისად [92]. კვანძების დამუშავების ტექნოლოგიური სქემა ნაჩვენებია ე მოდელის მაგალითზე (ნახ. 4.7).



ნახ. 4.7. ე მოდელის კვანძების დამუშავების ტექნოლოგიური სქემა

სამუშაოს დამასრულებელ ეტაპზე ქალის თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარებული კოლექცია შესრულებულ იქნა მასალაში. სულ დამზადდა ხუთი მოდელი – შერჩეული მასალების გამოყენებით (დანართი IV).

მეოთხე თავის დასკვნები

1. ჩატარებული კვლევების შედეგების გათვალისწინებით შემუშავებულ იქნა

დასაგეგმარებელი კოლექციის კონცეფცია და შესაბამისად დაგეგმარდა თანამედროვე მოდელები, ქართული ტრადიციული სამოსის ელემენტების გამოყენებით. შესრულდა კოლექციის ესკიზური პროექტი (5 პლანშეტი), აგებულ იქნა კონსტრუქციული ნახაზები და დამუშავების ტექნოლოგიური სქემები.

2. განხორციელდა შექმნილი კოლექციის შესრულება მასალაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Eyries JBB Costumes, moeurs et usages de tous les peuples Paris, 1821;
   Eyries JBB Voyage pittoresque en Asie et en Afrique: résumé général des voyages anciens et modernes / par J.-B. Эйриес | 1839.
   Spencer E. Travels in the Western Caucasus... in 1836.
2. К. Рехберг, Е. Корнеев „Народы России“, Париж 1813.

3. Chopin, M., Famin, M Cesar; Bore, M „RUSSIE [L'UNIVERS, OU HISTOIRE ET DESCRIPTION DE TOUS LES PEUPLES, DE LEURS RELIGIONS, MOEURS, INDUSTRIE, COSTUMES, ETC] + LA CRIMEE; CIRCASSIE ET GEORGIE; ARMENIE“ - Paris, 1838.
4. Zürich,H. „Naturgeschichte und Abbildungen der Menschen und Säugethiere“ , Brodtmanns lithographische Kunstanstalt, 1. Aufl. 1824.
5. Lacroix, F. „Les mystères de la Russie“, Paris, 1845.
6. დიუბუა დე მონპერე „მოგზაურობა კავკასიაში“ „სახელგამი“ თბ., 1937.
7. Ф.Ф. Торнау „Воспоминания о Кавказе и Грузии, 1832“ (опубликованный в "Русском Вестнике" за 1869 г.) http://dugward.ru/library/tornau/tornau_vospominaniya_o_kavkaze_i_gruzii.html.
8. Обозрѣние российских владѣнии за Кавказом, в статистическом, этнографическом, топографическом и финансовом отношениях Департмента внѣшней торговли, 1836.
9. Wahlen A. „Moeurs usages et costumes de tous les peoples du monde“, Paris, 1844.
10. ალ. დიუმა „კავკასია–მოგზაურობისშთაბეჭდილებანი", "ლიტერატურა და ხელოვნება", თბ., 1964.
11. Moynet J.P. JourneytotheCaspian and the Black Seas“ 1858. From „Il Giro del mondo“ (World Tour), Journal of geography, travel and costumes, Volume I, Issue 20, 1875..
12. ПаулиГ.Т. "Этнографическое описание народов России" Санкт-Петербург. 1862.
13. Г. И. Радде Путешествия и изыскания на Кавказе в 1864 году II газ. Кавказ. -1866. - № 1-3, 7, 12, 15, 19.
14. სოფიკო სარიშვილი მთის რაჭა ტრადიციებითა და რიტუალებით http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=detals&multi_id=2&id=107
15. GroveF. Crauford The Frosty CaucasusLondon, Longmans, Green & Co, 1875.
16. Gagarin, Gr., Stackelberg, E. „Le Caucasepittoresque“dessined’apres nature par le Prince Gr. Gagarin avec une introduction et un texteexplicatif par le Comte Ernest Stackelbergdedie a la MajesteImperiale Nicolas I-erEmpereur de toutes les Russies. Paris, Plonfreres, 1847.
17. Gagarin, Gr. „Scènes, paysages, moeurs et costumes du Caucase“. Paris,1850.
18. Тильке, М. „Народы Кавказа в национальных костюмах“, 1910.
19. Tilke, M. „Oriental Costumes Their Designs and Colors“ Berlin, 1922.
20. თ.გელაძე, ბ.ნეიფე-სმითი, ელ.ნადირაძე„მაქსტილკე, კავკასიისხალხთაკოსტუმები“. საქართველოსეროვნულიმუზეუმი. 2005;
21. Горшельт, Т. „Кавказские походные рисунки“, Санкт-Петербург,1895.
22. ვ. ბერიძე, ჰენრიკ ჰრინევსკი - ჟურნ. “სპექტრი” 1989 წ. გვ.49-51.
23. ვახუშტი ბატონიშვილი: აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგ-რაფია). თ. ლომოურისდან. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1941.
24. იოანე ბატონიშვილი: „კალმასობა“. ტ I, თბ., 1936
25. იესე ბარათაშვილი: ცხოვრება-ანდერძი. თბ., 1950.

26. დავით ფანასკერტელ-ციციშვილი: ქცევანი და ჩვევანი საქართველოსანი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ფონდი S-1489.

27. ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი, ,,ფელეტონი ისტორიული პიესის წარმოდგენის გამო", გაზეთი ,,ივერია“ (1904 წლის N63, N66, N70, N80, N96, N103):

28. ვინმე სოფლელი, ,,ქართული ეროვნული ჩაცმულობა" (ქართული დრუჟინისგამო) ჟურნალი "კლდე" 1915 N1.

29. ივანე, ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ტ. III-IV, თბ., 1962.

30. ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია ქართული ხალხური ორნამენტი I, ხევსურული. თბ. 1939.

31. გ. ჩიტაია. ხევსურული კოსტუმი გამომცემლობა ,,ხელოვნება" თბ., 1955.

32. გ. ჩიტაია. წინასიტყვაობა ივ. ციციშვილის წიგნისა ,,მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის“ თბ., 1954.

33. ივ.ციციშვილი მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის. გამომცემლობა "ხელოვნება" თბ., 1954.

34. ჩოფიკაშვილინ. ქართულიკოსტიუმი (VI-XIV სს.) საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამომც., თბ., 1964;

ჩოფიკაშვილინ. XI-XIII XI-XIII საუკუნეების ქართული სამეფო სამოსელი. მუზეუმის მოამბე, ტ. XXIII-B. 1962

35. მაკალათიას. მთისრაჭა, ტფ., 1930;

36. მაკალათიას. მთიულეთი, ტფ., 1930;

37. მაკალათიას. თუშეთი, ტფ., 1933;

38. მაკალათიას. ფშავი, ტფ., 1934;

39. მაკალათიას. ხევი, ტფ., 1934;

40. მაკალათიას. ხევსურეთი, ტფ., 1935;

41. მაკალათიას. მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938;

42. ბრაილაშვილინ. ასეთი მახსოვს საქართველო. ეთნოგრაფიული ჩანახატები. თბ., 1990.

43. ბოჭორიშვილი, ლუბა: ,,კახური ჩაცმა-დახურვა (ქალისჩაცმულობა)", ანალები ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები I. რედ. ს. ჯანაშია, საქართველო სსსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1947.

44. გერცელ ჩაჩაშვილი ქართლელი გლეხი მამაკაცის კოსტუმი XIX საუკუნისას. ჯანაშიასსახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე ტ. XIX-A და XXI-B. თბ., 1957.

45. ნ. გვათუა, ქართველ ქალთა ჩაცმულობა [მე-19 ს-ში] პირიმზე. 1968. - N3. - გვ.13

46. ნ. გვათუა, ქართული ჩაცმულობის ისტორიიდან. XIX-XX ს.ს. ქართული თავსაბურავი საბჭოთა ხელოვნება. 1963. - N12.

47. ნ. გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან [საქართველოში] : ქალის ქართული ჩაცმულობა XIX ს. დასაწყისი. - თბ. : ლიტერატურა და ხელოვნება, 1967. - 130გვ.

48. ც. ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), გამომცემლობა "მეცნიერება", თბ., 1974

49. ც. ბეზარაშვილი, ქართული ხალხური ტანსაცმელი, თბ. : მეცნიერება, 1988.

50. ც. ბეზარაშვილი, ტყავის სამოსელი : [ხევსურეთში საქ. სახელმწიფო მუზეუმის კოლექცია] ძეგლის მეგობარი. - თბილისი, 1974. - N36.

51. ც. ბეზარაშვილი, მასალები გლეხი ქალის სამოსელის შესწავლისათვის ქსნის ხეობაში [XIX-XX სს-ის მიჯნა] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. თბილისი, 1974. - N3. - გვ.131-138.

52. ც. ბეზარაშვილი, ქალის ქვეშითი სამოსელი საქართველოს მთიანეთში : [მასალები ქართული სამოსელის ატლასის შესადგენად] საქართველოსსახელმწიფომუზეუმისმოამბე. - თბილისი, 1976. - ტ.32-B. - გვ.153-179.

53. ლ. მოლოდინი, ქართული კოსტიუმის კატალოგი / საქ. სსრ მეცნ. აკად., ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწ. მუზეუმი, მეცნიერება, 1964. - 175 გვ.

54. ლ. მოლოდინი,მამაკაცის ქართული ქუდები და თავსაბურავები, კრებ. ეთნოლოგიური ძიებანი ტ. IV, რედაქტორი ე. ნადირაძე, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2010.

55. ლ. მარგოშვილი, ცენტრალური კავკასიონის მთიელი ქალის ტანსაცმელი, თბ. : მეცნიერება, 1980.

56. ლ. მარგოშვილი, ჩაცმულობა, რომელიც მოდას არ დაგიდევთ (ცენტრ. კავკასიის მთიელთა ჩაცმულობა). თბ., მეცნიერება, 1992.

57. კ. ლანჩავა,ძველიქართული ტანსაცმლის კონსტრუქციული თავისებურებანი // მეცნიერება და ტექნიკა. 1972. - N5.

კ.ლანჩავა,ქართული ტანსაცმლის კონსტრუქციები იკონოგრაფიული მასალების მიხედვით // მეცნიერება და ტექნიკა. 1973. - N1.

58. ი. უგრეხელიძე, „კოსტიუმი შუა საუკუნეების საქართველოში“. აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი, 2011.

59. ქართული ტრადიციული სამოსი XVIII-XX საუკუნეები [კატალოგი] ავტ.-შემდგ. ი.მელიქიშვილი, ელ.ნადირაძე, ლ.ტოგონიძე თბილისი, 2013.

60. დ. ქორჩილავა ძველი ქართული ჩაცმულობის კონსტრუქციების გამოყენება თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიებში–სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი, 2012.

61. ი. ჩარკვიანი ქართული ეროვნული ტანსაცმლის ერგონომიკული მაჩვენებლების კვლევა და ტექნოლოგიის დამუშავება – სადისერტაციო ნაშრომი. ქუთაისი, 2014.

62. ლ.ლურსმანაშვილი, საქართველოში გავრცელებული აბრეშუმის ქსოვილთა სახეები საისტორიო ვერტიკალები N19 თბილისი 2008.

გ. კვანტიძე, მამაკაცის ნაციონალური კოსტიუმი გვიან შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში ყურთმაჯიანი კაბა-ახალუხი– ჟურნალი ამირანი. კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტი. მონრეალი-თბილისი. N 26-27.

ნ. დოლიძე, საქართველოს ისტორიული წარსული დ აქართული ტრადიციული სამოსის თვითმყოფადობა – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება:კვლევადამართვა“, ბათუმი 2017.

დ. ქორჩილავა ძველი ქართული ჩაცმულობის კონსტრუქციების გამოყენება თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიებში– სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი, 2012.

Чарквиани И. Д. Исследование национального костюма горных регионов Грузии / Технології та дизайн. - 2014. № 1.

ი. უგრეხელიძე, თუში ქალის ეთნოკოსტიუმი და მისი მოდიფიკაცია თანამედროვე სამოსში, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომების კრებული XXIII, 2014;

ი. უგრეხელიძე, აჭარელი ქალის საქორწილო კაბის ანალიზის საკითხისათვის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომების კრებული XXIII, 2014.

63. ლ.ოსეფაშვილი,თ.ბატონიშვილის კოსტიუმი : [პორტრეტული გამოსახულებების მიხედვით],თბილისის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტი. - , 2004. - N2.

ნ. აზიკური, ნაბადი ქართველთა ტრადიციულ ყოფაში [მატყლი და მატყლის ნაწარმი საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის საწესჩვეულებო რიტუალებში] ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, 2002. ტ. IV. გვ.376-381

ნ. ბრეგაძე, საქორწილო სამოსის ისტორიისათვის [საქართველოში] // ძეგლის მეგობარი. - თბილისი, 1994. - N1 (91).

ნ. ნადარაია ქართული წვივსაკრავები [დახასიათება] საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები. - თბილისი, 1995. - N1. - გვ.38-48

64. ო. ლანჩავა, ე. ჩუბინიძე, ი. უგრეხელიძე და სხვები- ძველი ქართული ნაქარგობა, აწსუ გამომცემლობა ქუთაისი, 2017.

65. ნ. დოლიძე, მ. დათუაშვილი, ი. უგრეხელიძე, ი. ჩარკვიანი, ქ. ჩირგაძე, ლ. ლურსმანაშვილი, გ. კვანტიძე „ქართული ეროვნული სამოსის ილუსტრირებული ცნობარი“ აწსუ გამომცემლობა ქუთაისი, 2017.

66. საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემა - მომხმარებლის სახელმძღვანელო http://egmc.fas.ge/

67. Колосніченко М., Пашкевич К., Малинська А.ОСНОВНІ ЧИННИКИ ПРОЕКТУВАННЯ ТЕКТОНІЧНИХ ФОРМ ОДЯГУЗ бірник статей 3 Міжнародного симпозіуму [«Creativitate. Tehnologie. Marketing»], Технічний університет Молдови, Молдова, 2014.

68. Бырдина М. В. ИССЛЕДОВАНИЕ И МОДЕЛИРОВАНИЕ ПРОСТРАНСТВЕННОЙ ФОРМЫ ОДНОСЛОЙНЫХ ШВЕЙНЫХ ИЗДЕЛИЙ Диссертация, Шахты – 2015.

69. ხოდიკინია.პ., ლიაშკოა.ა. დასხვა. არასასურსათო სანლის საქონელმცოდნეობა. სახელმძღვანელო. გამომც. : „დაშკოვიდა C°“, 2012.

70. ГОСТ 26666.6 – 89 Мех искусственный трикотажный. Метод определения драпируемости – М.: Издательство стандартов, 1990. – 8с.

71. Бузов, Б.А. Материаловедение в производстве изделий легкой промыш-ленности (швейное производство): учебник для вузов / Б.А. Бузов, Н.Д. Алыменкова. – М.: Изд. центр «Академия», 2004. – 448с.

72. Патент RU 2324935 C2 Способ определения способности текстильных ма-териалов к образованию ниспадающих складок / Смирнова Н.А., Иванова О.В., Борисова Е.Н., Хохлова Е.Е. – КГТУ – 2008.

73. Патент RU 2409811 C1 Способ определения драпируемости материалов для одежды / Жихарев А.П., Оганесян А.А., Абу С.В. – МГУДТ – 2011.

74. Патент SU 1760450 A1 Способ определения подвижности структуры и драпируемости текстильных материалов в изделиях и устройство для его осуществления / Терпенова О.К., Белкина В.А., Иванникова И.М. – ВЗИТЛП – 1989.

75. Патент RU 2255335 C1 Способ определения анизотропии драпируемости / Смирнова Н.А., Иванова О.В., Смирнов А.В., Серикова С.Д., Тугунова Е.И. – КГТУ – 2004.

76. Патент RU 2119667 C1 Способ определения драпируемости текстильных материалов / Смирнова Н.А., Перепелкин К.Е., Койтова Ж.Ю., Борисова Е.Н., Смирнов А.В. – СПбГУТД, КГТУ – 1998.

77. Тамаркина, М.А. Образование форм одежды с учетом драпируемости тка-ни и основных конструктивных элементов изделий автореф. дис. … канд. тех. наук: 05.19.04 / Москва. 1970. – 24с.

78. Авторское свидетельство СССР N1688162, кл. G01N33/36.1989

79. 45. Тимченко, В.А., Борисова, Е.Н. Разработка неразрушающего метода оцен-ки драпируемости меховых полуфабрикатов // Швейная промышленность –2013. – №5 – С.27-28.

80. Патент G01N33/36 Способ оценки драпируемости швейных текстильных и кожевенных материалов / Железняков А.С., Старкова Г.П., Дремлюга О.А., Александров В.А. – ВГУЭС – 2010.

81. Нуржасарова, М. А. Теоретические и методологические принципы проектирования современной одежды на основе традиционного казахского костюма, диссертация, Алматы, 2005.

82. Пармон, Ф. М. Русский народный костюм как художественно-конструкторский источник творчества, М., Легпромбытиздат, 1994.

83. Пармон Ф.М. Композиция костюма. - М., 2007.

84. Шатковская, М. Л. Формирование элементного базиса прототипов при проектировании одежды на основе народного костюма, диссертация ,Санкт-Петербург, 2009.

85. Серова Т.М. Технология проведения художественно-конструк-торского анализа на примере исследования муж-скогодагестанского народного костюма Вестник Дагестанскогогосударственного технического университета. Технические науки. №3 (34), 2014.

86. Савельева, И.Н. Художественно-конструкторский анализнародного костюма стран средней азии, Вестник оренбургского государственного университета Оренбург, 2015 № 5 (180).

87. Оболенский, И. Анна Чавчавадзе. С надеждой на "Имеди"– [Електронний ресурс] – Режимдоступа: https://sputnik-georgia.ru/columnists/20170113/234530401

88. Васильев, А. Ф. Красота в изгнании М. Slovo 2012.

89. Москвин, А. Ю. Разработка информационного обеспечения процесса проектирования одежды с историческим кроем, Интернет-журнал «НАУКОВЕДЕНИЕ» Санкт-Петербург, Выпуск 2, 2014.

90. Москвин, А.Ю., Сурженко, Е. Я., Дубов, Е.А. Реконструкция женского с редневеко вого костюма в среде сапр, «ДИЗАЙН И ТЕХНОЛОГИИ» №62 (104).

91. მ. დათუაშვილი „სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირება“ აწსუ, ქუთაისი, 2014.

92. ნ. დოლიძე „ტანსაცმლის ტექნოლოგია“, აწსუ, ქუთაისი, 2014.

დანართი

დანართი I

კონსტრუქტორულ-კომპოზიციური მახასიათებლების შეხვედრათა სიხშირე და პოზიცია

დანართი II

ქართული ტრადიციული სამოსის საძიებო-საინფორმაციო პროგრამა

III. 1. მოფარდვის განსაზღვრის არსებული მეთოდები

№ п/п	მეთოდის დასახელება	ნიმუშის ფორმა და ზომები	მეთოდის გრაფიკული გამოსახულება	შეფასების პარამეტრები	მეთოდის უპირატესობა	მეთოდის ნაკლი
1	2	3	4	5	6	7
1	ГОСТ 26666689 ხელოვნური ტრიკოტაჟის ბეწვი. მოფარდვის განსაზღვრის მეთოდი [69].	წრიული ფორმის ნიმუში *d=300±1 მმ*		მოფარდვა *Д,%*	მეთოდი შესასრულებლად მარტივია.	მეთოდი გამოიყენება მხოლოდ ტრიკოტაჟული ბეწვისათვის. აუცილებელია დამატებითი ხარჯები და ნიმუშის სპეციალურად მომზადება.
2	დისკური მეთოდი (ЦНИИШП) [70]	წრის ფორმის ნიმუში *d=150* მმ აბრეშუმის ქსოვილებისათვის . *d=200* მმ შალის და ბამბის ქსოვილებისათვის		მოფარდვის კოეფიციენტი $K_Д$,%;	იძლევა მასალის ანიზოტროპიის განსაზღვრის საშუალებას.	აუცილებელია ნიმუშის მოსამზადებლად დროისა და მასალის დამატებითი ხარჯი. ხელსაწყოს გადაადგილებისას შესაძლებელია ნიმუშის დეფორმაცია. პრაქტიკაში გამოიყენება არა სხივების პარალელური ნაკადი არამედ წერტილოვანი. საჭიროა ქაღალდზე წინასწარ ნახვრეტის გაკეთება

3	ნემსის მეთოდი (ЦНИИшелка) [70]	სწორკუთხოვანი ფორმის ნიმუში ზომით *200×400მმ*		მოფარდვის კოეფიციენტი $K_Д$,%	მეთოდი შესასრულბლად მარტივია	აუცილებელია ნიმუშის მოსამზადებლად დროისა და მასალის დანახარჯი. მეთოდი მასალათატევადია რადგან საჭიროა ქსელისა და მისაქსელის მომართულებით ნიმუშების ცალ ცალკე გამოჭრა.
4	საფეიქრო მასალების ნაოჭების წარმოქმნის განსაზღვრის მეთოდი პატენტი RU2324935C2 [71]	წრის ფორმის ნიმუში *d=400±1* მმ.		ზედა ნაოჭის კუთხე *β*;	ნიმუშის თანმიმდევრობით დამაგრება სხვადასხვა მიმართულებით	აუცილებელია ნიმუშის მოსამზადებლად დროისა და მასალის დანახარჯი; მეთოდი შრომატევადია.
5	სატანსაცმელე მასალების მოფარდვის განსაზღვრის მეთოდი პატენტი RU2409811C1 [72]	წრის ფორმის ნიმუში. ნიმუშისა და ნახევარსფეროს დიამეტრების ფარდობა შეადგენს *4:1*		მოფარდვის კოეფიციენტი , $K_Д$,%;	იძლევა სფერულ ზედაპირზე დაყრდნობილი ნიმუშის თვისებების შესწავლის საშუალებას,	ღერძის სიგრძე ფიქსირებულია და შესაძლებელია სხვადასხვა სიხისტის ნიმუშებისათვის შედეგების დამახინჯება.

6	ნაწარმში საფეიქრო მასალის სტრუქტურის მოძრაობისა და მოფარდვის განსაზღვრის მეთოდი [73]	წრის ფორმის ნიმუში		ფასდება გვერდითი გეგმილის სიმეტრულობა მარცხნიდან და მარჯვნიდან. მასალის გადახრა კარკასის ხაზიდან, ნაკეცების კონფიგურაცია და ცვლილება დინამიკაში	აახლოებს გამოცდის პირობებს ტანსაცმლის ექსპლუატაციის პირობებთან; ქმნის ნაწარმის ექსპლუატაციის პირობების მოდელს (ქარი, წვიმა, შუქის ზემოქმედება); კარკასზე ჩაცმული დამატებითი ფენები აახლოებს ტანსაცმლის ექსპლუატაციის რეალურ პირობებს.	მეთოდი შრომატევადი და რთულია. აუცილებელია დამატებითი დანახარჯები ნიმუშის მოსამზადებლად.
7	მასალის მოფარდვის ანიზოტროპიის განსაზღვრის ხერხი. პატენტი RU2255 335C1 [74]	400±*1* დიამეტრის წრის ფორმის ნიმუში სხვადასხვა კუთხით ნიშნულით.		მოფარდვის კოეფიციენტი $K_Д$,%; ნაფენების რაოდენობა და სიღრმე მიმართულება ზე დამოკიდებუ	იძლევა მოფარდვის პროგნოზირების საშუალებას და ამგვარად უზრუნველყოფილი იქნბა მასალის თარგის სწორად შერჩევა	მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნს ხისტი ქსოვილებისათვის; აუცილებელია დამატებითი დანახარჯები ნიმუშის მოსამზადებლად

				ლებით		
8	საფეიქრო მასალების მოფარდვის განსაზღვრის ხერხი. პატენტი RU211 9667C1 [75]	გაშლილი წაკვეთილი კონუსის ფორმის ნიმუში. გრძივი მიმართულებით მონიშნული ხაზებით 15,30,45, 60 გრადუსიანი კუთხით. ნიმუშის სიგრძე *400±1 მმ.*		მოფარდვის კოეფიციენტი $K_Д$,%	იძლევა მასალათა ტევადობის შემცირების საშუალებას ერთ ნიმუშზე რამდენიმე გაზომვის ჩატარების ხარჯზე. გამოცდის მეთოდს უახლოებს ექსპლუატაციის რეალურ პირობებს.	ხერხი მასალათატევადია. აუცილებელია დამატებითი დანახარჯები ნიმუშის მოსამზადებლად.
9	მოფარდვის განსაზღვრის ხერხი ამერიკაში დამზადებული ხელსაწყოს MIT, საშუალებით. აშშ [76]	სწორკუთხა ფორმის ნიმუში, ზომით *117×250 მმ.*		მასალის მოფარდვა განისაზღვრება სამი კრიტერიუმით: ქორდის სიგრძით *C*, მოფარდვის სიგრძით *H* და სიმრუდის რადიუსით *rn*	პანტოგრაფით ხელსაწყოს აღჭურვით შესაძლებელია ნიმუშის ქვედა ნაპირის დათვალიერება საწყის კონტურთან შედარებით. აგრეთვე ნიმუშის სიგრძეზე ნებისმიერ დონეზე. შესაძლებელია კონსტრუქციული ელემენტების გავლენის შესწავლა მოფარდვაზე.	წებოვანი ლენტის გამოყენება არა სრულყოფილია (შესაძლებელია მოცილება). შესაბამისად მეთოდს არ შეუძლია ზუსტი შედეგების მოცემა. აუცილებელია დამატებითი დანახარჯები ნიმუშის მოსამზადებლად.

10	მ. კრეცისა და ა. ფლორის მიერ შემოთავაზებული მასალათა მოფარდვის შეფასების მეთოდი [77]	კვადრატის ფორმის ნიმუში		კუთხე, რომელსაც ქმნის დაკიდებული ნიმუში. რაც ნაკლებ კუთხეს წარმოქმნის დაკიდებული ნიმუში, მით მაღალია მასალის მოფარდვის დონე.	მეთოდი მიეკუთვნება ექსპრეს-მეთოდს. მარტივი მოწყობილობისა და შედეგების მოხსნის სიმარტივის გამო.	გამოხატულია ფარდობითი სიდიდეებით, რაც ვერ იქნება გამოყენებული მასალის ქცევის პროგნოზირებისათვის. აუცილებელია დამატებითი დანახარჯები ნიმუშის მოსამზადებლად.
11	ბეწვის ნახევარფაბრიკატების მოფარდვის შეფასების ურღვევი მეთოდი [78]	მთლიანი ტყავი		იზომება კუთხე ზედა წერტილში რომელიც მიიღება ტყავის ნაპირები გეგმილის სახით. გაზომვები ტარდება როგორც გრძივი ასევე განივი მიმართულებით.	იძლევა ბეწვის ნახევარფაბრიკატის პლასტიკური თვისების ობიექტური შეფასების საშუალებას. გამოკვლევისას გამოიყენება მთლიანი ტყავი.	მეთოდი განკუთვნილია მხოლოდ ტყავის ნაწარმის გამოსაცდელად.

12	საფეიქრო და ტყავის მასალების მოფარდვის განსაზღვრის მეთოდი. პატენტი G01N33/36 [79, 80]	ეტალონის ზომის ნიმუში		ნიმუშის გარკვეული მიმართულებით გენერირებადი განივი რხევების პარამეტრები	ხერხი იძლევა მოფარდვის შეფასების კომპიუტრული მეთოდის შმუშავების საშუალებას.	მეთოდი შრომატევადია და შესასრულებლად რთულია. აუცილებელია დამატებითი დანახარჯები ნიმუშის მოსამზადებლად.

III. 2. ტრადიციულ სამოსში გამოყენებული ქსოვილების მოფარდვის პროექციები

ნიმუშის ნომერი	პროექციის კონტური	K_θ
1		25
2		26
3		26
4		23
5		32

6		22
7		31
8		54
9		54
10		55
11		50

12		57
13		53
14		55
15		60
16		60
17		57

18		79
19		79
20		55
21		55
22		60
23		57

24		53
25		80
26		20
27		22
28		42
29		14

30		18
31		16
32		15
33		70
34		19
35		18

თანამედროვე კოლექციაში გამოყენებული ქსოვილების მოფარდვის პროექციები

ნიმუშის ნომერი	პროექციის კონტური	K_θ
1		25
2		26
3		26
4		23
5		32

დანართი IV

მასალაში შესრულებული თანამედროვე კოლექცია